ვიტალი ქენქაძე

ქსნური

ზეპირსიტყვიერების

ქარაგოზი

თბილისი, 2008

წიგნს ვუძღვნი წინაპრების ნათელ ხსოვნას

ძვირფასო მკითხველო! ამ მოკრძალებულ წიგნში თქვენთვის მძივებად ავასხი ხალხური ნიჭიერების ნიმუშები. მათდამი სიყვარული, ჩემმა ბებიებმა მასწავლეს. მეც ამ მძივებზე შეყვარებულმა მოვიარე ჩვენი ქსნის ხეობა და ხელის ჯადოსნური შეხებით წინაპრებს გულიდან ავაცალე, პირიდან წამოვაყრეინე, ფიქრის ძაფის ნაწყვეტზე ავასხი და თქვენამდე მოვიტანე.

წაიკითხეთ! იქნებ მოგეწონოთ, ქარაგოზებივით ლამაზი, ფერადი «მძივები» და თქვენ ან თქვენმა შვილიშვილებმა გულზე დაიბნიოთ, რაც ძალიან მოგიხდებათ.

რედაქტორი:	ისტორიის დოქტორი **მედეა ბურდული**
რეცენზენ-ტები:	ისტორიის დოქტორი **ლალი მღებრიშვილი**
	ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **დავით ახლოური**

ISBN 978-9941-0-0456-8

© ვიტალი ქენქაძე, 2008

წიგნი დაიბეჭდა ციმბირში მოღვაწე ბიზნესმენის, ბესო არსენის ძე ბერიანიძის დაფინანსებით, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუხდი ჩემს გულითად მეგობარს.

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ქართველი ხალხი მსოფლიოში ძველი და მეტად საინტერესო ისტორიის მატარებელი ერია. ქსნის ხეობა როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი, ხასიათდება საინტერესო საგმირო-საყოფაცხოვრებო და რელიგიურ-მითოლოგიური ზეპირსიტყვიერებით, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის, როგორც საერთო ისე ლოკალურ კულტურის გავითარებაში.

წინამდებარე კრებული სამწუხაროდ მცირე ნაწილია იმ მდიდარი სულიერი კულტურისა, რაც ქსნის ხეობის მთიანეთში ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შეუქმნია. (საკვლევ რეგიონში ათვლის წერტილად მიჩნეულია სოფელი ქურთა, მდინარის დინების საპირისპიროდ ვიდრე ნეფის კალომდე _ ყელის ტბის შემოგარენი.) აქ წარმოდგენილია როგორც ხეობის მთავარ ღერძზე გავრცელებული, ასევე მის შენაკად ნახიდურის, ჭურთის, ცხავატისა და ცხრაზმის ხეობაზე ჩვენგან მოკვლეული ხალხური სიბრძნის ნიმუშები, რომელთა სამჭედლოსაც წარმოადგენდა ძველი ქართული სოფლისთვის დამახასიათებელი კერა და ბუხარი, სადაც მთელი ჯალაბი მეზობლებთან ერთად «ლამფიანობდა»: თლიდნენ, წნავდნენ, კერავდნენ, ქსოვდნენ და თან ყვებოდნენ პაპების, ბებიების, ბიძების ნანახსა და გაგონილს, ზედ უმატებდნენ თავიანთ წარმოდგენილს და ნაფიქრალს.

კერიის გარდა ხალხური სიტყვიერების სამჭედლოდ ითვლებოდა ბანიანი ეზო და წისქვილი, სამწყემსური და «სუფრა უწევარი». «სუფრასავით უმტვერო» და მრავალხმიანი, საიდანაც მომავალი თაობა ნექტარივით ისუტავდა «ჩვენი ძველებისგან» ნათქვამს და მერე მთელი ცხოვრება ამ ნასუტი ნექტარით «დანესტრილი» დაიარებოდა.

ხეობის შიგნით შექმნილი ზეპირსიტყვიერების უხვი მასალა დროთა სიავემ და ხალხის მიგრაციამ შეიწირა. ჟამურის, ოხირის, საფერშეთის, მუჯუხის ხეობები სრულიად დაიცალა ხალხისგან. ხელის მტევანზე ჩამოითვლება ჭურთის, ცხვატის, ნახიდურას ხევებზე შემორჩენილი ოჯახები.

ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა გაქრობა მეტად მძიმე გარემოებაში გვაყენებს საკითხით დაინტერესებულთ. გასულ საბჭოურ პერიოდში, საქართველოს მთიანეთის კვლევა-ძიების ბუმის დროსაც ქსნის ხეობა ნაკლებად ექცეოდა მეცნიერ-მკვლევართა ყურადღების არეალში. გამოჩენილი პასიურობის გამო გამეჩხრებული გამოიყურება ახლო წარსულში მდიდარი ხალხური სიტყვიერების სალარო.

კრებულში შესული ლეგენდა-თქმულებები საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპრების ლაღი ფანტაზიის ნაყოფია, «მიუწვდომელი კოსმოსური სხეულები ხალხურ შემოქმედებაში დედამიწაზეა ჩამოყვანილი, კეთილი და ბოროტი ძალები ადამიანთა შორის მოქმედებენ, შიშის აღმძვრელი უჩინარი სულები ხელ-ფეხ ასხმულნი მოძრაობენ და ირეალურის მაგიერ რეალურ სამყაროს ქმნიან». ამიტომაცაა, რომ არქაული იერი დაკრავთ, მიუხედავად მათი ძირითადი წყარო ცოცხალ ანუ დღევანდელამდე ზეპირბრუნვაში შემონახული, მეტ-ნაკლებად ევოლუცია განცდილი ნიმუშებია.

წინაპართა რწმენას შეესაბამება ცნობილი შეგონება, «თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ». რა ეპოქაშიც იღებენ სათავეს ლეგენდები და თქმულებები იმ ეპოქის თაობებს

«გულსრულად» სწამდათ სამძივარას, დევების, ალების, ეშმაკების არსებობა, რაც რწმენასთან ერთად დიდ სტიმულს აძლევდა ხალხურ ზეპირსიტყვიერების განვითარებას...

ლეგენდა ლომისის წმინდა გიორგიზე
I ვარიანტი.

გადმოცემის მიხედვით იმ დროს, როცა ჯერ კიდევ საქართველოს მთიანეთი სრულად არ იყო გაქრისტიანებული და მის მოქცევას ახალ სარწმუნოებაზე ხელს უშლიდნენ, მტერმა ქსან-არაგვის ერთ-ერთი აოხრებისას უამრავ ნაალაფარ სიმდიდრესთან ერთად თან წარიტაცა მრავალი ტყვე.

მაშინდელი საქართველოს ბედის გამკითხავთ, ტყვეთა დასახსნელად მდევარ ლაშქარს მოუხმეს მუხნარის ველზე, იქ, სადაც ეხლა ერთმანეთს ერთვიან ქსნისა და არაგვის სარწყავი წყლები.

სანახევროდ შეგროვილ ჯარს გამოეცხადათ ალისფერ ცხენზე, ალისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი, კარგად აღჭურვილი ახალგაზრდა მეომარი, რომელმაც შეკრებილთ განუცხადა:

«წავიდეთ! მე გაგიძღვებით წინ მტერზე საბრძოლველად, დრო არ იცდის, ტყვეები დავიხსნათ!»

მერე და როგორ? – ჯარის ერთი მესამედი თუ იქნება მხოლოდ მოსული, – ჰკითხეს დამხვდურებმა.

«თქვენ ნუ ნაღვლობთ ჯარის სიმცირეს, მე ვიდებ თავს იმ ცოდვა-მადლს, რაც ჩემი რჩევით მოხდება: დამიჯერეთ, გამომყევით და ქრისტეს შეწევნით გავიმარჯვებთ».

ირწმუნა ხალხმა უცნობი მხედრის მამაცური შემართება, ერთგულება და გაჰყვა მტერთან შესარკინებლად.

ქართველთა მცირერიცხოვანმა ჯარმა სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცისკრის ხანს, ერთ დიდ მინდორზე მიუსწრო დაბანაკებულ მტერს. ალისფერ ტანსაცმლიანმა წინამძღოლმა ერთი შემოვლით, უჩუმრად მოსპო ყარაულები და ქართველთ განუცხადა: «აჰა, ღმერთის შეწევნით ეხლა მოგვეცა ხელსაყრელი დრო მომხდურის განადგურებისა, მათ ბანაკს სძინავს, შეუტიოთ გულსრულად და დავიხსნათ ჩვენი სისხლი და ხორცი გადაქარებისაგან».

ქართველებმა მართლაც ბრწყინვალედ იომეს, აოტნეს ურიცხვი მტერი და მოტაცებული ტყვეები სხვა სიმდიდრესთან ერთად უკან დაიბრუნეს.

იმდროინდელი წესისამებრ, ჯარი იქ იშლებოდა, სადაც დაშქრობის წინ იკრიბებოდა. მუხნარის ველზე სიმღერით მოსულმა ქართველთა ლაშქარმა მაშინღა შეიტყო, რომ უშიშარი და მოხერხებული უცნობი მხედარი, ვინც მთიელებს მტერზე გაამარჯვებინა, ბრძოლაში დაჭრილიყო და სისხლისგან იცლებოდა. შეწუხებული მეომრები მომაკვდავ გმირს გარს ეხვეოდნენ, მაგრამ ვერაფერს შველოდნენ. ბოლოს სიკვდილის წინ, უცნობმა ხალხს განუცხადა, მე მთის შვილი ვარ, ლომისა მქვია, ჩემი ძალა და სიცოცხლე ქრისტიანთა კეთილდღეობას შევწირე, რითაც მე დიდად ბედნიერი ვარ, – თქვა და სული განუტევა.

მუხნარის ველიდან ჩრდილოეთით ყელის ტბამდე, ქსანსა და არაგვს შუა ჩამდგარ მთებს, ხალხმა მანამდე უცნობი გმირის პატივსაცემად ლომისა უწოდა და მისი ცხედარი ამ მთის ყველაზე მოხერხებულ გადასასვლელ ადგილზე, იქ, სადაც დღეს ლომისის

წმ. გიორგის სალოცავია, დიდი პატივით დაკრძალეს. მას შემდეგ, ამ ორი ხეობის ხალხი გმირის სახელის, საფლავის სიყვარულში და პატივისცემაში ეჯიბრებიან, ერთმანეთს.

ამ ამბიდან გავიდა კარგა ხანი. საქართველოს მტერმა ქსან-არაგვზე კვლავ ძლიერი და სისხლისმღვრელი ლაშქრობა მოაწყო. ამჯერადაც ქართველთა მეფემ მტერთან შესარკინებლად უხმო ქართველთა ლაშქარს, მაგრამ მეფის მოსვლამდე შეკრებილ მხედრობას გამოეცხადა თეთრ ცხენზე ამხედრებული, შუბოსანი, ლამაზი ყმაწვილი კაცი, რომელიც აქეზებდა ქართველებს მტერზე სწრაფი და მოულოდნელი დარტყმისაკენ, რათა გაენადგურებინა მტარვალნი და დაეხსნათ მრავალი საუნჯენი, რამეთუ დაყოვნება ბედთან შერიგების ტოლფასი იქნებოდა.

უცნობი თავის თავზე იღებდა პასუხისმგებლობას. არწმუნებდა მეომრებს, რომ უთუოდ გაიმარჯვებდნენ.

თეთროსანი მხედარი წაუძღვა ქართველთა ჯარს, უსარდლა და მაცხოვრის ძალითა და შეწევნით მტერი ამოწყვიტეს, უკან დაიბრუნეს ყოველივე მტრისგან წარტაცილი.

სამშვიდობოს მოსულთ სიხარულის ცრემლი მალე მწუხარებისა და გლოვის ცრემლმა შეცვალა. მტრის ხელით დაკოდილ უცნობ მხედრისთვის სასიკვდილო გამოდგა ჭრილობა. ხალხის თხოვნას, – გაემჟღავნებინა თავისი ვინაობა _ ასე უპასუხა: მე იმ გმირ ლომისას შთამომავალი ვარ, რომელმაც უთანასწორო ბრძოლით ქვეყანა და ხალხი დაიხსნა, თავი კი ზვარაკად შესწირა სამშობლოს. მე იმ მთავარმოწამე წმ. გიორგის სეხნია ვარ და სიცოცხლეს თქვენთვის ვწირავ _ განაცხადა თავგანწირულმა.

მადლიერმა ხალხმა ვალმოხდილ გმირს ლომისის მთაზე, ლომისას საფლავის გვერდზე მიუჩინა განსასვენებელი და ორთავ გმირს აუგეს ერთი ტაძარი და უწოდეს მთავარმოწამე ლომისის წმინდა გიორგი.

ლეგენდა ლომისის წმინდა გიორგიზე
II ვარიანტი.

ერთ დროს სპარსელები თავს დასხმიან საქართველოს, აუოხრებიათ მთა და ბარი, მათ შორის ქსნისა და არაგვის ხეობებიც. მტერს ხოროსანში 7000 ქართველი ტყვე წაუყვანია, მაგრამ მოხდა სასწაული. 7 წლის განმავლობაში მათ ქვეყანაში ბავშვი არ დაბადებულა, ცხვარს ბატკანი არ მოუგია და ცხენს კვიცი. როცა საზრდოს მომცემი მიწაც გაბერწდა და ქვეყანა სრულ უბედურებამ მოიცვა შეძრწუნდნენ მართველი წრეები, მოიწვიეს მისანი და ამკითხინეს, მან უთხრა: ქვეყანას მანამ არაფერი ეშველება სანამ 7000 ქართველ ტყვეს არ გაათავისუფლებთ და მათთან ერთად გურჯებიდან წამოღებულ ხატებს. ხატებს შორის არის ერთი უმთავრესი ლომისის წმ. გიორგის ხატი და იმის მიზეზი არის ყველაფერიო.

შეშინებულ სპარსელებს მოუგროვებიათ საქართველოდან წაღებული ხატ-ჯვრები და ანთებულ საკირეში ჩაუყრიათ, მაგრამ უვნებელი ლომისის ხატი ლომად გადაქცეულა საკირედან ამოფრენილა, ლომა ხარის რქებზე დაბრძანებულა და ტყვედ ყოფილ ქართველებს ხართან ერთად სამშობლოსკე გამოძღოლია. მანამდე ტყვეები სათითაოდ დაუთვლიათ, დაკლებია ერთ მთიული, კოჭლი, ლამაზი ქალი, რომელიც ირანელ დიდებულს ერთ შორეულ პროვინციაში მოახლედ ჰყოლია წაყვანილი.

ერთკვირიანი ლოდინის შემდეგ 7000 ტყვე ხარის რქებზე დაბრძანებულ ლომისის წმ. გიორგის ხატთან ერთად დაიძრა საქართველოსკენ. მოდიოდნენ და სადაც კი დაის-

ვენებდნენ ყველგან ნიშს აგებდნენ. ბოლოს ხარი ასულა ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე დაწოლილა, მომკვდარა და იქვე გარჩეულა. ხატიც იმ ადგილზე დაფრენილა და 7000 ტყვედ ყოფილს იმ ლომისის მთაზე აუშენებია წმ. გიორგის სახელობის სალოცავი.

სალოცავის მშენებლობისას ქსნელებსა და არაგველებს შორის დავის საგანი გამხდარა ის თუ საით შეებათ კარები. ბოლოს უხუცესთა რჩევით დავა ფალავნების შერკინებით გადაწყვეტილა. გაუმარჯვნია ქსნელს და კარებიც ქსნისკენ სამხრეთით შეუბიათ. სამაგიეროდ დეკანოზობა არაგველთ დარჩენიათ.

ქსნურ ზეპირსიტყვიერებაში, ლომისის სალოცავში, კარების ქსნისკენ შებმის მოთავედ სახელდება ცხრაზმელი ხარანაული.

რაც შეეხება ფართოდ გახმაურებულ ლომისის ჯაჭვს, ხალხურმა სიტყვიერებამ მასზე თქმულების რამდენიმე ვარიანტი შექმნა და შემოგვინახა. ერთ-ერთი ვარიანტით ჯაჭვი, შეუწირია ახალგაზრდა ქალს, რომლის ძმაც აზიაში ლაშქრობისას ლომს დაუკბენია, სამშობლოში მოსულს ჭრილობები გაავებია და სიკვდილის პირზე მისულა. მაშინ მის დას ლომისის წმ. გიორგისთვის უთხოვია: ოღონდ ძმა მომირჩინე და რაც ყველაზე მძიმე რკინაა ჩვენს სახლში იმას შემოგწირავო. მართლაც მორჩენილა ძმა, დას კი შეუსრულებია ხატისთვის დანაპირები და ლომისის მთაზე ფეხშიშველს კისერზე დაკიდებული ჯაჭვი აუტანია და შეუწირავს.

ლომისი ხატისა და იქ არსებულ ჯაჭვზე ლექსი საკმაოდ პოპულარულია ქართულ ფოლკლორში. ჩვენამდე მოღწეული ლექსის კიდევ ერთი ვარიანტი ჯაჭვის პატრონის ვინაობას შემდეგნაირად გამოხატავს:

«ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,
არავინ იცის ვისია,
ბებერი ქალი ატირდა,
ეგ ჯაჭვი ჩემი ქმრისია.
სიკვდილის ჟამსა ნათქომი
დაბარებულიც მისია,
«ისეთმა ყმამა შაირტყას,
ვინც ხმარებისა ღირსია».

ლეგენდა მუხიშართის ჯვარობაზე

ლეგენდის თანახმად მუხიშართ-კვერიათის პლატოზე ადრე ლომისა ყოფი ლადავანებული, სადაც უამრავი ხალხი იყრიდა თავს. მოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან: ბოშურიდან, კახეთიდან, კუხეთიდან, ჰერეთიდან, განჯიდან. ქსნის ხეობის ზემო წელზე არსებულ დიდ გალავნიან ხატობაში განჯიდან სალოცავად ჩამოსულა დედაბერი ექვსი ვაჟით, რაზეც ქსნურ ზეპირსიტყვიერების საგანძურში გაჩენილა საკმაოდ დიდი გარითმული ლექსი. სამწუხაროდ ვეღარ მოხერხდა მისი აღდგენა-ჩაწერა, გარდა ამ ნაწყვეტისა:

«განჯიდანა წამოვედი
ცხენს უხშირე ნალობასა,
ნეტავი კიდევ მიუსწრო
მუხიშართის ჯვარობასა».

ჯვარობის კარზე მოსულ დედაბერს უკმეხად დაუქადნია: «ექვსი ვაჟი აქ ხატის კარზე მიდგას, ექვსი იქ (განჯაში) მიმკის ყანასო». უკან გაბრუნებულ დედაბერს გზაში მოულოდნელად ექვსივე ვაჟი დახოცვია. განჯას მისულს, ჯერ კიდევ სასო წარუკვეთელს ექვსი ვაჟის ცხედარიც იქ დახვედრია. მაშინ განრისხებულ დედაბერს შურის საძიებლად მუხიჯართის ჯვარობაში კატა დაუკლავს და იქვე სამხრეთით დაუმარხავს. სამარხის ადგილზე შემდგომ ჭაობი გაჩენილა. ჯვარობის ანგელოზი კი შებილწულ ადგილზე აღარ გაჩერებულა და მის ჩრდილოეთით პირდაპირ ლომისის მთაზე გაფრენილა და იწოდა ლომისის წმ. გიორგი.

ამ მოვლენის დასტურად, იქ, სადაც კატა დამარხეს, დღესაც მუხიშართის გაუვალი ჭაობია, ამაღლებულ ადგილზე კი ოდესღაც, თეთრი მეგალითური ქვებით ნაგები გალავნის ნანგრევები.

მუხიშართიდან გაფრენილ ჯვარობას ლომისის მთაზე, უკვე მთავარ მოწამე წმ. გიორგის სახელობის სალოცავად წოდებულის დეკანოზობაც ქსნელთა მხრიდან პავლიაშვილებმა მიიღეს, როგორც ჯვარობის დეკანოზობით პრივილეგირებულმა გვარმა.

ხატ-სალოცავს ადგილის მონაცვლეობის შემდეგ, მოგვიანებით, პავლიაშვილებიც იცვლიან საცხოვრისს და სახლდებიან დღევანდელ პავლიანში, მანამდე კი ლეგენდის მიხედვით მუხიშართის მიდამოებში ფლობდნენ დიდი რაოდენობის ცხვარ-ძროხას. ნაწველ-ნადღვებს (რძე და დო) პოროლიანში თიხის მილებით სასმელ წყალთან დროდადრო მონაცვლეობით უშვებდნენ, მაგრამ ერთხელაც მილში «უხსენებელი» (გველი) ჩამძვრალა და ხალხი მოუწამლავს.

აღნიშნულ შორეულ ამბის სიცხადე დადასტურდა, ნასოფლარ პოროლიანის ახლოს, ფიჭური კავშირგაბმულობის «მაგთის» კომპანიის ანძის დასადგმელად ჩატარებულ მიწის სამუშაოებისას, სადაც ლეგენდაში მოხსენიერებული მუხიშართ-პოროლინის თიხის მილებით მოწყობილ წყლისა და რძის სადინარებს, 2007 წ. 1 ივლისს მიაკვლიეს ქარჩოხის გამგებელმა გელა ბალაშვილმა და მებულდოზერემ თამაზ ლოთიშვილმა. საიდანაც ჩემი თანამონაწილეობით 130 სმ. სიღრმეზე მოვთხარეთ კონუსური ფორმის 38 სმ სიგრძის თიხის რამდენიმე მილი.

ხარანაულების ფორტუნა

ცხადია, რომ ყველა ჩვენგანისთვის სამშობლოს სიყვარული ყმაწვილობის ასაკიდან, მშობლიური სოფლით და კუთხე-კუნჭულით იწყება. შეიძლება ითქვას, რომ ამის ნათელი მაგალითია ქსნის ხეობაში ყოფილ ცხრაზმის საერისთაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ს. დადიანეთის გარე უბანში – ხარიანთკარში მცხოვრები ხარანაულების იდუმალებით მოცული წარსული-ისტორია, რომლის ლაბირინთებში გარკვევის მცირე საშუალებას გვაძლევს ხალხში შემონახული თქმულება.

მდ. ცხრაზმულის მარცხენა – მთავარი შენაკადი დადიანურას წყალი სათავეს ბუათის მთიდან იღებს. ამ წყალს დადიანეთის აღმოსავლეთით, მარცხენა მხრიდან ერთვის ლორის პატარა ხევი. ამ ორი წყლის შესართავთან კუთხეში, მთის ფერდოზე ე.წ. «კვირაცხოვლის ქედზე» შემორჩენილია ძველი ნამოსახლარები აკლდამებით, სალოცავით, მარნით და სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთებით. ყველა ეს შემოსაზღვრული ყოფილა ქვის გალავნით, რომლის ფრაგმენტები დღესაც თვალნათლივ ეტყობა. ადგილობრივი მცხოვრებნი ძველ ნამოსახლარს უკავშირებენ არაგვის ხეობიდან გადმოსულ ხარანაულების გვარს, რომლებსაც საუკუნეების იქით ამ ადგილზე უცხოვრიათ.

თქმულების თანახმად, ხარანაულები მშრომელი, მდიდარი და გონიერი ხალხი ყოფილა. მათ სახელს უკავშირებენ მთავარმოწამე ლომისის წმ. გიორგის სახელობის სალოცავის მშენებლობაში მონაწილეობას და კარის დატანებას ქსნისკენ.

ქსან-არაგვის წყალგამყოფ ქედზე საერთო სალოცავის მშენებლობისას წამოჭრილი საკითხი თუ საით უნდა ჰქონოდა კარები სამწუხაროდ სადავო და ძნელად გადასაჭრელ პრობლემად ქცეულა.

ცხადია ეკონომიურად ძლიერი დიდი ოჯახი, სოციალური-პოლიტიკური დაწინაურებისათვის იბრძოლებდა... და აი ხარანაულებიც აქტიურად ერთვებიან საერისთავოს საერო-სასულიერო საკითხებში.

საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ერთი ვერსიის მიხედვით, ქსნელი და არაგველი ფალავნების შერკინებამ გადაწყვიტა ლომისის სალოცავში კარების დატანების საკითხი ქსნელების სასარგებლოდ, მეორე ვერსიით კი ხარანაულებმა – მიუხედავად მათი არაგვული წარმომავლობისა.*

გადმოცემით, ლომისის ეკლესიის მშენებლობის დაწყებამდე კარებთან დაკავშირებული საკითხი ადვილად გადაჭრილა ხარანაულის ძალისხმევით, მაგრამ ფუნდამეტის ჩაყრისთანავე კვლავ უთანხმოებას უჩენია თავი. რისთვისაც ქსნელებს სასწრაფოდ კაცი გაუგზავნიათ ხარანაულთან. იგი მისულა ლომისის მთაზე, თუმცა სადავო საქმე უკვე მოგვარებული დახვედრია. ამ მოვლენას ხალხური გადმოცემა შემდეგნაირად ეხმაურება:

«ხარანაულმა ითავა,
ქსნისკე შეაბა კარები,
დეკანოზები ინიშნა,
საყდარს დაკიდეს ზარები».

ქსნისკე კარების დატანების სანაცვლოდ არაგველებს, კერძოდ პატაშურებს ლომისის დეკანოზობა რგებიათ. შემდგომ როგორც ცნობილია დეკანოზობის სახელოს ბურდულები იკავებენ.

ქსან-არაგვის უპირველესი სალოცავის ლომისის წმ. გიორგის მთავარი შესასვლელი კარების ქსნის მხარეზე მოქცევა ქსნელთა დიდ გამარჯვებას ნიშნავდა, რაც ხარანაულის უშუალო ჩარევით მიაღწიეს. ამიტომ მას და მის ოჯახს ქსანზე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ექცეოდნენ.

ხალხს ხარანაულისთვის უთქვია; რით გადაგიხადოთ ესოდენ დიდ ამაგი ჩვენზეო?

პასუხად უთქვია: ჩემ ცხვრის ფარებს დასადგომად რა ფართობიც დასჭირდება იმ ფართობის სახნავი მომეცითო.

სოფელი უარს როგორ ეტყოდა და ახლო-მახლო რაც კარგი მამული ყოფილა ხარანაულისთვის დაუთმიათ.

ხარანაულები თავიანთი შრომის მოყვარეობით, გერგილიანობის და საზრიანობის წყალობით დიდი სიმდიდრის პატრონები ყოფილან. მათი სიმდიდრე, ისე როგორც სხვა დანარჩენ მთის მოსახლეთათვის _ ცხვარ-ძროხა ყოფილა. (დანაზოგი ოქროს ფულად ჰქონიათ, რის გამოც ამ ბოლოდრომდე მათ ნასახლარზე ოქროს მაძიებლებსაც შეხვდებოდა კაცი).

---

* ხარანაულებზე ინფორმაცია მოგვაწოდა ქსნის ხეობის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორმა ვ. ღუნაშვილმა, რაც თავის დროზე მოიძია და მუზეუმს გადასცა ს. დადიანეთის სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ვენერა ჩოხელმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ ქ-ტონ ვ. ჩოხელს და ბ-ტონ ვ. ღუნაშვილს.

ხარანაულები რამდენიმე ათას სულ ცხვარს ფლობდნენ, მათთან ერთად უამრავ მსხვილფეხს. მათ გამგებლობაში ყოფილა ხანდოს, ჭართლოს, ბუათის, სახორდაგე-საფერშეთის მთები. მათი თავლებიდან გაზაფხულით მარტო 60 კვიცი გამოდიოდა თურმე.

თქმულების მიხედვით, ერთ მებატონეს მთაში ცხვრის მოსამრავლებლად «ოჩხარი»* მოუწყია. ხარანაულიც მისულა და რატომღაც სუფრის ბოლოს მოუწია დაჯდომა, რაც იმ დროის ადათის მიხედვით მიუღებელი ყოფილა პრივილეგირებული სტუმრისთვის.

ხარანაულის თავმდაბლობაზე, შეძლებაზე და გულუხვობაზე ზეპირსიტყიერებამ შემოგვინახა ერთი საინტერესო ხალხური ლექსი.

«ბატონმა მაიწადინა,
მთაში ოჩხარის მოწყობა,
ცხვრის გამრავლება უნდოდა
ამას არ უნდა მოწმობა.
დიდი დღეობა მოაწყო,
დაკლა ძროხა და ხარიო,
ეხლა გავიგებ ჩემს ყმებში
ჩემთვის ვინ როგორ არიო.
შეიქმნა დიდი ქეიფი,
იცლება ყანწი, ყანწზედა,
ოჩხარში ჩასვლა დაიწყო,
არავინ დგება განზედა.
უარს არავინ ამბობდა,
თითო-ოროლა ცხვარზედა,
ხარანაული წამოდგა
დინჯად დაიწყო სათქმელი.
ათასი სული ცხვარი მყავს,
იმის ბატკანი სხვა არი,
თორმეტ უღელი ხარი მყავს,
ძროხა-მოზვერი სხვა არი.
ძმა და ძმისწული ცხვარში მყავს
მოჯამაგირე სხვა არი,
მე ასი შემიწევია,
ერთი და ორი რა არი.
ბოლოშიც კარგად მოვილხენ
ვითომ თავს ჯდომა რა არი».

* «ოჩხარი» დმახასიათებელი იყო აღმ. საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ყოფისათვის, როგორც საზოგადოების ერთჯერადი დახმარება-შეწევნა ცხვრითა და თხით, ერთი რომელიმე ოჯახისა - ქეიფის ხარჯზე.

გამოჩინებული

ძველ დროში, როცა საქართველოს მოსახლეობაში ქრისტიანობას ჯერ კიდევ მტკიცედ არ ჰქონდა ფეხი მოკიდებული და ხალხი ყოველ დღე, თანდისთანობით, ნელ-ნელა, ქრისტეს მცნებაზე გადადიოდა, ქსნის ხეობის სოფელ საქორეთში ერთი არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა.

ერთ, საქორეთელ მწყემს ბიჭს ჩვეულებრისამებრ, ისე როგორც სხვებს, სოფლის ნახირი დასავლეთით უფოეთის მიმართულებით, საძოვარზე გაურეკია. ბიჭი მკვირცხლი მაგრამ მეტად ძილის მოყვარული ყოფილა. სამხრობის დრო ჯერ არც იქნებოდა მოტანებული, რომ ზაფხულის პაპანაქება სიცხით შეწუხებულმა საქონელმა კუდი იჭვირეს და ვაკე ტყის ჩრდილებს შეაფარეს თავი. დაღლილ და მძინარა ბიჭს მეტი რა უნდოდა. კარგად იცოდა, რომ მაძღარი და დარწყულებული საქონელი კარგახნობამდე ტყიდან ფეხს არ მოიცვლიდა.

ბიჭმა მონახა მყუდრო ჩრდილი ამაღლებულ ადგილას, საიდანაც ნახირს კარგად დაინახავდა, მიწვა ერთ დიდ წიფლის ქვეშ, ფეხებზე ქალამნები გაიძრო, ერთი კი თქვა: ღმერთო შენი სახელისა და მადლის ჭირიმე, – სანამ ძილით არ გავძღები ჩემი ნახირი არ აშალოო! – ამოიდო ქუდი თავქვეშ და დაიძინა.

კარგა ხანი გავიდა. გვარიანი ძილის შემდეგ ბიჭს გამოეღვიძა, წამოიწია, თვალები მოიფშვნიტა და ნახირს გადახედა. საქონელი კვლავ იწვა და იცოხნიდა. გაუხარდა ბიჭს. კვლავ დასაძინებლად დადო თავი და ღმერთისადმი მადლობის სიტყვების თქმაც არ ჰქონდა დამთავრებული რომ ჩაეძინა.

გავიდა კიდევ კარგა ხანი. ბიჭს რომ გამოეღვიძა იფიქრა, ეხლა კი უთუოდ დავკარგე საქონელიო და დაფეთებული წამოხტა, მაგრამ რას ხედავს ყველა ძროხა ადრინდელივით წევს და იცოხნის.

მზე გადახრილიყო. ბიჭმა ჩაიცვა ქალამნები, წამოავლო ხელი ქუდს, ჯოხს და ნახირს მიაშურა, მაგრამ ჰოი, საოცრება. სცემს საქონელს სახრეს, უყვირის, ეზიდება ყურით, კუდით, მაგრამ ამაოდ, ვერცერთი ძროხა ადგილიდან ვერ დაძრა. ბოლოს დაღლილი იქვე ჩამოჯდა და მზის ჩასვლას დაელოდა, იქნებ შინ, ხბოებთან დაბრუნების ჟინით მაინც აიშალნენო.

ბინდი ჩამოწვა. საქონელი კვლავ ადგილიდან არ იძროდა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ყმაწვილმა თავს დამართული გაუგონარ-დაუჯერებელი ამბავი სოფელს შეატყობინა. სოფლიდან რამდენიმე მუხლმაგარი ახალგაზრდა გაეშურა ნახირის მოსარეკად, მაგრამ ნურასუკაცრავად, მათ არამც თუ მორეკეს, არამედ ახლოც კი ვერ მიეკარნენ დაწოლილ საქონელს.

მაშინ სოფლის უხუცესთა რჩევით, ღმერთისთვის წყალობის სათხოვნელად ყველა ოჯახმა გამოაცხო ჯვრიანი პურ-ქადა, მივიდნენ და მიიტანეს სასწაულის ადგილას. აანთეს სანთლები, პირჯვარი გადაიწერეს, ადიდეს იესო ქრისტე მაცხოვარი და საქონელიც ყელზე საბელ შეხსნილივით წამოიშალა.

ხალხმა ირწმუნა, რომ ამ საკვირველებაში ღმერთის ხელი ერია, რადგან ესე ნათლად და ესე ცხადად მათ სხვა დროს არ გამოცხადებიათ და გამოჩენიათ ყოვლის შემძლე ქრისტე ღმერთი.

სოფელმა საქონელი დაიბრუნა.

სასწაულმოქმედი ღმერთის გამოჩენით და დანახვით გულდაჯერებულმა საქორელებმა, იმავე ადგილზე, სადაც სოფლის ნახირი გაშეშდა ააგეს სალოცავი ქრისტეს პა-

ტივსაცემად, სრული შესაწირითა, ხატ-ჯვრებითა და ყოვლითა შესამკობლითა. სალოცავს ხალხმა გამოჩინებული უწოდა.

დღესაც ნირშეუცვლელად დგას ნასოფლარის ველ-ტყიანში ღმერთის გამოჩენით განცვიფრებული წინაპართა ხელით აგებული სალოცავი, სადაც საქორელთა გარდა საუკუნეების მანძილზე ლოცულობდნენ ახლომდებარე სოფლები ფინიხაანი, შილგანდიანები და ზაზაანი.

***

ერთი ბრძენისა არ იყოს, «ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე ვერ ირწმუნებ. და ზოგი – კი იმისთანაა, თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ».

ზემოთ მოთხრობილ ლეგენდის მიხედვით, საქორელთ თვალთახედვაში გამოჩნდა ის ზებუნებრივი ძალა რომელიც სწამდათ და არ ეხილათ. სწორედ ამ რწმენამ დაანახვა და გამოაჩინა ის რაზეც უთქვამთ, «თუ არ იწამე ვერ დაინახავ».

უდავოდ ამ რწმენის შედეგია, როგორც ზემოთ თქმულ ლეგენდის ჩვენამდის მოღწევა, ასევე სხვა ეროვნული ფასეულობებისა, რომელიც ქართველ ერთან ერთად მის სახელმწიფოებრიობას წარმოადგენს. თუმც აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით დასტურდება საქორეთის ძირძველი აბორიგენი მოსახლეობის გაქრობა. რასაც ადასტურებს როგორც ზეპირი გადმოცემები, ასევე დღემდე შემონახული საეკლესიო რიტუალები. კერძოდ ის, რომ ხსენებულ სალოცავ «გამოჩინებულში», ისე როგორც სოფლის მეორე მთავარ «ხალარჯობაში» დეკანოზობენ ცხრაზმის ხეობიდან გადმოსული ბერიანიძეები.

ზეპირი გადმოცემის თანახმად სოფელი საქორეთი, (აწ ნასოფლარი) ისე როგორც მაგალითად უკანუბანი სამჯერ განადგურებულა და სამჯერ აღდგენილა. თუმც, მეოთხედ გავერანებულისა და დაცლილის აღდგენის არანაირი პერსპექტივა აღარ არსებობობს.

სამღვთო დაუნებებელი

საუკუნეების განმავლობაში მრავალი გადამთიელი და მომხდური დაუმარცხებიათ ლომისის მთის საუღელტეხილო გადასასვლელებთან ქსნისა და არაგვის თავდამყურე, მთავარმოწამე ლომისის წმინდა გიორგის საყმოს. ბევრჯელ ქარჩოხელთ მწუხარებისა და უბედურების მომლოდინე დღე თავიანთი სიჩაუქითა და გულოვნებით მტერზე გამარჯვების სიხარულის, ტყვეთა დახსნის დღესასწაულად გადაუქცევიათ. ასეთ ძვირფას, ღირსახსოვარ მოვლენათა გამო მთიელები სამღვთოდ ტაძრებსაც აგებდნენ.

ადრექრისტიანულ ხანაში, მტერზე ძლევამოსილ გამარჯვების აღსანიშნავად, ლომისის მთაზე, სახევისთავოს ხელდასმით ქარაჩოხლებმა სამღვთო პატიოსანის სახელზე სალოცავი ააგეს, რომლის ხატ-ჯვარი სოფ. თინიკაანში, სახევისთაო სალოცავ ერთაბრძანებულებაში ინახებოდა. დეკანოზობაც ამავე სოფლის მკვიდრთ თინიკაშვილებს ჰქონდათ ჩაბარებული.

ლომისის მთაზე მთიელთა სამღვთოობა შუა ზაფხულში ყოველთვის დიდი ზარზეიმით იმართებოდა. (აღდგომიდან 51-ე დღეზე) მლოცავი თადარიგს გაზაფხულიდან

იჭერდა. ჭვავისგან ლუდს ხარშავდნენ, დიკასგან არაყს. მოჰყავდათ შესაწირად კურატე-ბი, ყოჩები დოლისთავის* წითელი ბატკნები და სხვა მრავალი საწირავი.

სამღვთოს ხატ-ჯვარს ერთაბრძანებულებიდან თავის დროშებით გამოაბრძანებდ-ნენ ხატობის წინა დღისით დეკანოზების, მნათეების, ტარასტის ხელდასმით. იარაღში ჩამჯდარი ახალგაზრდა ყმაწვილკაცების გუნდთან ერთად. გაივლიდნენ ქართულ-ოსურ სოფლებს რომელთაც ყველას თავისი «ბიჯა* გამოჰქონდათ. იმართებოდა ლუდის სმა, ხანმოკლე ქეიფი. ბოლოს ხატს მიაბრძანებდნენ სამღვთოს სალოცავში, სადაც კვლავ გაახლებდნენ ლუდის სმას და ქეიფს ღამის მთევლები.

მეორე დღეს იმართებოდა დღეობა, დამწყალობება, საკლავების დაკვლა, ერთურ-თის გაცნობა, ცეკვა-სიმღერა. დღის ბოლოს დეკანოზთა ხელით ხდებოდა ხატ-ჯვრისა და დროშების წამობრძანება სოფ. თინიკაანში ერთაბრძანებულების სალოცავში წესისა-მებრ დაბრძანება და დავანება.

დროთაგანმავლობაში აზვავდნენ სოფ. ლომისისა და ოხირის ოსები, სამღვთო პა-ტიოსანი ტერიტორიულად ჩვენი სოფლების საზღვრებშია, მასზე დამდინარე წყალი ჩვენზე ჩამოდის და მისი ხატ-ჯვარი და დროშებიც აქ მისივე სალოცავში ჩვენი მეთვალ-ყურეობის ქვეშ უნდა ინახებოდესო.

ერთხელაც ლომის-ოხირის ოსურმა მოსახლეობამ, სამღვთოს ხატობიდან უკან დაბრუნებულ მრევლს ძალის გამოყენებით წაართვეს ხატ-ჯვარი და თავიანთი ჩანაფიქ-რი საქვეყნო კანონად გამოაცხადეს: რომ, დღეიდან ხატი, ჯვარი, დროშები და სხვა ინ-სიგნიები უნდა შენახულიყო იმავე სამღვთო პატიოსანის სალოცავში, ამავდროულად ერთი რიგითი დეკანოზი და ტარასტა უნდა ყოფილიყო ადგილობრივი ოსების წარმო-მადგენელი.

ამ არასასიამოვნო მოვლენიდან რამდენიმე დღის შემდეგ ხეობაში გავარდა ხმა, რომ ერთაბრძანებულება ითხოვს სამღვთო პატიოსნის კუთვნილ ხატ-ჯვარს, რის გამოც ვინმე სოფიო დაამიზეზა. რომლის ხელითაც ითხოვს წართმეულის – სახევისთავოს სა-ლოცავში დაბრუნებას. მაშინ ოსთა მოძღვარმა სამღვთოში დაყენებული მცველები გააფ-რთხილა: ქალი მოვა თუ კაცი ხატ-ჯვრის წასაღებად, ყველა თვალხილულს გალავანში თავდახრით შემოსვლისას (კარების სიმცირის გამო ყველა შემსვლელი თავს ხრიდა) თა-ვი გააგდებინეთო, მაგრამ თუ თვალაუხილავად მოვიდეს ჩვენგან მიჩენილ ადგილზე, იპოვოს ხატ-ჯვარი და ისევ თვალაუხილავად უკან გამოვიდეს, მაშინ მივენდოთ უფ-ლისა და ერის ნებას და ნურას დაუშავებდეთ ღმერთის ნებისამღსრულებელს.

მართლაც სამღვთო პატიოსანის სწორზე, სოფ. ქენქაანიდან ლომისის ხევის შოში-ანთკარში გათხოვილი თინიკაანთ ქალი სოფიო, ფეხშიშველი, თვალაუხილავად მივიდა სამხთოს კარზე, შევიდა, უჩინარ ადგილიდან აიღო ხატ-ჯვარი, მოაცილა აბლაბუდე, რომელშიც ოსთა მოძღვარს განგებ გაეხვია. წამოაბრძანა კრძალვით, გვემით. გადალახა მდინარე ქსანი ისე, რომ ქალს შიშველი ფეხიც არ დასველებია და დააბრძანა თავის ძველ ადგილზე სოფ. თინიკაანში.

ამ შემთხვევიდან სულ მალე ლომისის მთის უფრო აღმოსავლეთით აიგო ახალი ე.წ. ოსების სამღვთო, რომლითაც გაემიჯნა ერთმანეთს სამღვთო პატიოსნის მავედრებე-ლი ქართველი და ოსი მრევლი. თუმცა მათ გამაერთიანებლად და შემდუღაბებლად კვლავ რჩებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყველაზე ძლიერი სალოცავი, მთავარმოწამე ლომისის წმინდა გიორგი.

---

* ცხვრის ფარაში «დოლის» დასაწყისში დაბადებული წითელი ფერის მამალი ბატკანი. (წითელი ფერი ასოცირდება როგორც ხატის ფერი.)

* დღესასწაულში ხატ-ჯვრების გადაბრძანებისას, გზად გავლილი სოფლების მცხოვრებთ დეკანოზ-მეხატეთათვის, წესისამებრ, გზაზე უნდა დაეხვედრებინათ მოკრძალებული სუფრა _ საჭმელ-სასმელით.

გამხიტაანთ ოქროპირი და ბატონი

XIV საუკუნის ბოლო მეოთხედი საქართველოში დიდი უბედურებებისა და ხოცვა-ჟლეტის ხანაა. ქვეყანა სისხლის წვიმების არენად გადაიქცა. განსაკუთრებით დიდი ტრაგედიები საქართველოში მეფე ბაგრატ მეხუთის მეფობის (1360-1390 წწ.) ბოლო წლებს დაემთხვა. აღმოსავლეთიდან მოჰქროდა ყოვლის დამანგრეველი ტაიფუნი «კოჭლი რკინის კაცი.»

თემურლენგს უკვეა დაეპყრო შუა აზია, ხორეზმი და ხორასანი, საიდანაც ირანში შემოიჭრა. აიღო თავრიზი, ზედიზედ ეცემოდნენ სომხური პროვინციები, მალე ჯერი თბილისზე დადგებოდა. მეფე ბაგრატ მეხუთემ ქართველთა ჯარები მიაშველა სომხებს. სამხედრო ძალებით, მაშველთა რიგებს ამშვენებდა, ცხრაზმის პატივმოყვარე ერისთავი რიზია ქვენიფნეველი.

ბრძოლები მეტად მძიმე და არათანაბარი ძალებით წარმოებდა. ქართველთა და სომეხთა ჯარები ვეღარ აკავებდნენ მტრის ჭარბ ძალებს და უკან იხევდნენ. მტერმა ბასიანში ტყვედ ჩაიგდო ქართველთა რაზმები, რომლებიც მარცხისას მთავარ ძალებს ჩამორჩნენ. ტყვეთა შორის იყო ქსნელი რიზია ქვენიფნეველი და მისი მედროშე სეფე ყმა, ქარჩოხელი, სოფელ ხოზოეთიდან ოქროპირ გამხიტასშვილი.

სიმდიდრეს დახარბებულმა სარდლობამ ვაჭრობა დაიწყო ქართველ ტყვე დიდემულებთან განთავისუფლებაზე. ბევრმა შესძლო საკუთარი ტყავის გადასარჩენად სოლიდური თანხის გადახდა, ბევრი კი მტრის მახვილმა შეიწირა მოწამეომარივი სიკვდილით.

თქმულების მიხედვით ტყვეობაში გვერდიგვერდ ყოფილან რიზია და თავისი მედროშე, რომელსაც ბორკილ დადებულს სიზმრად უნახავს სოფ. ხოზოეთის წმ. გიორგის სალოცავი და თვით წმინდანი, რომელსაც გაუმხნევებია ყმა და ბატონი. ტყვეები მხურვალე ლოცვაში ატარებდნენ დღეებს, საშველი კი არსაიდან ჩანდა. ბოლოს ბატონს ოქროპირთან ერთად შეუფიცნია: ხოზოეთის წმ. გიორგი, შენი შეწევნითა და მეგზურობით თუ ტყვეობას დავეხსენით, მაშინ მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე შენი მლოვცველნი და მადიდებელნი ვიქნებითო.

ზღვასავით აგორებული მტრის ურდოები გზადაგზა ყველაფერს სპობდნენ, ცეცხლითა და მახვილით იპყრომდნენ ყოველივეს და საქართველოს უახლოვდებოდნენ. მალე თბილისისთვის გამართულ ბრძოლებში მეფე ბაგრატ V და მისი ოჯახი ტყვედ ჩაცვივდნენ. მაშინ კი ბრძოლებით განთავისუფლების იმედი გადაეწურათ ქართველთ. ერთადერთი გზა ტყვეობიდან თავის დახსნისა, გადიოდა აურაცხელ საფასურ-საგანძურზე რომელიც ქრთამის სახით მტრისთვის უნდა გადაეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ტყვედ მყოფთათვის სიკვდილი გარდაუვალი იყო.

მაშინ რიზია ქვენიფნეველმა ოქროპირი გამოგზავნა საერისთავოში, რომლის მიუსვლელობის შემთხვევაში თავისი სისხლით უნდა ეზღო მტერთან «დანაშაული». ოქროპირმა მოიტანა ქვენიფნევს, სასახლეში ერისთავის უსტარი, რის შემდეგაც მთელმა მისმა სახლეულობამ და სახევისთაოების ეკლესია-მონასტრებმა დიდძალი სიმდიდრე გაიღეს რიზიას განთავისუფლებისათვის. მათ შორის წვლილი ხოზოეთის წმ. გიორგისაც შეუტანია.

ღმერთის შეწევნით სიმდიდრეს დახარბებულ თათარ-თურქმანმა ბელადებმა არ მოკლეს ქვენიფნეველი. მისი მედროშის მისვლას დაუცადეს, აიღეს დიდძალი სიმდიდრე ქრთამად და გაანთავისუფლეს ტყვეები.

მშობლიურ ქსანზე მოსულ ბატონს არ დავიწყებია ხოზოეთის წმ. გიორგისადმი თავისი დანაპირები. ღამისთევობდა, კლავდა კურატებს, ღვინო რუმბებით მიჰქონდა. სწირავდა ხატ-ჯვრებს და სხვა უამრავ შესაწირს. მაგრამ ეს ხდებოდა არა «ქვეყნის გიორგობა» დღეს – 23 ნოემბერს, არამედ ორი დღით ადრე 21-ში, რათა ბატონი ლარგვისშიც დასწრებოდა თავის მამა-პაპეულ საძვალე-სალოცავში წირვას, ვინაიდან იქ მღვდელ-მთავარი მას და მისი ოჯახის წევრებს ლოცვაში მოიხსენიებდა და როგორც ბატონმა არ ისურვა ამ ჩვეულების გადაგდება.

გასაგები მიზეზების გამო, ხოზოეთში მცხოვრებმა ოქროპირმა და მთელმა სოფელმა გაითვალისწინა რა ბატონის «კეთილი სურვილები», რამდენიმე დღით ადრე იჭერდნენ თადარიგს საგიორგობოდ. 21 ნოემბერს სოფლის სალოცავში ბატონისგან მოტანილ ჭარბ სანოვაგით სოფლის მოსახლეობა 23 ნოემბერსაც ახერხებდა დღესასწაულის აღნიშვნას. ეს ყველაფერი გრძელდებოდა მანამ სანამ ბატონი და სეფე ყმა დაიხოცებოდნენ.

***

თქმულებების მეტი სიცხადისათვის, საჭიროდ მივიჩნევ, მკითხველს ვაუწყო თქმულებასთან კავშირში მყოფი ერთი მეტად საინტერესო გარემოება.

1908 წელს საძეგურში აღმოჩენილ «ახალგორის განძთან» დაკავშირებით, ქსნის ხეობაში, კერძოდ საძეგურში, ცხავატსა და ლარგვისში მოწყობილ ექსპედიციებისას, დიდმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა ცხავატის ღვთისმშობლის ეკლესიაში მიაკვლია და აღწერა ოქროს საწინამძღვრო ჯვარი, (24X19 სმ.) XIV საუკუნის ხუცური და მხედრული წარწერებით. ეკლესიისათვის აღნიშნული ჯვარი და 2 კომლი გლეხი შეუწირავს რიზია ქვენიფნეველს ბასიანში ტყვედ ჩავარდნის შემდეგ.

ჯვარის წინა მხარეს იკითხებოდა ხუცური წარწერა «იესო ქრისტე». ფოთლოვანი ოქროს ორნამენტით შემკობილს ამშვენებდა ქრისტეს გამოსახულება, ღვთისმშობელი ყრმით. ცენტრში ფრთოსანი ანგელოზი და ლუკას პორტრეტი სახარებით ხელში. სახელურის ზემოთ ოქროს ვაშლზე ლამაზ ორნამენტს ერწყმის ანგელოზების პორტრეტები.

ჯვრის უკანა მხარეს ვერცხლის ფურცელზე XIV საუკუნის მხედრული წარწერა გვაუწყებს «ქრისტე მაცხოვარო, ცხვატისა, ქვენიფნეველ რიზია ერისთავს შემოუწირავს ორი საკომო მამული ზენუბანს. მამული მთითა, ბარითა, ცხავატის ყოვლად წმინდისათვის. ბასიანში დავტყვევდი და შენის საქონლითა თავი დავიხსენ. არა მებატონემ არ მოშალოს».

უეჭველია რიზია ერისთავი ხოზოეთის წმ. გიორგისაც არ მოაკლებდა შესაწირს, რაც ზემოთაც ავღნიშნეთ უკვე. მაგრამ სამწუხაროდ ხოზოეთის სალოცავიდან ჩვენ არანაირი ხელმოსაკიდი საბუთი არ მოგვეპოვება და ექვთიმე თაყაიშვილი, რომ არა ალბათ არც საწინამძღვრო ჯვარზე გვეცოდინებოდა რამე.

დღეს როცა აღარც ოქროპირია და აღარც ქვენიფნეველი ბატონი, (დღეს სოფ. ხოზოეთში უფრო სწორედ ნასოფლარში ოქროპირის ნაქონ მამულს სეაფეთას ეძახიან) მათგან პროვოცირებული და დღეს მემკვიდრეობით მიღებული დეგრადირებული ზეიმი, სოფ. ხოზოეთში, ჩვენის ღრმა რწმენით, მრევლისაგან უკუგდებული და დავიწყებული უნდა იქნეს. ამავდროულად იქნეს აღდგენილი ტრადიციული საეკლესიო კალენდრის მიხედვით 23 ნოემბერი, როგორც საქრისტიანოს საერთო ძლევამოსილი წმინდანის დღესასწაული.

დარბევა ცხავატურად

ქსნის ხეობის ერთ-ერთი ულამაზესი, ისტორიული ცხავატის ხევი, ფეოდალურ ხანაში ეკონომიურად და პოლიტიკურად დაწინაურებულ, მაღალი კულტურის მატარებელ სახევისთაოს წარმოადგენდა.

ხალხით სახნავებით, სათიბ-საძოვრებით, ციხე-სიმაგრეებით, ტაძრებით, კერამიკის წარმოების ბუნებრივი რესურსებით, მდიდარი კუთხე საერო და სასულიერო ცხოვრების ნამდვილი ოაზისი იყო.

ცხავატის სახევისთავო, დოფი, შხამურის ციხე – უმტკიცესი და უმშვენიერესი ნაგებობა.

მტრედივით თეთრი მაცხოვრის ეკლესია, მე-10 საუკუნის ლაპიდარული წარწერით.

ციხე-სალოცავი წმ. ბარბარესი.

და ყველაზე ღირსშესანიშნავი, პომპეზური და საამაყო ღვთისმშობლის სალოცავი: ძვირფასი ფრესკებით, სამრეკლოებით, გალავნით, ლამაზად გაფორმებული შესასვლელებით, უნიკალური წყალსადენ და რძისსადენ სისტემით, გალავანში მოქცეული სენაკებითა და დამატებითი სამლოცველოებით, უანგარიშო სადგომები და საცხოვრისები ბერთათვის, წისქვილები და ორმო-ბეღლები, უამრავი თავდაცვითი, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, საიდუმლო სამალავებითა და გვირაბ-გასასვლელებით. ერთ-ერთი უმთავრესი რგოლი ქსნის ხეობის ოპტიკური ტელეგრაფის ერთიანი ჯაჭვისა.

ცხავატის ღვთისმშობლის ადგილ-მამული: სახნავი, ზვარი, სათიბი, საძოვარი, ტყე, წყარო და რამდენიმე ათეული შეწირული ყმა გლეხი.

ხვასტაგი: ხარი, ძროხა, ცხენი, ჯორი, ცხვარი, თხა და ირმის ჯოგი. ამასთანავე რამდენიმე ასეული ფრთა ქათამი და ხოკრებით ფუტკარი.

თქმულების მიხედვით ძველთაგანვე დათქმული და გაუტეხელი წესის თანახმად, ცხავატის სახევისთავოს ათი სოფელი ერთმანეთს მეკოდეობას ანუ დახმარებას უწევდნენ, მტრის შემოსევების დროს. ამასთან ერთად, დაუწერელი კანონი სასტიკად კრძალავდა ხევის მცხოვრებთა შორის ყოველგვარ ინტიმურ კავშირს ე.ი. დაცული იყო ეგზოგამია და იკრძალებოდა შიდა ქორწინებები. მაგრამ ძველ დროშიც გრძნობების დაუოკებლობა სიყვარულის ეგზოტიკურ ქსელში ახვევდა იმ დროის ახალგაზრდობას.

საყოველთაოდ მიღებული კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებას ცხავატურად «დარბევას» ეძახდნენ.

დუღდა ცხოვრება მდიდარ სახევისთავოში. ღვთისმშობელში ასზე მეტი ბერ-მონაზონი, კულტურულ-საგანმანათლებლო შემოქმედებისთვის სულიერ საზრდოსთან ერთად ხორციელ საზრდოს, მთიდან ჩამოდენილი ირმის გუნდიდან იღებდა.

ყოველ საღამოს სალოცავთან სამარილეზე,* ულდის მთიდან მეწველი ირმის გუნდი ჩამოდიოდა თურმე. ბერები ხის კასრებში წველიდნენ, აჭმევდნენ მარილს და უკან მთაში ბრუნდებოდნენ. ასე გრძელდებოდა ყოველ დღე, სანამ წმინდა ბერთაგან ერთ-ერთს ეშმაკი არ დაეპატრონა.

---

* სიპი ქვებით გაწყობილი ადგილი, სადაც მწყემსები ცხოველებს მარილს აჭმევენ.

ყველაფერი კი შემდეგნაირად მოხდა. ერთ ჩუმანელ[**] ლამაზ, ვნებიან ქალს გულში ჩაუვარდა ახალგაზრდა ბერი, რომლის სიყვარული თანდათან გულს უღონებდა და გონებას უბნელებდა.

ბერი მალევე მიხვედრილა ქალის ხვაშიადს და მისგან თავი შორს დაუჭერია.

ქალი მოსვენებას არ აძლევდა. განგებ იმ გზაზე, იმ ადგილას დაიარებოდა საითაც ახალგაზრდა ბერს უწევდა გავლა. არც შორიდან ჭვრეტას და კრთომას ერიდებოდა.

დრო გადიოდა. ამორძალი ქალი არ ცხრებოდა. ხშირად ხვდებოდა ირმის ჯოგს გზაში და თავის თავსაფარს ახვევდა ყელზე იმ ირემს რომელსაც ყოველთვის მისი ოცნების ბერი წველიდა. ბოლოს ვეღარ გაუძლო სუსტი ნებისყოფის მქონე ბერმა ქალის ვნებიან გამოწვევაას და ეშმაკს მიჰყიდა თავისი ცოდვილი სული.

ის დღე იყო და ირმის ჯოგი ცხავატის ღვთისმშობლის ბერთა სადგომებს აღარ გაჰკარებიან.

ცნობისმოყვარე ბერები მეორე დღესვე წავიდნენ მთებში რათა გაეგოთ მიზეზი ირმების მოუსვლელობისა, მაგრამ ამაოდ. ირმები ვეღარსად ნახეს. მაშინ ბერთა წინამძღვარი მიხვდა ყველაფერს და ხმამაღლა იკითხა: «ვინ შებილწა და შეაგინა ქრისტეს მცნებას, ვინ შეიქმნა ცოდვილი და ჩაიდინა უმსგავსო საქმენიო!»

ცოდვილი ბერი წინ წადგა, მუხლებზე დაემხო და აქვითინდა. ეს ყველაფერი დარბევით დამთავრდა. დამნაშავეები რომლებმაც რჯული და თემი შეარცხვინეს – გააშიშვლეს, სახედრებზე უკუღმა შესვეს, ფეხები შეუკრეს. სახედრის კუდები ხელთ დააჭერინეს და ასე ლაფისა და ფურთხის სროლით ცხავატის სოფლები მოატარეს, ბოლოს კოლოტირაში იქ სადაც ეხლა ცხავატლები ჭაობ-ტბებს ეძახიან ცოცხალ-მკვდრები დაყარეს.

უკან გამობრუნებულმა ხალხმა «ვირზე გასმული» ბერის სარგოდან (ღვთისმშობლის შემოსავლიდან) ხარი დაუკლეს, ხოლო ჩუმაანელ ქალის ოჯახიდან ძროხა. შემდგომ პროცესის მონაწილეთ დანარჩენ სხვა ხალხთან ერთად გამართეს «ნავსიანი» პურისჭამა და ქეიფი.

ამ ამბის მერე ცხავატის ღვთისმშობელთან, აღარც მეწველი ირმები ვინმეს უნახავს და აღარც ბერები. იქ მხოლოდ მონადირეთა მიერ შეწირულ ხარ-ირმის რქებს თუ ნახავდა მისული კაცი».

***

ცნობილია, რომ სახედარზე ანუ ვირზე შესმა შუა საუკუნეებში მიღებული იყო როგორც დასჯის, გამაწბილებელი სასჯელის ერთ-ერთი სახე. ის ცნობილი იყო ბიზანტიელთა ყოფისთვის და ქართული სინამდვილისთვისაც. ასე მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულში «სამართალი ბერძულის» მიხედვით, ვირზე შესმა არის დასჯის ერთ-ერთი სახე მთელი რიგი დანაშაულებებისთვის. მაგალითად მსაჯულის გინებისთვის, წამლის მიცემით დედაკაცის მუცელში შვილის მოკვლისთვის და სხვა.

ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებში იკვეთება ქმრის მიერ ცოლის დასჯის ერთ-ერთი ზომა – გასახლება. ვარსქენი შუშანიკს ემუქრებოდა თუ ტაძრად არ მიხვალ – «ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა». გამოდის, რომ ვარსქენი შუშანიკს კარაულით ე.ი. სახედარზე შესმით გაგზავნას ემუქრებოდა.

[**] «ჩუმანი» _ პატარა უბანი ცხატავის ხევზე, სადაც ამჟამად ბუნტურების საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები ცხოვრობენ.

ასევე ვირზე შესმის გამაწბილებელ სასჯელს ვხვდებით XI ს. საისტორიო თხზულებაში «მატიანე ქართლისა»-ში აღნიშნულია, რომ ისაკ ტოლობელისძემ, მესხმა აზნაურმა, «დაიჭირა ხელითა გასუა ჯორსა ფადლონ» – თბილისის ამირა.

უწესურთა, მოღალატეთა და ტრადიციის დამრღვევთ ვირზე უკუღმა შესმა და სოფელ-სოფელ ჩამოტარებამ აგრეთვე ასახვა ჰპოვა მე-20 საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში და არამარტო ლიტერატურაში:

«პერანგა ქალი უკუღმა შაესვათ ვირზე...

ახლაც მაგონდება იმ ქალის კუნთების თრთოლა,... ენატრებოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი არსად ჩანდა და მისი ტანჯვა კი ძნელი იყო ვითარცა სიკვდილი!

...თრთოდნენ ქალის ანგელოზი მხრები ბრბო კი ტალახსა და საქონლის ფუნას ესროდა თეთრ პერანგზე, რომელსაც თანდათან ფერი ეკარგებოდა». (გ.ლეონიძე, მარიტა, იხ. მისი ნატვრის ხე.)

სასჯელი ვირზე შესმა ახლო წარსულში დადასტურებულია ქარჩოხელთა ყოფიერებაში, როგორც ხეობის ეთნოგრაფიული სინამდვილის უტყუარი მაგალითი.

გასული საუკუნის გარიჟრაჟზე, ქარჩოხის სოფ. ხოზოეთის მცხოვრებთ შეუპყვრიათ თავზე ხელაღებული ქურდი, ყაჩაღი და შარლატანი ვინმე ჭურთელი «თოკა». დამნაშავე, ვირზე უკუღმა დედისშობილა დაუკრავთ და სოფლები დაუტარებიათ. ყაჩაღს სოფ. ბალაანში ძველი ნაცნობი, ზევითლიანთ წიწი ბალაშვილი გამოსარჩლებია, დაუხსნია აღნიშნული უბედურებისაგან, დაუბანია, ჩაუცმევია, დაუპურებია და ღამეც თავისთან გაუთევინებია.

ამრიგად, როგორც ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან და საველე ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული ყოფილა დასჯის შემდეგი ფორმები: 1. ქედზე ჯაჭვის შებმა. 2. ფეხებზე ბორკილის დადება. 3. თავისა და წვერის გადაპარსვა. 4. ცხვირის გახვრეტა. 5. ძელსა აღბმა. 6. პყრობილება. 7. სახედარზე გასმა. 8. მოკვეთა. 9. გასახლება. 10. ყველაზე რადიკალური ფორმა ჩაქოლვა. მათგან უმრავლესობა ფიზიკურ სასჯელს განეკუთვნება, უმცირესობა კი გამაწბილებელს.

მზარეულიანთ ქალი ია

გადმოცემით ძველ დროში, როცა ჯერ კიდევ ხევსურეთში ხარის დასაწოლი ფართის სახნავი მიწა ერთი ხარი ღირდა, მაშინ ქსნის ხეობის მთიან სოფლებში ამდენივე მიწის ფართობი ერთი ხარის ტყავი ანუ ერთი ჭედილა. ძვირი იყო თუ არა ქარჩოხში მიწა, ამაზე მკითხველმა გააკეთოს დასკვნა წინამდებარე თქმულებიდან.

ქარჩოხში, სოფ. ქენქაანის სამხრეთით, ორ პატარა დასახლებას – მზარეულიანსა და კვირიკეთს შორის, მრავალი წელი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა ბრძოლა და კინკლაობა სახნავ-სათიბებზე.

კვირიკეთელები არაგვის ხეობიდან გადმოსული 12 ძმა ნარიმანიძე იყო. ახალმოშენეთ არ ჰქონდათ საკმარისი სახნავ-სათესი. ახოების გასაკეთებლად ტყის უქონლობაც უშლიდა ხელს. მხოლოდ აქა-იქ მცირე მამულები, ნატეხ-ნატუსები და ნაყვრები წლის სამყოფ მარცვლეულის ნახევარსაც არ იძლეოდა.

მრავალსულიანი ოჯახი თავისას მოითხოვდა. ძმები გასაყრელად და გასამრავლებლად ემზადებოდნენ, მანამდე კი ფხიზელი, მზაკვრული თვალით უყურებდნენ მე-

ზობლად სოფ. მზარეულიანში მცხოვრებ, სამოყვროდ ჩაფიქრებულ ქენქაძეებს. მალე სიმდიდრით გამორჩეული მზარეულიანი და მარიფათიანი ნარიმანიძეები დამოყვრდ-ნენ. თორმეტიდან ერთ-ერთმა ძმამ ცოლად შეირთო სილამაზით და გონიერებით გა-მორჩეული ქალი ია.

მიუხედავად ამისა, კვლავ სიმდიდრის ხელში ჩაგდების წყურვილი ახრჩობდა უმიწაწყლო ნარიმანიძეებს. ქენქაძეებმა კი დაივიწყეს ძველი მტრობა და გულდანდო-ბით წყალობდნენ და ყვარობდნენ ახალ ნათესავთ.

მზარეულიანთ ქალი ია ჯერ კიდევ პატარძალი იყო, რომ დროებით დაწყნარე-ბულმა კვირიკეთელებმა კვლავ აიშალეს ბალანი მოყვრების წინააღმდეგ, შურის თვა-ლით უყურებდნენ მათ სიმდიდრეს, ცხვარ-ძროხას, სახნავ-სათესებს, სათიბ-საძოვრებს და წიფლის ტყეებს. ყველა ამ სიმდიდრეს ხელს სდებდნენ მზარეულიანი და გასაქანი არ ეძლეოდათ ახალმოშენეთ, რომ ტყეების ხარჯზე ახოები გაეტეხათ.

მალე ამ უმთო-უმამულო ხალხმა ახალ დამოყვრებული მზარეულიანის სრული ამოწყვეტა და მათი სიმდიდრის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. ითათბირეს და დაადგი-ნეს, რომ მთვარიან ღამით დასცემოდნენ, რიცხობრივი უპირატესობა გამოეყენებინათ და კომბლებით, სრულიად უხმაუროდ ამოეხოცათ მძინარე მზარეულიანი. დროც დაი-ნიშნეს – გადასული შუაღამე, მამლის პირველი ყივილი, მანამდე კი ადრიანი ძილი გა-მოაცხეს.

ჭკვიან და მიხვედრილ ია ქალს არ გამოპარვია ქმარ-მაზლთა ბჭობა და სამზადისი. პატარძალმა საღამოს ოჯახის დასანახად ქვაბით წყალი შედგა სამფეხა სადგარზე, ვი-თომ თავის დასაბანად. სინამდვილეში კი ჯალაბის დაძინებისთანავე სირბილით გაია-რა კვირიკეთსა და მზარეულიანს შორის მდებარე ორ ვერსიანი უღრანი ტყე, გააღვიძა ძმები და აუწყა, რომ იმ ღამეს მისი ქმარ-მაზლნი აპირებენ თავდასხმას და მათ სრულ ამოწყვეტას. უშიშარი ია კვლავ სირბილით მივიდა სახლში, თავი დაიბანა და დაწვა.

იას იარაღასხმულმა ხუთმა ძმამ, გაბოროტებული სიძისა და მისი ძმების ამოსახო-ცად ოთარას ახოს ხევის ვიწრო და ღრმა გასასვლელში არჩია ჩასაფრება. მალე მამლის ყივილის დრომაც მოატანა. მგლური ნაბიჯით მიუყვებოდნენ ჩირდილის გზას ნარიმა-ნიძეები. ძმები დანდობილად ერთმანეთის მიყოლებით შევიდნენ ვიწრო ხევში. გაისმა თოფების გრიალი. რამდენიმე წუთიც და თორმეტი ძმა უსულოდ ეყარა ოთარას ახოს ცოდვიან ხევში.

ერთის მხრივ ქმრისა და მაზლების სიკვდილით შეწუხებულმა, ხოლო მეორეს მხრივ, ძმების ხსნით და გადარჩენით ძლიერ გახარებულმა ია ქალმა ლექსით გამოხატა თავისი განცდები.

«თორმეტი ნარიმანიძე,
მე მოვკალ, ქალმა იამა,
ამ ცალსა გულსა ეწყინა,
ამ ცალსა გულსა ეამა».

დღეს ერთ ადგილზე და მეორე ადგილზეც შამბი, ნასახლარები, ნაკალოვრები და აქა-იქ შემორჩენილი ტკბილი და გემრიელი ნაყოფის მომცემი ხეებია. წინაპართ ტყუი-ლად არ უმღერია – «ოდესღაც ჩვენ ნასახლარზე, ბალახი აბიბინდება». ასეთი ბედი ეწია ამ ორ მეზობელ ქართული გენის მატარებელ ხალხს, რომელთაგან ერთის მოთარეშე ყა-ჩაღებით შეწუხებულმა შთამომავლებმა მეზობლად მცხოვრებ მოგვარე ქენქაძეებს შეა-ფარეს თავი, ხოლო ნარიმანიძეებმა ჯერ სოფ. ხარბლის ჩრდილოეთით მუხლუხის ქედ-ზე, შემდეგ კი სოფ. ჭორჭოხში არჩიეს დასახლება.

შავი არწივი

გადმოცემის მიხედვით ამ სამასიოდე წლის უკან ცხრაზმისხევის სიმდიდრით ცნობილ სოფელ დაბაკნეთში, სიღარიბით და უსახსრობით შეწუხებულმა ქსნის ერთისავის ყმამ ბაშარულმა ბერიმ, გადაწყვიტა ზედსიძედ მისულიყო ამავე სამოურავო სოფელ ყველდაბაში დიდი მიწების პატრონ ამირიძე ღარიბასშვილ დათუნას ოჯახში.

ბერი სიმამრის მონაგარზე იდგა, მამულიც იშოვა და კარგი ქალიც შეირთო. დათუნას ასულმა ბერს სამი ვაჟი გაუჩინა: მახარებელი, სიხარულა და გიორგი.

დღითიდღე ბერდებოდა ბაშარული ბერი. საათობლივ ეზრდებოდა ვაჟები ოჯახს. ერთიმეორეზე საქმიანები გერგილიანები და ღონიერები. განსაკუთრებით უფროსი მახარებელი სჭარბობდა ძმებს. რომელსაც დედა შავგვრემანობის გამო მოფერებით შავ არწივს ეძახდა. შემდგომ ამ სახელით მიმართავდნენ როგორც სოფელში ასევე მთელ სამოურავოში.

ერთ მშვენიერ დღეს ყველდაბაში გადასახადის ამკრეფნი მივიდნენ. ბაშარული ბერის ბიჭები არავინ ყოფილა სახლში. მოხუცებს კი უთვქიათ: ჩვენ ვერაფერს მოგცემთ, მოვლენ შვილები და ისინი გაისტუმრებენ ვალებსო.

ვალებს გადახდა უნდა, ჩვენ სადამდე ველოდოთ თქვენ ძაღლისშვილებს. უთქვიათ გაბრიყვებულ გადასახადის ამკრეფთ, ლომა ხარისთვის მოუბიათ საბელი და წამოუყვანიათ მონასტრისკე.

ბედად მალევე დაბრუნდნენ სახლში ძმები. შეიტყვეს თუ არა მოხუცთა თავში ცემისა და წუხილის მიზეზი, მაშინ აღელვებულ უფროს ძმას უთვქია მოგიკვდეთ შავი არწივი თუ ის ხარი დღესვე უკან არ მოგიყვანოთო. მაგრამ შუათანა ძმამ არ დაანება. იმათში ერთი ჩაფრის ჯავრი მჭირს და მე წავალ, ვაჩვენებ როგორი ძაღლიშვილიცა ვარ.

სიხარულა სიხარულით, ფეხდაფეხ დაეშვა «საყარაულოს» ბილიკით კლდეზე და «ბატონის წყაროსთან» დაეწია ბატონის ერთგულთ. დაეწია და ისეთი ყოფა აწია, რომ იმ დღეს მონასტრამდე თუ ჩავიდოდნენ ნაცემ-ნაბეგვნი.

მამასახლისს ცხენი წაართვა, უნაგირი მოაძრო, თაქალთოები და ძვირფასი აკაზმულობა აქა-იქ მიმოუფანტა, ცხენის კუდი და აღვირი ერთმანეთს შეანასკვა და ასე კისერმოდრეკილი ისედაც გადარეული ულაყი ხარბლის ჭალაზე მიაბრუნა. თავის ლომა ხართან ერთად კი წყნარად აუყვა მზვარის ქედს და ჯერ მზე ისევ მაღლა იყო როცა ხარიც და პატრონიც ბინაზე მივიდნენ.

ორი დღის თავზე ყველდაბის სიმშვიდე კვლავ მონასტრიდან მისულმა გზირმა დაარღვია. რომელმაც აუწყა, რომ ერისთავი თავისთან იბარებდა ურჩ ყმას.

სიხარულა ბატონთან წასასვლელად გაემზადა. ამჯერად უფროსმა ძმამ შავმა არწივმა არ გაუშვა.

ეხლა მე ვიცი, მე წავალ დამიჯერე. შენ თუ მუშტში ხარ მაგარი, მე ჯოხის ხმარებაში. ეს ხომ შენც იცი კარგად. ერთმანეთს ძალიან ვგევართ და ბატონი ვერაფერს გაიგებს შენ ხარ არწივი თუ მე. ძმა დათანხმდა.

მახარებელმა თავისი შინდის მოკლე კომბალი ზურგსუკან იდაყვებში გაიყარა და აქ ვითომც არაფერიაო დამშვიდებული წავიდა ბატონთან. ჯალაბი კი დარდმა და ფიქრმა დალია სანამ შავი არწივი სახლში მოფრინდებოდა.

ბატონთან ახალგორში ჩასული მახარებელი ერისთავებთან მიიყვანეს. მაგრა ერისთავმა არ ინება თავხედ ყმასთან დალაპარაკება.

ჩემი მოურავი და მისი ბიჭები ასწავლიან როგორი უნდა მუშტი-კრივიო. უთქვია ერისთავს.

მახარებელი შიგნით დიდ გალავანში არ შეუშვეს, აბანოს მხრიდან ეზოში იცდიდა კომბალზე დაყრდნობილი.

როგორც იყო მოურავმაც მოიცალა. სამ ბიჭთან ერთად მივიდა იქვე მუხის ხის ქვეშ ჩამოჯდა და დაკითხვა დაუწყო დამნაშავეს.

არ გასულა დიდი ხანი, რომ მოურავს სიცილი აუტყდა, რაც ბიჭებისთვის ერთგვარი ნიშანი იყო, რომ...

მახარებელი განზე გახტა, მანამდე ხელში ნაჭერი ნაბდის ქუდი თავზე დაიფარა და დაიძახა – არ მომეკაროთ.

თითქოს არც გაუგიათ. ყოჩაღი ბიჭები დინჯად მიემართებოდნენ მისკენ, წუთი და სამივე ძირს ეყარა.

წამოხტა განრისხებული მოურავი. ტაში შემოკრა და დაიძახა ბიჭებო აქეთ! წამს ოთხი კაცი მოვარდა. მაგრამ იმათაც ძირს დაყრილთა ბედი გაიზიარეს.

მოურავი კინაღამ, გაგიჟდა. ერისთავო! ერისთავო! მოვკლავ ამ ღორის ტილს! და ხანჯალი გააძრო.

ერისთავი კი ამ ოინებს სასახლის ბოლოს სართულის რიკულებიდან უყურებდა და იღიმებოდა.

აქ ამომიყვანეთ! გადმოსძახა ერისთავმა მოურავს მშვიდი და ლმობიერი ხმით.

კომბალდაბღუჯულმა მთიელმა სხვის მიუთითებლად გასწია სასახლის მთავარ შესასვლელისკენ. ჩრდილოეთის ჭიშკარი გაიარა და გაჩერდა. უკან ადევნებულმა და დაბნეულმა მოურავმა უსიტყვოდ გაუარა გვერდზე და უკანმოუხედავად გაემართა ერისთავისკენ.

შავი არწივი ერისთავს, თავქუდმოხდილი და ჯოხდაბღუჯული მიუახლოვდა თავი დარბაისლურად დაუკრა და დაელოდა.

ერისთავმა ურჩ ყმას ვინაობა და საქმის არსი ძირფესვიანად გამოკითხა, მერე თითქოს სინანულით თავი აქეთ-იქით გადაიქნია და კმაყოფილება მინიჭებულმა ხელი ჭაღარა წვერზე დაისვა.

ვეჟო, მარიფათიანი ბიჭი ჩანხარ და შენი სიტყვა-პასუხიც მომეწონა, ამიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემს სამსახურში მიგიღო.

მახარებელმა წინდახედულობა გამოიჩინა. ერისთავს წყალობაზე ზრდილობიანად მადლობა მოუხადა და დასძინა. ვერაფერს გეტყვით დიდო ბატონო, ჯერ მივალ სახლში, ჯალაბს შევეკითხები და პასუხსაც მერე მოგახსენებთო.

ამ ამბიდან არ გასულა დიდი ხანი და შავმა არწივმა ცრაზმისხევის მოურვის სახელო მიიღო. მას 13 სოფელი ჩააბარეს სამართავად და ყველდაბიდან ისევ ხეობის ცენტრში დაბაკნეთში დასახლდა. უბოძეს კარგა მამული და დიდად მადლობდნენ ასე ერთმანეთს ბატონი და ყმა.

შემდგომ მახარებელს ხშირად უთქვია თავის ძმისთვის – სიხარულასთვის: შენ გეკუთვნის ძმაო მოურავობა. ბატონის წყაროსთან, რომ არ გეცემა მამასახლისი და მისი ხალხი მაშინ დღეს სხვა იქნებოდა ჩვენი მოურავი და არა ჩვენ სხვისიო.

მართლაც, «შავ არწივს» რატომღაც მალევე გადაუბარებია სიხარულასთვის მოურავობა და ორივე ძმა დაბაკნეთს დარჩენილან საცხოვრებლად ხოლო უმცროსი, მესამე ძმა გიორგი დედულეთში, პაპის ამირიძე ღარიბასშვილის მამულში დარჩენილა.

გადმოცემის თანახმად მახარებელსა და სიხარულას შემდეგ მოურავობა მემკვიდრეობით სიხარულის შვილზე სოსეზე გადასულა, მისგან კი მის შვილ აბრამზე.

აბრამს ცოლად მუხრანბატონის მოახლე ვინმე ზერეკაშვილის ქალი მოუტაცია, სასიმამროს სასამართლოში უჩივლია. აბრამისთვის ჯვრის წერის ნება მიუციათ, მაგრამ

ჯარიმად 21 თუმნის გადახდა დაუკისრებიათ. ბოლოს სასიმამროს უკან დაუხევია და ჯარიმის ასაცილებლად როგორც უძეო კაცს სიძე «უშვილებია».

აბრამის დროს, მის სიცოცხლეშივე მომხდარა მოურავის ინსტიტუტის გაუქმება.

ბატონიშვილი და ჭურთელები

საქართველოს სწორუპოვარი მხედართმთავრის, გიორგი სააკაძის შთამომავალი, მუხრანელ ბაგრატიონთა სამეფოს შტოს წარმომადგენელი, სრულიად ახალგაზრდა ვახუშტი ბატონიშვილი ლამაზად აკაზმულ ოცდაათიოდე ცხენოსანთა რაზმით, საქართველოს სრული გეოგრაფიისა და ისტორიის შესადგენად ქსნის ხეობას ესტუმრა. იკვლევს, იწერს, სწავლობს, ადგენს საერთისთავოს ყველა თემისა და სოფლის მოსახლეობის წეს-ჩვეულებებს, ზნეს, ხასიათს, ისტორიას, მდინარეებს, ტბებს, მთებს, გზებს, ციხე-ტაძრებს, ფლორას ფაუნას და სხვა მრავალს.

ცხრაზმა-ქარჩოხისა და ჟამურის ხილვით კმაყოფილი უფლისწული ბაგინიდან ნავი ხევის გავლით ჭურთის ხეობას ეწვია. ღამის გასათევად სოფ. ჭურთაში ხევის ცნობილ მოძღვართან გაჩერდა. მისმა მცველ-მებარგულ პეიტრებმა იმ ღამით ნამეტნავად მოილხინეს. სამღვთოს ღია მარნის ცხავატურ ქვევრებიდან საკუთარი ხელით იღებდნენ ოსურ, შავ ლუდს.

გათენდა. დილით ბატონიშვილს და მის თანმხლებ დიდებულთ ხოხაანთ გოგირდიან «თეთრი წყაროს»* წყლით დააბაინეს ხელ-პირი, ილოცეს და ის იყო უნდა წაეხემსათ, რომ ვინმე ყავდინამ** მოიტანა არასასიამოვნო ამბავი: წუხელის «უსირცხონთ» სტუმართა ცხენებისთვის მოეპარათ ოქროთი მოვარაყებული ვერცხლის უნაგირები, თავისივე აკაზმულობით. თან გაუყოლებიათ რუკების შესადგენად საჭირო სქელი ქაღალდები და სხვა წვრილმანი.

გაბრაზდა ვახუშტი, ჩვეული სიფიცხით დატუქსა მხლებელ-მებარგულნი, ხოლო შორიახლო მორჩილად მდგარ ყავდინას რისხვით მიახალა.

– ქაღალდები რაღათ გინდოდათ თქვე ბეცნო და საცოდავნო?!

– შენი წირიმე დიდო ბატონო! საქალამნე შოლტები*** გეგონებოდათ და ალბათ იმიტომაც... ვეღარ დაამთავრა სათქმელი ყავდინამ.

კიდევ კარგი, რომ უწიგნურ-უმეცარნი ხართ, თორემ თქვენი ავკაცობით მთელ ჩემ ნაწერ-ნაწვალ მონაგარს მომპარავდით და დამავსებდითო, – უთქვამს ყმაწვილ ბატონიშვილს. შემსხდარან ცხენებზე შემომწყრალი სტუმრები და უკან მოუხედავად გასცლიან მოჭირნახულე მასპინძლებს.

მრავალი წლის შემდეგ, უცხო ქვეყნის მიწაზეც არ დავიწყნია ბატონიშვილს ეს ამბავი. თავის უზარმაზარ შრომაში ქსნის ხეობის აღწერისას «სტუმართმოყვარე» ჭურთელები შემდეგნაირად დაახასიათა:

«ამას შინა (ჭურთას) მოსახლენი არიან სარწმუნოებით ქართველნი, ეგრეთვე კსნის-ხევისა და ცხრაზმისა. მოსავლითა არს ჭურთა, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი. კაცნი და ქალნი ამ სამთა ხეობათანი არიან, ვითარცა დავსწერეთ მთიულნი, მათნი მიმსგავსე-

---

* თეთრი ფერის ხავსმოდებული უნიკალური გოგირდიანი წყარო გამოდის სოფ. ჭურთიდან სამხრეთით 500 მეტრში.

** სახელი ყავდინა ოსურ ენაში ასოცირდება, როგორც «შავი ძაღლი».

*** ძველად საქალამნე ტყავებს ნაჭრებად ანუ შოლტებად ჭრიდნენ და ჭერში კიდებდნენ.

ბულნი და ისინი ყოველითა უმჯობესნი, ხოლო ესენი ქურდნი, მპარავნი, მძარცველნი, უსირცხონი».

***

ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) დაიბადა 1696 წ. ის ვახტანგ VI-ის ქორწინების გარეშე შვილი იყო, მაგრამ მამის ჯეროვანი ყურადღება არასდროს მოჰკლებია, რის შედეგადაც მან სამეფო კარზე საჭირო აღზრდა და სწავლა-განათლება მიიღო.

ვახუშტის ღვაწლი და სახელი შარავანდედითაა მოსილი. მან შექმნა უბადლო ნაშრომი «აღწერა სამეფოსა საქართველოსა» რომელიც შეიცავს საქართველოს მთლიან ისტორიას დასაბამითაგან XVIII ს. შუა წლებამდე. ნაშრომის შესაქმნელად, მოსკოვში ემიგრაციაში წასვლამდე (1725 წ.) მან ცხენით მოიარა მთელი საქართველო და მათ შორის ქსნის ხეობა, შეკრიბა ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ზღვა მასალა.

ვახუშტი ბაგრატიონმა მამასთან ერთად მოახდინა არა მარტო ტრადიციული ქართული კულტურის აღგენა-განახლება, არამედ ქართული კულტურის ევროპიზაციაც. «ვახტანგიანში» ფავლენიშვილი ამბობს ვახუშტის შესახებ:

«ვახუშტი ქრისტეს მოსავი მის მცნებაზედა დარგული
სულ აღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული».

როგორც ცნობილია, XVIII ს. პირველ ნახევარში, საქართველოში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის შედეგად 1725 წ. რუსეთში ემიგრაციაში მიდის მამასთან ერთად, სადაც 1742-45 წლებში ამთავრებს აღნიშნულ ნაშრომს.

გარდაიცვალა სიღარიბეში 1756 წელს. იგი იყო გიორგი სააკაძის შთამომავალთაგან მეხუთე თაობის წარმომადგენელი. დაკრძალულია მოსკოვში დონის მონასტერში. 1934 წელს ვახუშტის საფლავის ქვა დაიკარგა.

ქისიანელი ფალავანი

XVIII ს. ფეოდალურ საქართველოში ერი და ბერი დროის შესაფერისი ცხოვრებით ცხოვრობდა. მეფე მეფობდა, ერისთავი ერისთავობდა, ბატონი ბატონობდა, ყმა კი მორჩილად ყმობდა სუყველას. ძალიან ხშირად ყმა უფრო სჭირდებოდა ბატონს ვიდრე ბატონი ყმას. ამ შემთხვევაშიც ყოვლის შემძლე ბატონი ეძებს და თავისთან უხმობს ყმას.

ნადიმობითა და ნადირობით თავმობეზრებულ მუხრანის ბატონს კაცი გამოეგზავნა საქართველოს ყველაზე ძლიერ ქსნის ერისთავთან და შემოეთვალა: ამა და ამ დღეს მოვდივარ ჩემი ბეჭდაუდებელი ფალავნით და ნაქები ხუმარით, შენ კი მანდ დაგვხვდი როგორც ქსნელებს გვჩვევიაო.

მოწყენილ ქსნის ერისთავს არ სწყენია მუხრანბატონის შემონათვალი. მიიღო მისი გამოწვევა და შეუთვალა. მობრძანდით და ჩვენც აქ დაგხვდებითო. მოჩვენებითი სიმშვიდით ელოდა ერისთავი დათქმულ დროს. შიშობდა არ შერცხვენილიყო ამაყ ბატონთან. საერისთავოს ოთხივკუთხით გააგზავნა კაცები ფალავნების მოსაყვანად. ერთი მათგანი მდინარე ქსანს აღმა შეუყვა. ადრიანი ზაფხული იყო, ქსანი აქოჩრილი მოდიოდა ყელის ტბის ხორგებით ამღვრეული. ხიდები ყველგან დაენგრია და გაეტაცა. ერისთავის კაცს მდინარის მარჯვენა მხრის სოფლებში ვეღარ გაებედა გასვლა და მარცხნივ აჰყოლიყო სოფლებს.

ქარჩოხში, ცოცხვიროს პირდაპირ, გაღმიდან ერთი თავზე ხელაღებული მხედარი მოარღვევდა გაავებულ ქსნის ტალღებს. ერთგან თითქმის აღარც ჩანდა ტბიდან მოვარდნილ შმორიან წყლის ორთქლსა და ოხშივარში. ზოგან დიდ მორევებში კაცსა და ცხენს მხოლოდ თავებიღა მოუჩანდათ.

ღმერთის იმედით სტიქიასთან ბრძოლა მშვიდობით დამთავრდა. ნაპირზე გამოსულმა მხედარმა უნაგირზე უკან შემოდებული მამაო თავდაღმა დააყუდა, რომელსაც ზიარებიდან მომავალს, სასმლით გონება დაბინდულს, ანგარიშმიუცემლად შეეგდო ცხენი აქოთებულ მდინარეში.

მხედრის სიმარჯვითა და გულოვნებით მოხიბლულმა ფალავნის მაძიებელმა გაიფიქრა: იქნებ ეს კაცი აღმოჩნდეს ის ვისაც მე ვეძებო და მიეჭრა, მიესალმა და საქმის ვითარება მოახსენა.

ჭაბუკმა დიდად იუარა. მე რა ვიცი ჭიდაობის, ან რომელი გოლიათი ვარ, მაგ საქმისთვის ჩემი უფროსი ძმა თუ გამოგადგებათ. წამოდი, აი იქ იმ სოფელში ვცხოვრობ, მიუთითა ლომისის მთის კალთაზე შეფენილ პატარა სოფელზე. ჩემი ძმა სახლშია და პირადად ნახეო. მოსულიერებული მღვდელი მენათოსეებს* შეატოვეს და ორივემ პირი ქისიანთკე იბრუნა.

სოფელში მისულთ, სახლთან ახლოს ფესვიანად მოგლეჯილი არყისა და ლეკას ხეები დახვდათ დაყრილი. გაკვირვებულმა სტუმარმა იკითხა, მოუჭრელ გაუსხეპავად ეს ხეები რით ან როგორ მოიტანეთო.

შენ ხარ-უღლით მოტანილი არ გეგონოს, ჩემმა უფროსმა ძმამ მოათრია მხრით ნაზვაურიდანო, და გამოჩნდა კიდეც კაცი, რომელიც ბანთ უკნებში ზვავისგან მოგლეჯილ არყის ხეს მოათრევდა და ისე სუმუქად მოდიოდა თითქოს ხის მაგივრად სახრე უდევს მხარზეო.

აი ის არის ჩემი ძმა! – მიუგო ჭაბუკმა.

ქისიანთ დევიც მოვიდა. შუახნის კაცს მსხვილი და გრძელი მკლავები ლატნებს უგავდა, ხელის მტევნები ბარს, მუშტი კომბალს. ახოვანი ტანი და მშვენიერი პირისახე შორიდან გამოქანდაკებულს მიუგავდა. მისულმა დამხვდურს ყველაფერი უამბო. ერისთავისაგან მოსალოდნელ წყალობაზეც ჩამოუგდო საუბარი. ბარელი სტუმარი იმ ღამით მთიელებმა შინ დაიტოვეს, მეორე დილით კი ორივემ ახალგორისკე გაქუსლეს ცხენებით.

ქსნის ერისთავს მოეწონა ოსი ფალავანი, თავის კაცსაც დაუყვავა, შეაქო, რომ ასეთ წარმოსადეგ და ღონიერ კაცზე გააკეთა არჩევანი. თუმც ეჭვი შეეპარა ერისთავს გამარჯვებაში. ჩემი ფალავანი თითქმის ორმოც წელსაა მიღწეული მუხრანელებისა კი ბევრად ჯეილიაო.

ერისთავის ბრძანებით მთიელ ფალავანი ერისთავების სასახლეში მოასვენეს, დაბანეს, ჩააცვეს, აჭამეს, ასვეს და ამასობაში მუხრანბატონიც მობრძანდა თავისი დასტით.

სტუმრების პატივსაცემად გაიშალა სახელდახელო სუფრა. მთის შავი კალმახი და ცივი წყლების ორაგული, წირქვლის ღვინო და ტკბილეული მიართვეს სტუმრებს. სუფრას დოსითეოზ ფიცხელაური თამადობდა.

ჭიდაობაც მალე დაიწყო. ხალხი რკალად შემოეჭდო ჭაჭა მოფენილ მოედანს. ირგვლივ საჭიდაო მელოდია ისმოდა. ოსმა ფალავანმა, რომ დაინახა მუხრანელთა ახალგაზრდა, ნუგუზალივით შავი თათარი ფალავანი იუარა, შვილის ტოლს როგორ დავეჭიდოო, მაგრამ როცა თავისი ყურით მოისმინა მუხრანელთა წამოძახილები – შეეშინდა! შეეშინდაო! მერე კი გადავიდა მოედანზე.

---

* წყალდიდობისას და მის მერე მდინარეთა პირზე შეშის ნარიყის შემგროვებლები.

ველის ფალავანი ფრთხილობდა, ბევრს მოძრაობდა. მთის ფალავანი კი გულუბრყვილოდ იდგა და ელოდებოდა როდის მოვიდოდა მოწინააღმდეგე მასთან.

ხალხიდან შეძახილები ისმოდა, მაგრამ ყველაზე დიდი შეძახილი და ხალხის გამაყრუებელი ყიჟინა მაშინ გაისმა როცა უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო.

ველის ფალავანი გაუნძრევლად ეგდო პირქვე და სირცხვილნაჭამს თითქოს აღარც ჰქონდა სურვილი ყურძნის მშრალი კლერტებიდან სახის წამოწევისა.

ხალხი გრიალებდა. იხტიბარს არ იტეხდნენ ერისთავიანთ სტუმრები, რომლებიც ფალავანთა მუშტ-კრივში შებმას ითხოვდნენ. მართალია ზემო ქსნელები ზეიმობდნენ თავიანთი ფალავნის გამარჯვებას, მაგრამ ხალხს რომელნიც სეირისა და ბაგრატოვანთა ბატონის, მისი აზნაურებისა და დასტის სანახავად იყვნენ მისულნი არ ესიამოვნათ წუთიერად გამართული ჭიდაობა – მოითხოვდნენ მუშტ კრივში მოწინააღმდეგეთა პაექრობას.

მუხრანელთა 9 ფუთიანი შავტუხა ფალავანი გალახვას არ იმჩნევდა და მუშტში გამარჯვების მოიმედედ მზადყოფნის ნიშნად თავს იქნევდა. არ გასულა დიდი ხანი და მოპაექრეები კვლავ პირისპირ იდგნენ. დამარცხებული გამარჯვებულს მიუახლოვდა, წამიერად მოუქნია მუშტი და ქისიევი შებარბაცდა, მსხვილი შავი თვალებით შორს უაზროდ იცქირებოდა, მაგრამ მაინც ისევ ფეხზე იდგა. ეს ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა.

ხალხი მთიელს მონუსხული შეჰყურებდა და აი, მოაზროვნე თვალებით ყურადღების ცენტრში მოაქცია მოწინააღმდეგე, თან თავისთვის ამბობდა მოკდება! მოკდება!.. მოკდება ეს...!

ზემო ქსნელი ახალგორელთა შეძახილებმა აამოქმედა. ცდის დრო აღარ იყო. მოწინააღმდეგემდე მანძილი მოზომა და უეცრად 9 ფუთიანი ფალავანი ფუთიანმა მუშტმა უგონოდ დასცა ძირს და დაიბუყუნა.

ირგვლივ ახალგორელთა ტაშის გრიალი და გამაყრუებელი ყიჟინა ისმოდა. ფალავან-მოკრივის უგონოდ გდება დაირცხვნეს სტუმრებმა და ოთხმა კაცმა გაჭირვებით გაათრია კნეინების ჩარდახისკენ.

კმაყოფილებით გათანგული ერისთავი მელანივით შავ წვერზე წარამარა ისმევდა ხელს და თან ნადიმობაზე და ხუმარებზე იძლეოდა ბრძანებებს.

იმ დღისით დასრულდა ყველაფერი: ჭიდაობა და მუშტი-კრივი ერისთავიანთ სრული გამარჯვებით დამთავრდა. ღვინის სმაში და ხუმართ პაექრობაში კი მუხრანელმებმა იმარჯვეს.

მეორე დღეს როცა ყველაფერი მიწყნარდა ეზოში გასულმა ერისთავმა თავისთან იხმო ქისიანელი ფალავანი და უთხრა: რას მთხოვ შენი ძალითა და გულოვნებით გამარჯვებულ ბატონსო?

ბატონი ბრძანდებით შენი ჭირიმე, რასაც მიბოძებთ კმაყოფილი ვიქნები – მიუგო ფალავანმა.

მაინც რა გინდა რას ისურვებდი?

– ხორბალი მომეცით ჯალაბი მაძღარი რომ მყავდეს.

– რამდენი გინდა? – გამომცდელი თვალებით შეხედა ბატონმა ყმას.

– რასაც ერთი ხარ-კამეჩი წაიღებსო! – წამოიძახა ვიღაცამ უკნიდან. თუ მხრით რასაც წაიღებს! - ჩაასწორა ერისთავმა. ასე იქნება, დაასკვნა ბოლოს და თან დაუმატა მოწყალე ბატონის სახელის დასაგდებად. ხორბალს იმდენი ტომარა მარილი დაუმატეთ რამდენი დღეც ჩვენთან დაჰყოო.

ზეპირსიტყიერებას არ შემოუნახავს ცნობა იმის შესახებ თუ რამდენი ტომარა ხორბლის მორევა შეძლო ზურგით გოლიათმა ფლავანმა მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ გა-

ნაწყენებულ თავმოყვარე ფალავანს უთაკილია ხორბლის ზურგით წაღება და უარი უთქვია გასამრჯელოზე. მხოლოდ საჩუქრად მიცემულ მარილიდან ერთი ტომარა აუკიდია ცხენისთვის, თვითონაც ზედ შემჯდარა და ასეთი «პტივნაცემი» დაბრუნდა ქისიანში.

ასე დასრულდა ერთი ამბავი უმადური «მოწყალე» ბატონის – ქსნის ერისთავისა და მისი მორჩილი ყმის ქისიანელი ფალავანისა.

***

ახალგორელმა, ნიჭიერმა მწერალმა რევაზ ქისიშვილმა 2001 წ. გამოსცა მოთხრობათა კრებული «მლაშე ცრემლები», რომელშიც ერთ-ერთ მოთხრობად წარმოგვიდგინა «ლეგენდარული გასია». მოთხრობის მიხედვით გოლიათი ფალავანი ქისიშვილი მკვიდრია ლიახვის ხეობის სოფ. ბისოეთისა.

ბატონის დავალებით მას გორში უჭიდავია და გაულახია თურქი ფალავანი. რის შემდეგ საჭიდაოდ ირანშიც კი ჰყოლიათ. ბოლოს ბისოეთიდან ზონკარში ჩასახლებულა და ბრმა შემთხვევის მსხვერპლი გამხდარა.

ჩვენ ვფიქრობთ და ამას საველე-ეთნოგრაფიული-ფოლკლორული ძიებანიც მოწმობენ, რომ ქსნის ხეობელი ფალავანი ქისიევი გასია და ბისოეთელი «ლეგენდარული გასია» – ქისიშვილი ერთი და იგივე პიროვნებაა. რ.ქისიშვილს ცნობილი ფალავანი შეცდომით ჰყავს ბისოეთელად წარმოჩენილი. ის ქსნის ხეობის სოფ. ქისიანის მკვიდრი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ქსანზე ამ თქმულების ხსოვნა ასწლეულებს ვერ გაუძლებდა და საერთოდ არც იარსებებდა. ხოლო რაც შეეხება ქსანზე ქისიევების დამკვიდრებას, მათივე თქმით, პატარა ლიახვის სათავეებიდან ს. ბისოეთიდან არიან დიდი ხნის წინათ გადმოსულნი.

მეწისქვილე და არათანა

ძველ დროში სიპით დაფარებულ, ბანიან ჭალის წისქვილში, ერთი კეთილი მოხუცი მეწისქვილე უზრუნველ-უშფოთველად ფქავდა მტერ-მოყვარის დიკასაც და ნკაზმსაც, დოლის პურსაც და ფეტვსაც. გასამრჯელოს ანუ მინდს ფუთზე 2 გირვანქას იღებდა. მიუხედავად კეთილგანწყობისა რატომღაც მეწისქვილეს ხელი მოცარული და უბარაქო ჰქონდა.

ერთხელაც იჯდა მოხუცი მეწისქვილე თავის წისქვილში და ფქავდა. კარები ჩაერაზა, ბუხარში ცეცხლი ჩამქრალიყო. უცბად წისქვილის დოლაბი გაჩერდა. ფქვილის მტვრით მოცულ ბნელ ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. წამოხტა მოხუცი, აქეთ ეცა, იქით ეცა, ბოლოს საღორეში ჩაიხედა და ჰოი საკვირველება, წყალი გაჩერებულიყო, თითქოს გაიყინაო, აღარ იძვროდა. შეშინებულმა მოხუცმა პირჯვარი გადაიწერა, რამდენი წელია რაც ამ მადლიან საქმეს ვემსახურები და ასეთი რამე ჯერ არ მომხდარაო.

გასაჭირში ჩავარდნილ გლეხს კარებზე კაკუნი შემოესმა, იგი არ დაელოდა სამჯერ დაკაკუნებას* და ანგარიშმიუცემლად მიიჭრა კარებთან, ურდულს გასწია და მძიმე კა-

* ხალხური რწმენით ბოროტი სული ღამე მიდის სახლთან და მძინარე ქალს ან კაცს სახელს უძახის. ვინც გამოუცდელია, ხმას გასცემს «რაია» – ჰკითხავს. მაშინ ბოროტი სული უპასუხებს – «ლავია» თან

რები ჭრიალით გააღო. შიგნით ვიღაც მხარზე ტომარა მოკიდებული კაცი შევიდა, გამარჯვება თქვა და პირდაპირ ხვეწნაზე გადავიდა. შენი ჭირიმე, სახლში მელოგინე ქალი მელოდება, მუცელი სტკივა და უწყლო ხავიწის გასაკეთებლად სასწრაფოდ ხორბალი უნდა დამაფქვევინოო.

აბა როგორ შენი კვნესა მე – მიუგო დამხვდურმა, – წყალი გაჩერდა და წისქვილიც აღარ მუშაობს.

შვიდი წელია** მეწისქვილე ვარ და ჯერ ესეთ რამეს არ მოვსწრებივარ, თან ახალ მოსული საღორეში ჩაახედა. მისი ჩახედება და წყლის დაძვრა ერთი იყო. გაუხარდა მეწისქვილეს, პირჯვარი გადაიწერა და ღმერთსაც და მოსულსაც მადლობა გადაუხადა.

მალევე გაახსენდა მოხუც მეწისქვილეს, რომ ხვიმირი სავსე ჰქონდა ხორბლით და ვერანაირად ვერ მოხერხდებოდა კიდევ სხვა მარცვლის დაყრა. მაშინ ყელგადაგდებით შეეხვეწა მოსული დამხვდურს: ყელზე დამაყრეინეო. რაღას იზავდა მოხუცი – მკლავი და სარეკელა მაღლა აუწია და უცხოდ მოსულმაც მუჭა-მუჭა დაუწყო ხორბალს წისქვილის ყელში ჩაყრა.

დროის მოსაკლავად კარში გამოსულ მეწისქვილეს გარეთ გამეფებულ სიბნელიდან მკაფიოდ მოესმა ძახილი: «უთხარით არათანასა ბიჭი ჰყავს ხეჭეჭურასა!!»*

ძახილი გამეორდა.

გაოგნებული მეწისქვილე შევარდა შიგნით წისქვილში და უცნობს შეატყობინა. ეს უცნობი თურმე არათანა ყოფილა. მანაც სიხარულით აცეკვებულმა წისქვილის გარემოზე, დოლაბებს ორჯერ, შემოატარა ხელი და ორჯელვე დალოცა: ღმერთმა ბარაქა მოგცეთო! და გამქრალა.

გაოგნებული მოხუც მეწისქვილემ კვლავ პირჯვარი გადაწერა და ღმერთს მფარველობა სთხოვა.

ამ ამბის შემდეგ მეწისქვილეს ისეთი ბარაქა და ყისმათი დაჰყოლია, რომ სხვა უკეთეს ვერ ინატრებდა კაცის თვალი და გული.

* * *

ქართველი კაცის ცნობიერებაში წყლის წისქვილები გარდა სასიცოცხლო სამეურნეო დანიშნულებისა, ასოცირდება როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების შთაგონების ობიექტად. გამონაკლისი არც მითოლოგიური ასპექტია. მათზე ზეპირსიტყიერებამ ბევრი საინტერესო ნიმუში შემოგვინახა, მათ შორის «მეწისქვილე და ართანა», სადაც დაფიქსირებულია ეშმაკის იგივე ქაჯის, კუდიანის, ალის და სხვა სინონიმის მქონე ოდიოზური, ბოროტ-ავსულებისაგან კაცის დალოცვა, როგორც მთლიანი გვარის ისე კონკრეტული ინდივიდისა.

ლეგენდა გაჯერებულია ავი სულების მხრიდან ადამიანის მიმართ მოულოდნელი სიკეთითა და კეთილმოსურნეობით, რაც ადამიანისთვის ძნელად დასაჯერებელია. ე.ი. ადამიანის მტერი, მაცდუნებელი ბოროტება მიდის დათმობაზე და უფრო მეტიც ლოცავს მეწისქვილეს, რის შემდეგაც მას ბარაქა, სიუხვე და კეთილდღეობა ეზედება.

დასწყევლის, ის კაცი იმ წელს უთუოდ მოკვდება. ამიტომ ვიდრე სამჯერ არ დაიძახებს ვინმე, ხმას არ გასცემს ამის მცოდნე კაცი.

** გადმოცემის თანახმად ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ წყალი ჩერდება ამ დროს დიდი ხმით გაცხადებული ნატვრა ყველას უსრულდება.

* ქსნის ხეობის სოფლებში ჩაწერილ ლეგენდა «მეწისქვილე და არათანაში» ეშმაკთა სახელებს არათანას, ხეჭეჭურას ენაცვლება: აწაწერა, ბაწაწერა, არაქელა და სხვა სახელები.

ჩვენგან მოკვლეული ხალხური წარმოდგენით ქარჩოხიდან, თინიკაშვილების გვარიდან გამოსული, ცრაზმის ხეობაში გადასული და დამკვიდრებული ახლოურთ გვარი, ბოროტი ძალისგან შენდობილი და დალოცვილი ჩანს. გადმოცემა ამ გვარის დალოცვას უკავშირებს თოხთურას წყალზე, «ღვთაების» ქედის კიდეზე დღესაც არსებულ წისქვილს. ანალოგიური ვერსიები ჩნდება ცხავატში, რეხვაზე გამართულ წისქვილში. ქარჩოხში, ზევითლიანთ «იასონას წისქვილში» და სხვა მარავალ ადგილებში.

ქსნის ხეობის ზემო წელის ხალხურმა ზეპირისიტყვიერებამ ეშმაკისგან კაცის დალოცვის საინტერესო ფაქტი შემოგვინახა – სოფ. ზემო ბაგინში, (მთხ. ქსენია ქიტოს ასული. ბიტაროვი. დაბ. 1938 წ.) საღამოობით, ხანდახან სოფლის ახლოს მდებარე კლდეებიდან ისმოდა მშობიარე ეშმაკის ხვნეშა და კვნესა. ძველი რწმენა-წარმოდგენებით ძლიერ კარგია მშობიარე ეშმაკის დალოცვა კაცისაგან, – საპასუხოდ ეშმაკიც ლოცავს თავის დამლოცავს, რაც მეტად კარგის მანიშნებელია. მისივე თქმით ბაგინელთა ლოცვამ შედეგი გამოიღო და ეშმაკმაც დალოცა, რის შემდეგაც მალევე მოახერხეს მთიდან აყრა და მასიურად ჩრდილოეთ ოსეთში გადასვლა უკეთესი ცხოვრების მოსაპოვებლად. რაშიც მათ გაუმართლდათ.

მენჯის ძვალი და ცნობისმოყვარე კაცი

ცხენზე ამხედრებული ცნობისმოყვარე კაცი ტაატით მიუყვებოდა გზას ქსნის ხეობის სათავეებისკენ. მიდიოდა და უყურებდა ცამდე აზიდულ ვეება მთებს, კლდეებს და მათზე ლამაზად მორბენალ ანკარა მდინარეებს. უყურებდა და ემოციებს ვერ მალავდა ბუნების მომაჯადოებელი სილამაზის ხილვით. რამაც მგზავრს წარსულზე ფიქრები აუშალა და გაუცხოველა.

ცხენოსანი ბაგინის ზეგანზე ავიდა, აქეთ-იქით იყურებოდა და თან ფიქრობდა: ვინ უწყის ამ მინდორზე რა ხალხს აღარ უტრიალია, უხვნია, უმკია, უომნია, უცხოვრია ან სულაც ხომ შეიძლება ტყე ყოფილიყო და გაეკაფათ მამულის გასაკეთებლად. მე მაინც მგონია, რომ ეს ზეგანი ომების მომსწრე უფრო იქნება ვიდრე უდარდელი და მშვიდი ცხოვრებისა.

მხედარმა შორს დიდი ძვალი დაინახა დაგდებული. ცნობისმოყვარეობამ წასძლია მივიდა და რას ხედავს მენჯის ძვალია. გაკვირვებულმა კაცმა ცხენის სადავე თავის ნებაზე მიუშვა და ცხენიც და მხედარიც პირდაპირ მენჯის ძვალში გაძვრა.

გაკვირვებული მხედარი შედგა, უკან მოიხედა და თვალს არ აშორებდა ძვალს. ღმერთო! ნეტავი რა არსება უნდა ყოფილიყო, რომ ამხელა მარტო მენჯი ჰქონდა. ნეტავ გააცოცხლა ვინმემ, რომ ჩემი თვალით დამანახა ვინ-რა იყო, ოღონდ უსინათლო ყოფილიყო, რომ ვერ დავენახე და ჩემთვისაც არაფერი დაეშავებინაო.

დაამთავრა თუ არა ეს სიტყვები მართლაც სასწაული მოხდა. ძვალი შეტოკდა და ხორცი შეესხა. მხედარს წინ დიდი მხარბეჭიანი, ჭარმაგი, გოლიათი კაცი გამოეცხადა, რომელიც არაფრისმთქმელ თვალებს უაზროდ აქეთ-იქით ატრიალებდა. ცოტახნის შემდეგ სასოწარკვეთილი ხმით დაიძახა: ვინა ხარ! – რა სულიერი ხარ! რა გინდა ჩემგან, რას მაწვალებ!

ადამიანი ვარ და მაინტერესებს თქვენი ძველი დრო, როგორი ხალხი იყავით? როგორ ცხოვრობდით, შრომობდით და ომობდით? მიუგო მგზავრმა

კარგი ადამიანო, გეტყვი. უთხრა უსინათლომ, მაგრამ არ დაიჯერებ. ჩემი ნათქვამის სიმართლეში ეჭვი შეგეპარება. მაგრამ რახან გაინტერესებს გეტყვი. ოღონდ ჯერ ეგ

მითხარი, მანდ წინ, საცა შენ დგეხარ და ლაპარაკობ დიდი ქედობა თუ აუდევს ზევით _ წითელი მთისკენ?

– კი, მიუგო ცნობისმოყვარემ.

– აი ეგ მთის ძირი და მაგის შეყოლება გალადურები, ყელის ტბები ჩემი ცხვრის საძოვრებია. ძალზე ქვიანი და უბალახო იყო. მე მოვალაგე და გავწმინდე ღორღისგან. რაც მანდ და ყელის ტბაზე ქვა და ღორღი ყრია ჩემი ხელების ნამოქმედარია. ზევით, გალადურზე, ორ ბინაზე მედგა ცხვარი. წვიმის წყალი და მწვირე გუბდებოდა, კომბლით გამოურევდი და ცხვარიც სუფთად რჩებოდა. ეხლა მანდ ჩემი ცხვარი აღარ იქნება მაგრამ ბინა დარჩებოდა, ადი და ბინაზე თუ წყალი ჩაგუბდა გამოურიე. ბარხანის წინ დიდი ქვაა, ჯოხი მაქვს ქვეშ შენახული, გამოიღე და აქ მომიტანე, თორემ ჯოხის გარეშე არამც თუ სიარული ლაპარაკიც არ შემიძლიაო.

ცნობისმოყვარე კაცი გაოცდა: რა ბინა, რის ბინა, იმ ადგილებზე ორი დიდი ტბა დგას* და მე იმათ ჯოხით რას ვუზავო.

ეხ, ნუთუ ისეთი სუსტები ხართ, რომ გუბის წყლები ვერ გამოგიშხვეპიათ და ცხვარი ხეირიანად ბინაზე ვერ დაგიყენებიათ, დანანებით თქვა უსინათლო გოლიათმა და გვერდი იცვალა.

შეშინებულმა ცნობისმოყვარე ცხენოსანმა კაცმა ისურვა გოლიათი ისევ ძვლად გადაქცეულიყო – თვითონ კი გზა განაგრძო.

ლეგენდა ყელის ტბაზე

კავკასიონის მთის მასივებში, ულამაზესი ყელის ტბის ადგილზე, საიდანაც დღეს ცრემლივით კრიალა მდინარე ქსანი გადმოქუხს, უხსოვარ დროს ვრცელი ტაფობი ყოფილა. იმ მიდამოებში უცხოვრია ერთ მეცხვარეს, რომელსაც თავის თავზე მეტად ცხვარ-ბატკანი ჰყვარებია და მათთვის გასაგებ ენაზეც კი ელაპარაკებოდა თურმე.

ალპური საძოვრები ცხვრის საყვარელ, ყუათიან და მლაშე ბალახით ყოფილა სავსე, მაგრამ წყალი იმ მიდამოებში არსად იშოვებოდა. დაუკრავს წერაქვი უწყლოობით შეწუხებულ მეცხვარეს და წყალსაც ჟონვა დაუწყია, შემდეგ იმდენად მძლავრად ამოუხეთქია, რომ შეშფოთებულ მეცხვარეს სიპის ქვა დაუფარებია.

მას მერე მირეკავდა მეცხვარე ცხვარს, აიღებდა სიპს, ცხვარი წყალს დალევდა და ქვას ისე დააფარებდა.

გადიოდა დრო. მეცხვარე კმაყოფილი იყო ბუნების საჩუქრით და თავს ბედნიერ კაცად თვლიდა. მაგრამ ერთხელაც მოუცლელობით კაცმა ცხვარში მეუღლე გაგზავნა. ქალმა იმ დღეს კარგად იმწყემსა ცხვარ-ბატკანიც დაარწყულა სამწუხაროდ ჭისთვის სიპის დაფარება დავიწყნია.

გათენდა მეორე დილა და ჰოი საკვირველება,.. ღამით იმდენი ედინა წყალს, რომ მთელი ის უზარმაზარი ტაფობი წყალს დაეფარა, მთათა შუა ყელი მოენახა და ეწყო დენა. ყორის ქვით ნაგები ბაკები აღარსად ჩანდნენ. ცხვარს კი საშიშროებისთვის თავი დაეღწია და ნოტო-ნოტო დაქსაქსულნი, მაღალი მთის ფერდობებზე გაჩერებულიყვნენ.

ასე გაჩნდა ყელის ტბა, რომელმაც დაუდო სათავე მდ. ქსანს, ქსანმა კი თავის ზვირთქვეშ შეიფარა კეკლუცი კალმახი და დინჯი ორაგული.

---

* აქ ლაპარაკია წითელი ხატის მთის ძირში სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით არსებული გალადურის ორ ტბაზე, სადაც საუცხოოდ «კეთდება» ბატკანი.

* * *

ყელის ტბა ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ტბაა ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზონაში. იგი მდებარეობს ვულკანური ზეგნის ამოქვაბულში ზღვის დონიდან 2921 მეტრის სიმაღლეზე. მისი განზომილებებია: სიგრძე 2731 მ. სიგანე 1216 მ. სარკის ფართობი 128 ჰექტარს აღემატება. წყალშემკრები აუზის ფართობი – 9,9 კვ.კმ. ტბის უდიდესი სიღრმე 50 მეტრია. საზრდოობს თოვლის წყლებით და წყაროებით. ტბის წყალი მტკნარია, ძლიერ ცივი, სასიამოვნო გემოსი და ზურმუხტის ფერისაა.

მკაცრი კლიმატური პირობების გამო ტბა რვა თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გაყინულია. მასში არც თევზია და არც მცენარეულობა. ტბის შემოგარენი და მდინარე ქსნის სათავეები საუკუნეების განმავლობაში ქსნის ხეობელთა ცხვარ-ბატკნის საუკეთესო და ყუათიან საძოვრებადაა მიჩნეული. ტბიდან გადმომდინარე ქსანი ახალგორს გაივლის და მუხრანს ქვევით მდინარე მტკვარს მარცხნიდან მიერთვის.

ქართულ მხატვრულ ლიტეგრატურაში მტკვარი თუ დედა მდინარედაა მიჩნეული, ქსანი – მის ლამაზ ვაჟიშვილად.

«რომ თავის ლამაზ ვაჟის ქებისთვის,
მე ტაშს მიკრავდეს მოხუცი მტკვარი».

ამბობს მდ. ქსანზე, თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში გიორგი ლეონიძე, რომელიც ქსნის ხეობაში, სოფელ იკოთში სტუმრობისას დაწერა.

ლეგენდა ყელისტბის გაჩენაზე მცირედი განსხვავებით, ქარჩოხში სოფ. ხოზოეთში არჩილ გაროზაშვილისგან ჩაუწერია ალიკა ესტატეს ძე პავლიაშვილის 1966 წელს, რაც თავის დროზე გამოქვეყნდა კიდეც გაზეთ «ლენინელში».

სამება ოქროს კარებიანი

ფეოდალური ხანის ქსნის ხეობაში, მხოლოდ ლომის-ალევის მთაზე და ქარჩოხში თინიკაანის მთაზე არსებულ სამების სახელობის წმინდა სალოცავებში ტრიალებდა ოქროს ფურცლებით მოჭედილ-მოვარაყებული, ძვირფასქვებიანი ჭიშკრები. საქართველო მაშინ ერთიანი და ძლიერი იყო. ხალხმრავალი და ხვასტაგით სავსე ქსნის ხეობა ზენიტზე იდგა. შენდებოდა და მშვენდებოდა ქარჩოხი საქრისტიანო სამლოცველოებით. ამ პერიოდის პირმშოა სწორედ თინიკაანის ოქროს კარებიანი სამება.

ლომისის მთაზე, ლომისი წმ. გიორგის აგების შემდეგაც ინარჩუნებდა სახევისთავოს ერთ-ერთი მთავარი სალოცავის ფუნქციებს. ის არ იყო მხოლოდ ერთი საგვარეულოს ან ერთი სოფლის სალოცავი. ასწლეულების მანძილზე სახევისთავოს სასულიერო და საერო ცხოვრებაში ცენტრიდანული ძალების წყაროს წარმოადგენდა.

სამებაში სულ 10 სოფელი და 12 გვარი ლოცულობდა.* მისი დარბაზული ფორმის უგუმბათო სალოცავი აგებულია ადრე ქრისტიანულ ხანაში. შიგფართი 18 კვ. მეტრია. კარები დატანებული აქვს ჩრდილოეთით. სალოცავს წრიულად შემოვლებული აქვს 706 კვ. მეტრის მომცველი გალავანი. მის შიგნით სამლოცველოს დასავლეთით მიშენებული ჰქონია მარანი და საქვაბე.

---

* სამებაში ლოცულობდნენ შემდეგი გვარები: თინიკაშვილები, ბალაშვილები, ახლოურები, კარელიძეები, ხოკრიკაშვილები, პავლიაშვილები, ლოთიშვილები, ელოშვილები, ოგბაძეები, წიპტაურები, შატიკაშვილები, წიკლაურები

სალოცავი როგორც სახევისთავოს სასულიერო ცენტრი მდიდარ შემოწირულობებს იღებდა. ხატ-ჯვრები და სხვა საეკლესიო ინვენტარი ოქრო-ვერცხლისა ყოფილა. მათ შორის ბლომად იყო ბრინჯაოს ძველი ნივთები.

სამებაში ტრადიციის მიხედვით მხოლოდ ოქროს ფულის შეწირვით, წლების განმავლობაში ქვევრებში მოგროვილი განძით მრევლმა სალოცავის კარები ოქროთი მოავარაყა. შემდეგ მის დასაცავად ჩრდილოეთიდან მიუშენეს პატარა ოთახი რომელსაც შესასვლელი დასავლეთით მოუქციეს.

როცა ადამიანებს ცივილიზაციამ რწმენა შეურყია, მოხდა ამ სიწმინდეების ხელყოფაც. წაღებული იქნა ოქროს ხატ-ჯვრები და მათთან ერთად სალოცავის ღირსება – ჯვარგამოსახული ოქროს კარები.

მე-19 საუკუნის ყოფისთვის დამახასიათებელი იყო სიწმინდეების ხელყოფა. სამწუხაროდ ჩვენი ხეობის ორ სამების სალოცავში ოქროს კარების ქურდობა სხვა განძეულობასთან ერთად ზემოხსენებულ საუკუნეში მოხდა. მიუხედავად ამისა ამ ვანდალური აქტის შემდეგ სამების დეკანოზთა ლექსიკაში კვლავინდებურად ფიგურირებდა სიტყვა ოქროს კარებიანი. «მფარველად გედგეთ ქარჩოხის თავდამყურე სამება ოქროს კარებიანი, ყველა მის მახვეწართ მრევლსა, ერსა და ბერსა, ამინ!..»

ქარჩოხის თემმა ძლიერ განიცადა ესოდენ დიდი სიწმინდეების ხელყოფა. ბევრი იძიეს და იკვლიეს მაგრამ ამაოდ. ბოლოს ამ ასიოდე წლის იქით სოფ. თინიკაანის მცხოვრებლებმა ერთ გარემოებას მიაქციეს ყურადღება. რამდენიმე წელიწადს სამებობა დღისთვის მომზადებული სოფელი ღამისთევობის საღამოს მისულთ (დღესასწაული იმართება ამაღლებიდან მე-11 დღეს ანუ ხალარჯობის მეორე დღეს) გალავნის შიგნით ხვდებოდათ ნაცეცხლური, წითელი ყოჩის ან ჭედილის ტყავი _ თავ-ფეხით. სალოცავს სამწვერად შემოტარებული ჰქონდა თეთრი ბამბის ძაფი. ტრაპეზთან იდო სამი ოქროს მონეტა, იქვე აჩნდა ნაკვალევი სამი დამდნარი სანთლისა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ უცნობ მლოცველს არ სურდა საზოგადოებაში თავისი ვინაობის გამჟღავნება, საფიქრებელია წარსული ცოდვების გამო, რომელიც მისგან თუ არა მისი წინაპრებისგან მომდინარეობდა.

სოფლის უხუცესთა წინადადებით სამი სოფლის შეიარაღებულ ახალგაზრდებს უნდა ეყარაულათ და გაეგოთ თუ ვინ იყვნენ ის უცნობები, ვინც დღესასწაულის წინა დღეს მოდიოდნენ და ლოცულობდნენ, რომლებიც ანონიმურობის ფარდის ასახდელად არავითარ მტკიცებულებებს არ ტოვებდნენ. შეწირულ ცხვარს სერის დასაფარად ყურებს აჭრიდნენ. ამაო გამოდგა ყოველგვარი მცდელობა ეჭვმიტანილთა დასაკავებლად. საფარში ჩასაჯდომად მისული ახალგაზრდები ხედავდნენ, რომ უკვე მოესწროთ ცოდვილთ საკლავის დაკვლა და «გალობა სინანულისანი».

სამ წელს ზედიზედ იარეს უცნობმა ხალხმა თინიკაანის სამებაში და სამჯერვე ისე გაუსხლტნენ ხელიდან ქარჩოხლებს, რომ ვერ გაიგეს მათი ასავალ-დასავალი. სამი წლის შუალედით კიდევ ორჯერ მოილოციეს სამება პაპისგან ნაჭამი ტყემლით კბილ მოჭრილებმა. შემდგომ მოხუცთა რჩევით თავი მიანებეს ცოდვილთ, მხოლოდ მათ მიერ შეწირული ყურებდაჭრილი ცხვრის ტყავი ჩამოუტანეს ბიჭებმა ხეობაში ცნობილ სარქალს მიტრო თინიკაშვილს. მისნური ნიჭით დაჯილდოებულმა სარქალმა ლიახვზე, არაგვზე, თერგზე მრავალწლიანი მთაბარომისას ვერასგზით ვერ მიაგნო კაცს, რომელსაც ამ ბეწვსი მატარებელი ცხვარი ეყოლებოდა, გარდა იმ ერთი შემთხვევისა, რაც მოხევეებში ჩვენთვის საინტერესო ბეწვის მქონე ნანახ ცხვარზე უთხრეს: ამ ცხვრისეულობა ვისგანაც მოდის იმ კაცის ოჯახი ეს რამდენიმე წელია ამოწყდა და ეს ეხლა მისი სიძის კუთვნილებაა. ვფიქრობ ყველასათვის ყველაფერი ნათელია.

***

ერთ დროს სახევისთავოს უპირველესი სალოცავი, ოქროს კარებიანი სამება, ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია. კარნიზები და სახურავი მორღვეული, გალავანი მწყემსთა ხელით მოშლილი და ცხვრის სამარილედ გადაქცეული. ერთ დროს ოქროს კარების ადგილას აყუდებული სიპიც ვეღარ იკავებს საქონელს. ადრეული ხანის ფრესკები მთლიანად ჩამორეცხილია. ერთ დროს ოქროს მონეტებით სავსე ქვევრები ჭუჭყით და ღორღით ავსილა.

2006 წლის ადრიან გაზაფხულზე უეცრად წამოსული წვიმის გამო ეკლესიას შევაფარე თავი. ერთსაათიანი წვიმის შემდეგ ამბიონზე მდგომმა შევნიშნე, რომ იატაკზე კოჭებამდე დაგუბებულიყო კამკამა წვიმის წყალი. გული მეტკინა. ჩვენი შვილების წინაპართა დიდების საგანი, ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში, რომ იყო. მისი შველა და გადარჩენა მის გულშემატკივრებს მხოლოდ ერთი კოლოფი სიგარეტის ფასად შეგვიძლია!..

ეშმაკების მეცხვარე

მდინარე ქსანზე, ხეობის ტაშირის* დასასრულსა და მაღალი მთების დასაწყისში მდებარე ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი მეტად ხელმოჭერილი, ძუნწი მეცხვარე. ისეთი ძუნწი და კარჩაკეტილი, რომ ბადალი არ მოეძებნებოდა არსად. მისი ოჯახის წევრებსა და ნათესავ-მეზობლებს არ ახსოვდათ როდესმე, რომ მას ცხვარი დაეკლას, გაეყიდოს ან ხატ-სალოცავისთვის შეეწიროს. უკიდურეს შემთხვევაში ავადმყოფობით ან ბუნებრივი სიკვდილით მკვდარი ცხვრის ხორცს თუ აჭმევდა ოჯახს. ასეთი ავადმყოფური სიძუნწისა და სიხარბის გამოისობით მისი მოშენებული ცხვარი თავისი სიმრავლით, ყველას ბოროტსა და კეთილს თვალში ხვდებოდა.

ერთ წვიმიან და ნისლიან დღეს, მეცხვარემ მხარზე თოფგადაკიდებულმა ჩვეულებისამებრ გარეკა მთისკენ ცხვრის ფარა. ტყე-ველიან ფერდოს გასცდა თუ არა ხედავს ერთ დიდ მგელს გადმოუგდია წითელი ენა და შუა ფარაში ბატკანს დასდევს შესაჭმელად. მეცხვარემ დაუმიზნა თოფი მგელს და ერთი გასროლით მოკლა. კაცი არც იყო მისული მოკლულ მგელთან, რომ უეცრად მის წინ ქალი გაჩნდა. ლამაზი, ტანადი, გრძელთმიანი, გრძელი კაბით და მომღიმარი სახით ეუბნება: შენი დიდი მადლობელი ვარ დღეს, რომ შენ შვილი გადამირჩინე, მითხარი რა გაჩუქოვო.

გაოცებულმა მწყემსმა მიუგო: მე არავინ გადამირჩენია, მხოლოდ მგელი მოვკალი და ამით ჩემი ბატკანი შეჭმას გადავარჩინე.

არა, მიუგო ქალმა. ამ მგელს შენი ბატკანი კი არა ჩემი შვილი უნდა შეეჭამა შენ რომ თოფით არ მოგეკლა. მითხარი ეხლა რით დაგასაჩუქრო?.

აბა რა საჩუქარი უნდა მინდოდეს თანაც ქალისგან, – უთხრა მეცხვარემ, ამდენი ცხვრისა და სიმდიდრის პატრონსო.

ქალმა გაიკვირვა. რა სიმდიდრეზე მელაპარაკები? შენი აქ არაფერია. მთელი ეს ცხვარი ჩემი დედამთილის სათავნოა, შენ კი მისი მეცხვარე.

შენ ქალო! – დინჯად მიმართა მეცხვარემ. რას მელაპარაკები, ვიღაც გიჟი ხარ. საერთოდ ან შენ ვინ ხარ?! ან შენი დედამთილი ვინ არის და ან საიდან უნდა იყვეს მისი სათავნო, როცა ამ ცხვარს ყმაწვილობიდან ვუვლი და ვამრავლებ.

---

* ტაშირი _ ფართოდ გაშლილი, განიერი ხეობა.

არა, მიუგო მშვიდად ქალმა. ეს ცხვარი შენი არ არის. შენ, რომ გეკუთვნოდეს ხომ კიდეც მოიხმარდი. სახლში ცოლ-შვილს აჭმევდი, გაყიდიდი, ხატს შესწირავდი, გადაცვლიდი რამეზე და გამოიყენებდი. მითხარი რამდენი წელია რაც შენ ამ ცხვრიდან არაფერი არ გისარგებლია, არ გახსოვს ხომ?! ასეა სხვისი კარგი მეცხვარე მარტო უნდა ამრავლებდეს და არ იპარავდეს. დამიგდე ყური, რასაც გეუბნები სიმართლეა, მხოლოდ მწყემსავ და ვერაფერში მოიხმარ იმას ნიშნავს, რომ ცხვრის ფარა შენი კი არა ჩემი დედამთილისაა შენ კი მისი მეცხვარე. თუ არ გჯერა წამომყევი და შენი თვალით ნახე, შენი ყურით მოისმინე დედამთილ-მამამთილისაგან ყველაფერი, მაშინ დარწმუნდები საქმის ჭეშმარიტებაშიო.

იუარა კაცმა. ცხვარს დავკარგავ და დავიღუპები. წეღან ხომ ნახე რამხელა მგელი შემივარდა ფარაში, იმისთანეებს კი რა გამოლევს ამ კლდე-ღრეშიო.

არა, ნუ გეშინია, წამომყევი და უკან უვნებელი დაბრუნდები, ცხვარიც უვნებელი დაგვხდება. ოღონდ ისე უნდა მოიქცე როგორც მე დაგარიგებ, თუ გინდა, რომ ეს შენი ნაწვალები ცხვარი შენ დაგრჩეს.

დაიჯერა მწყემსმა ქალის გულწრფელად ნათქვამი სიტყვები. ენდო. ჯოხი და თოფი იქვე მიაგდო და ქალს გაჰყვა. ქალმა კი გზაში ასე დაარიგა: დარბაზში, რომ შევალთ პირველი ჩემი დედამთილი დაგელაპარაკება, თავზიანად მიესალმე. მერე მე რომ ვეტყვი შენი სიკეთის ამბავს გეტყვის რა გაჩუქოვო. ბოლოს თითო-თითო ტომარა ოქროს და ვერცხლს დაგიდგავს საჩუქრად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ხელი არ მოჰკიდო. უთხარი, რომ მე შენი ოქრო-ვერცხლი არ მინდა. მომეცი ის რაშიც დავდივარ და რაც ვითომ ჩემიაო. სხვა საჩუქარზე არ დათანხმდე და გახსოვდეს, მე არავითარ შემთხვევაში არ გამცე, თორემ შენც რაღაცას დაგმართებენ და მეც თმებს მომკვეცენ და დავიღუპები.

მიდიან ვიწრო, კლდოვან ტყით დაფარულ ბილიკზე, გაიხსნა კლდე და უცბად ერთ დიდ დარბაზულ ოთახში ამოყვეს თავი. დაინახა თუ არა დარბაზში მყოფმა დედაბერმა რძალი და მისი მიერ მიყვანილი სტუმარი გაოცებით იკითხა, ეს ჩემი მეცხვარე აქ რას აკეთებსო?

რძალმა მიუგო: მე გამომყვა, რათა მოგახსენო ამის კეთილშობილური საქციელი.

– რა საქციელი? – გოროზად იკითხა დედაბერმა.

– რა და დღეს ამან შენი შვილიშვილი მგლისგან შეჭმას გადაარჩინა.

– მართლა?! – გაეღიმა სახედამანჭულს დედაბერმა. თუ ასეთი ერთგული მწყემსი ხარ მაშინ მითხარი რა საჩუქარი გინდა ჩემგანო?

მერე წამოდგა, – ყავარჯენი ორჯერ ზედიზედ დაარტყა იატაკს და ოქრო-ვერცხლით სავსე ორ ტომარას ცხვრის ქურქი გადაეხადა.

აი ეს შენთვის მიჩუქნია. წაიღე სახლში და მოიხმარე, – უთხრა დედაბერმა.

მწყემსმა იუარა. მადლობელი ვარ გულუხვობისთვის. მაგრამ მე ამ თქვენ საჩუქარზე უარს ვამბობ. მომეცით ის რაშიც დავდივარ და რისთვისაც ვწვალობ.

კი მაგრამ შენ ვინ გითხრა, რომ ის ცხვარი რომელშიც შენ დადიხარ ჩემია და არაშენი, ინტერესით იკითხა გაკვირვებულმა დედაბერმა.

როგორ თუ ვინ მითხრა, რომ არ ვყიდი, არ ვჭამ და არაფერში ვიყენებ ჩემი როგორ არი. მე მარტო მწყემსობას ვეწევი. გთხოვ თუ რამე გემატება ჩემთვის, მაჩუქეთ ჩემი ნაშრომ-ნაწვალები ცხვრის ფარა და დამიკანონეთ.

დედაბერმა იუარა. ეგ არ მოხდება! ეგ როგორ იქნება?! მაშინ კუთხეში მანამდე ჩუმად მჯდარმა ბერიკაცმა დაარღვია სიჩუმე. მიეცი და აჩუქე შე მამაძაღლო! მიეცი და აჩუქე! შვილიშვილი გადაგირჩინა ბოლოს და ბოლოს.

მაშინ დათანხმდა დედაბერი მწყემსს. შენი იყოს ეგ ჩემი სათავნო და შენთვის დამილოცნია, მაგრამ ეგ მითხარი ჩემმა რძალმა ხომ არ დაგარიგაო? არა, იუარა მწყემს-

მა. მე ადრეც ვაპირებდი თქვენთან მოსვლას და ამ ცხვრის ფარის გამოთხოვებას, მაგრამ არ ვიცოდი თუ სად ცხოვრობდით და ამიტომ ვიტანჯებოდი ასე აქამდეო.

წამოსვლისას დედაბერმა მწყემსს ჯადოქარივით კისერში ხელი წამოარტყა და პირიდან თეთრი უწყვეტი ძაფის ამოღება დაუწყო. ძაფი მუშტისისხო გორგოლად დაახვია და უთხრა: აი შვილო წადი ეს ჯადოც მოგაცილე იშრომე, იცხოვრე ტკბილად და ბედნიერადო. რძალს კი ანიშნა გაყოლოდა გარეთ და გაეცილებინა.

მწყემსი გაურკვეველი ადგილიდან გაუგებარი გზით გამოვიდა ისე რომ ვერას გზით ვერ მიხვდა თუ სად, რომელ ადგილას ცხოვრობდნენ ქალ-ეშმაკები.

უკან დაბრუნებულ მეცხვარეს ცხვარი ისევ იმ ადგილზე უვნებლად დახვდა. გახარებულმა მწყემსმა ჯოხსა და თოფს ხელი წამოავლო და ცხვრის ფარა სახლისკე გარეკა. ჯალაბს ვერ გაეგო თუ რატომ მირეკა კაცმა ადრიანად ცხვარი. მან კი მისვლისთანავე განაცხადა. თაბალა და საკიდო მომიტანეთ დიდი დოლა* ყოჩი უნდა დავკლაო. ყველამ გაიცინა, ხუმრობა ეგონათ კაცის ნათქვამი. ბოლოს ყოჩს ყელში ხანჯალი რომ გაუყარა მერე მიხვდნენ, რომ ხუმრობა სულაც არ იყო.

ის დღე იყო და მას აქეთ, მეცხვარემ გონივრულად დაიწყო ცხვრით სარგებლობა. კლავდა ოჯახში, სალოცავში, ყიდდა, ჩუქნიდა და მაინც უფრო მეტი და მეტი ემატებოდა ცხვარიც და სახელიც.

პატარა ეფრო და დიდი ყაჩაღი

XX ს. პირველ მეოთხედში ჩვენს ქვეყანაში, ცნობილი უწესრიგობის, უთანხმოების და სიბნელის ღმერთი, ქაოსი ბატონობდა: სახელმწიფოებრივ სისუსტეს ყოველთვის მოსდევს შავ-ბნელი ძალების გააქტიურება. ადამიანთა უფლებების დარღვევა, სიცოცხლის ხელყოფა, ყაჩაღობა, ძალადობა და სხვა მრავალი მანკიერებანი. ანალოგიურ სიტუაციაში, ქართლის მთიანეთშიც ხშირი იყო ძარცვა, კაცის კვლა, ნამუსის ახდა, რომლის მოსპობა არც ადგილობრივ და არც ცენტრალურ ხელისუფლებას არ შეეძლო.

საქართველოში თებერვლის რევოლუციის გამარჯვებიდან კოლექტივიზაციამდე, ქსნის ხეობელებს მოთარეშე ყაჩაღებიდან განსაკუთრებით დაამახსოვრა თავი ერთმა თავზე ხელაღებულმა დიდი ლიახვის ხეობელმა ყაჩაღმა, რომლის გოლიათობამ და ფიზიკურმა ძალამ არამარტო ხალხს გაუჩინა მისი უძლეველობის სინდრომი, არამედ თვით მასში დიდ ამპარტავნობას და ძალადობას შეუწყო ხელი.

გაბრიყვებული ყაჩაღი, რომლის ანონიმურობაზე თვით დრომ იზრუნა, დაეხეტებოდა ბარში და მთაში, არაგვზე, ქსანზე, ლეხურასა და დიდ და პატარა ლიახვის ხეობებში. გზაში საფრდებოდა, სახლებში იჭრებოდა და კაცის კვლასაც არ ერიდებოდა. შეშინებული ხალხი წლების განმავლობაში ხმას ვერ სცემდა მუდამ იარაღში ჩასილაღებულ გოლიათ მხეცს. ბოლოს მის კარიერას ერთმა ქარჩოხელმა, ტანად პატარა კაფანდარა* კაცმა, ეფრო ელოშვილმა დაუსვა წერტილი.

მაშინ ჯერ კიდევ კერძო საკუთრება ფეხზე იდგა. მეცხვარეები მშრალ და მეწველ ცხვარს დიდ მთებზე მიერეკებოდნენ, იღებდნენ არხაჯს**, გამართავდნენ ბაკებს, ბერას, ყორე ქვით ნახევრად მიწაში ბანიან მიწურებს, აწყობდნენ კერიას, მის წინ არყის «ქორბუდა» ბარხანებს და ხარიხებს. მიწურის გარეშემოს წვრილი ლატნებით შემოწნავდნენ

---

* მოკლე რქიანი მამალი ცხვარი

* კაფანდარა - სუსტი, გამხდარი და ტანად დაბალი კაცი

** ცხვრის ფარის სადგომად ამორჩეული ადგილი

და რჩებოდნენ ენკენიაობამდე ცხვრის ფარებთან ერთად. წველიდნენ, პარსავდნენ, აკეთებდნენ ერბოს, ყველს, ნადუღს და თხის ბალნით მოქსოვილ ტომრებით ეზიდებოდნენ სახლებში. მოჭარბებულ პროდუქტს კი მთებზე გადავლით შუა ქართლში, მეჯვრისხევის ცნობილ ბაზარზე გაჰქონდათ.

იმ ზაფხულს გალადურის მთებში ქარჩოხელ გაამხანაგებულ მეცხვარეთა შორის იმყოფებოდა სოფ. ელოიანის მცხოვრები, სუსტი აღნაგობის, მაგრამ სწრაფი და მოხერხებული კაცი, რომელსაც კნინობით სახელს «პატარა ეფროს» ეძახდა ყველა.

ერთ მშვენიერ დღეს, გალადურზე მყოფ მეცხვარეებმა შენიშნეს თუ როგორ მიაგელავებდა მათკენ შავ ცხენს «დიდ ყაჩაღად» ცნობილი ლიახველი ოსი. ყველა დაიმალა. ზოგი ღოლოებსა და ჩხამებს ამოეფარა, ზოგიც ღორღიანისკენ გაძვრა, მიწურში მძინარე ეფროს გაღვიძება კი არავის გახსენებია. მალე ძაღლებმა ყეფა ატეხეს. ეფრო კარში გავარდა და შეიარაღებულ ყაჩაღს შერჩა ხელებში.

დაბნეულმა მწყემსმა იხტიბარი აღარ გაიტეხა და მოსულს შეუძახა «ვაჟაგ ბაცრდი! ვაჟაგ ბაცრდი! – სტუმარი მოვიდა,! სტუმარი მოვიდა!

სტუმარმა დამხვდურს გულიანად შეუკურთხა და ყელზე აკეცილი კნუტი** მიაბჯინა.

ახლავე ერთი საპალნე ერბო და საპალნე ნახევარი ყველის გუდები უნდა გამატანო, თორემ ამ კნუტითვე მოგახრჩობ შე თოხლო ცინგლო! რჩევა ნარევი მუქარით უთხრა ყაჩაღმა ეფროს.

ეფრომ გული გაიმაგრა, თავი შორს დაიჭირა: ამხანაგებს რა ვუთხრა, საუკეთესო ცხვრებს დამიკლავენ, ნუ დამღუპავ, შენ თვითონ მიდი და რაც გინდა ის წაიღეო.

მაშინ წახვალ, თქვენ ცხენებიდან ორ კარგ იაბოს მომიყვან და შეკაზმავ.

ეფრომ მორჩილების ნიშნად ალიკაპს* წამოავლო ხელი, ოსმა კი ცხენი იქვე ბოძზე მიაბა, ფაფახი მოიშვლიპა და ორმეტრ ნახევრიანი წელში მოხრილი კაცი შევარდა მიწურში.

ოსის თავხედობით გაბრაზებულმა ეფრომ ალიკაპი მოისროლა და იქვე მიდებულ დასალტულ მეცხვარის ჯოხს წამოავლო ხელი, რომელსაც სიმძიმის გამო არავინ ხმარობდა. ჭინჭრაქასავით ფრთხილად შეხტა ბანზე და ჯოხაწეული კარების თავზე დაელოდა ყაჩაღის გამოსვლას.

ღოლოებსა და ღორღს ამოფარებული ამხანაგები გაოგნებულები უცქეროდნენ ბანზე მდგომ ჯოხ მომარჯვებულ პატარა ეფროს.

ხედავთ რა სისულელეს აკეთებს ეგ ღობემძვრალა, თავს მოაკვლევინებს და ჩვენც აღარ დაგვედგომება აქ. იძახდნენ შეშინებული მწყემსები.

ამასობაში მოძალადე გუდებით ხელში, კარებში გამოჩნდა. ჯერ ლოპოტა თავი გამოყო, მერე გუდებმოდებული ცალი მხარი გამოიტანა და დასალტულმა ჯოხმაც დაიშხუილა. ყაჩაღი დაძალული ვირივით ნელ-ნელა ჩაიკეცა, გუდებზე მიწვა და გონება დაკარგა.

პირადაპირი ნახტომით ეფრო ზედ დააცხრა გოლიათს, მაუზერი და ხანჯალი აართვა, პირქვე გადააბრუნა და წელზე ამობრუნებული ლატანივით მკლავები მაჯებში თოკით გაუკრა. მალე გულაფართქალებული ამხანაგებიც მიეშველნენ, საიმედოდო შეუკრეს ხელ-ფეხი და იმავე დღეს «უძლეველი ძალის» გოლიათი მხეცი თავისავე ცხენით ბოქაულთან მონასტერში წააბრძანეს, იქიდან კი ახალგორს.

მას მერე აღარც ის ლიახველი ყაჩაღი ვინმეს უნახავს და აღარც მისგან შეწუხებული ხალხი. პატარა ეფრო კი ხეობაში ცნობილი კაცი შეიქმნა. მის გამბედაობასა და მო-

** კნუტი - ტყავით გაწყობილი მოკლეტარიანი მათრახი

* ალიკაპი - ხის პრიმიტიური აღვირი

ხერხებაზე დიდი და პატარა ლაპარაკობდა. «დიდი ყაჩაღის» განეიტრალება იმ დროისათვის ისეთი მასშტაბური ამბავი გახლდათ, რომ მოლექსე-მთქმელებმა არ დაიშურეს ძალა მისი მხატვრულად წარმოსახვისათვის. ბოქაულმა კი ეფროს ჯილდოს სახით ახალთახალი ბერდანი აჩუქა და ყაჩაღის იარაღებიც სრულად დაუტოვა. ცხენი კი თავის სარგებლობაში დაიტოვა მომრავლებული ყაჩაღების დასაჭერად.

***

ძველი დროიდან მოყოლებული ახლო წარსულამდე, ჩვენში ტრადიციად იყო ქცეული სხვადასხვა ხასიათის საგმირო თუ სათავგადასავლო ამბების ასახვა ხალხურ ზეპირისიტყვიერებაში. ამ მხრივ გამონაკლისი არც პატარა ეფროსგან დიდდი ყაჩაღის დაჭერის გახმაურებული ამბავი ყოფილა. ქსნელებთან ნათესაური კავშირით დაახლოებულ 16 წლის ვინმე მთიულ თინას 48 სტროფად გაულექსია ეს ამბავი, რომელშიც თავის სახელს და გასამრჯელოს 100 თუმანს, აგრეთვე ერთ წყვილ ფეხსაცმელს ასახელებს. სამწუხაროდ ეს საინტერესო ლექსი ეფროს ვაჟს აწ გარდაცვლილ არჩილს სტავროპოლში საცხოვრებლად წასვლისას თან წაუღია, ხოლო მის ცოლ-შვილს ქართული ენის უცოდინართ უყურადღებობის გამო დაუკარგავთ. ეფროს ქალიშვილმა, სოფ. საძეგურში მცხოვრებმა თამარმა კი ბავშვობაში ზეპირად ნასწავლი, წელთა სიმრავლის გამო ვეღარ გაიხსენა, გარდა პროლოგ-ეპილოგის ფრაგმენტებისა.

ამ ელოშვილსა ეფროსა
ბიჭი არა სჯობს გვარზედა,
მეცხვარეობა უყვარდა,
ჯოხის გადება მხარზედა.
როცა რომ ბარად დაცხება,
ფარებს გარეკავს მთაზედა,
საძმო ათ-ორ-მეტ შექუჩდა
ცხვარი მეტ თავანთ თმაზედა.

ამ ამბის გამლექსებელი,
მთიული თინა არია,
სარგოდ მოართვით ას თუმან
და ფეხსაცმელი ხამლია,
არ გეგონოთ დიდი ხნისა
თექვსმეტი წლისა ქალია.

ვერ ვიტყვი მიიღო თუ არა მთიულმა თინამ ქარჩოხელებისგან 100 თუმანი და ფეხსაცმელები, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ «სალექსოს» ინსტიტუტი მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის ჯერ კიდევ მოქმედებდა.

გადმოცემის თანახმად, ხევში მიმავალი ხნიანი ვაჟა-ფშაველა მთიულებს გაუჩერებიათ და უთხოვიათ, ერთი ლექსი ჩვენ მთიულეთის თემზე დაგვიწერეო. ვაჟა არ მორიდებია და «სალექსოდ» 30 ჭედილა უთხოვია. მთიულებს ჭედილები ვერ მიუციათ და ვაჟასაც აღარ დაუწერია მათზე არაფერი.

მოლექსეობაში, ყაჩაღის დაჭერის შემდეგ, ქარჩოხზე შექმნილი ლექსი, რომელიც ექილიკება მეზობელ ცხრაზმისხეველებს, მათზე უპირატესობად ქარჩოხელები ყაჩაღების დაჭერას ასახელებენ.

« ... რაღა გითხრათ ცხრაზმელებო,
ცხენის ხორცის მჭამელებო,
გაიხარეთ ქარჩოხლებო,
ყაჩაღების დამჭერებო».

P.S. მოუსავლიანობის წლებში, შიმშილის პიტას მისული გლეხობა მთელრიგ სოფლებში, ზოგჯერ საკვებად იყენებდა ცხენის ხორცს.

კეკე და ლეკები

ტყისპირებში ბევრს გვინახია დაკორტნილ დასახიჩრებული ხე, რომელიც იშუშებს ჭრილობებს, ივსება და თანდათან იფარება ჯანსაღი მასით, მაგრამ გულში მაინც რჩება კვალი ძველი ჭრილობებისა, რომელიც არასდროს არ გამთელდება.

ასეთი ხის დიდი ტოტია ჩვენი ქსნის ხეობა, რომელმაც თავისთავზე გამოსცადა ლეკთა თარეში და მაშინდელი ჭრილობა დღემდე არ მოშუშებია.

– ქართველი კაცი ისე არავის შეუშინებია და დაუღონებია როგორც ლეკს.

– რატომ?!.

– იმიტომ, რომ ქართველმა არ იცოდა სად და როდის დაეცემოდნენ ქურდობისა და ავაზაკობის «მეცნიერნი».

ქართველმა იცოდა, რომ მურვან ყრუ მოდიოდა. მას ორგანიზებული ფორმით ხვდებოდა, ცოლ-შვილს ხიზნავდა, პურს წლობით ორმო-ბეღელში ინახავდა, მთელი ქვეყანა ერთ სამხედრო მანქანად გადაიქცეოდა.

ლეკ-აბრაგობამ ქართველ დედას ცრემლი არ შეუშრო თვალზე. მისთვის ქალიშვილი ლეკს უნდა მოეტაცა, ვაჟიშვილი კი მტერს შეკვდომოდა. ამიტომ იყო, რომ ჩვენთან ქალს არ გაათხოვებდნენ თუ ციხე ან საიმედო სახიზარი არ ექნებოდა სოფელს. ქალის დედ-მამა უარის შემთხვევაში უციხო სასიძოს ეტყოდა – ჩვენი შვილი ლეკისთვის არ გაგვიზრდიაო. სწორედ ქვემოთ მოთხრობილი ამბავი, რომელიც დატრიალდა სოფელ ქურთაში, ანარეკლია იმ ავბედითი დროისა, რომელშიც უამრავი ქართული სოფელი აქცია ნასოფლარად დაღესტნის მთებიდან მოვარდნილმა ბარბაროსებმა.

ერთ-ერთი თქმულების მიხედვით სოფელ ქურთას, რომელიც წირქვლის ციხიდან ორ კილომეტრში მდებარეობს, მტრისგან თავდასაცავად და სახიზრად ორი სიმაგრე ჰქონდა. ერთი მდინარის მარცხენა მხარეს კორინთის თეთრ კლდეებთან და მეორე უფრო საიმედო – წირქვლის ციხე.

ერთ საღამოს სოფ. ქურთას ლეკთა გუნდი დასცემია. დაწიოკებულ ხალხისთვის წირქვლის ციხისკენ მიმავალი გზა თვითონ ლეკებს დაუთმიათ. მალე სოფლიდან გაუხიზნავი არავინ დარჩენილა მდ. ქსანი პატარა მოდიოდა და ამიტომ მოსახლეობის ნაწილმა კორინთის კლდეში მოწყობილ სახიზარს და საყარაულო კოშკს შეაფარა თავი.

სახლში მხოლოდ ყაბანაანთ უბანში მცხოვრები მოხუცი ცოლ-ქმარი კეკე და ლექსო დარჩა. ლექსო დიდი ხნის დაკოჭლებული და საწოლს მიჯაჭული ბერიკაცი იყო. კეკე კი შედარებით ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე ქალი. მიუხედავად თავისი შეძლებისა მაინც იუარა თავშესაფარში წასვლა.

ლექსოს თავს მე ვერ დავანებებ, მომიკვდება. ჩემი სიცოცხლე კი უიმისოდ არაფერია, რაც ღმერთს უნდა ის იქნება. დავრჩებით სახლში, თუ ლეკებმა დაგვხოცეს თქვენი იმედი გვაქვს, ხომ ვიცით, რომ დაუმარხავებს არ დაგვტოვებთ, – უთხრა კეკემ მეზობლებს.

ქალმა სახლის კარები ურდულით დაკეტა და თან მჭრელი ნაჯახი მიაყუდა კარებთან.

იმ დროებაზე კარებში შიგნიდან ჩამკეტი ურდულის გასაღებად, გარედან ხელის შესაყოფი ჭრილი ჰქონიათ. შესაძლოა სპეციალურად, რადგან მოძალადე ასეთ შემთხვევაში თვითონ შეყოფდა ხაფანგში ხელს.

სოფელში მტერი, ნადავლის თანაბარი შოვნისთვის კომლების მიხედვით განაწილდა. ამჯერად ქურთაში ერთ კომლზე ორ ლეკს მოუწია ალაფობა. ახალდაღამებულზე დაიწყეს მომხდურთ კარდაკარ სიარული და ძარცვა. კეკეს კარებზეც დაიწყო ორმა ლეკმა ბრახუნი და ხანჯლების ცემა. შიგნით ხმას არავინ იღებდა, მხოლოდ ბუხრის მკრთალი შუქი ანათებდა ოთახს. მაშინ ერთ-ერთმა ხელი შეყო ურდულის გასაწევად. ამ დროს კარებთან მდგომმა კეკემ ცული მოიქნია და ლეკს მარჯვენა ხელის მტევანი მოაჭრა. ახლა მეორე ლეკი მივარდა უკვე ღია კარს. აცახცახებული კეკე შიგნით შეღებულ კარს უკან აეფარა. სახლში შევარდნილმა სხვა რომ ვერავინ დაინახა ტახტზე ქვეშაგებში მწოლიარე ლექსოს მივარდა და ყელში წაუჭირა. კეკემ არც აცია არც აცხელა და ზურგიდან მიპარვით თავში ჩაარტყა მჭრელი ნაჯახი. ლეკი თავგაპობილი დაემხო სარეცელზე მწოლიარე მოხუცს.

შურისძიებით ანთებული დედაბერი ახლა კარებს უკან ხელმოჭრილი შეშინებულ ლეკს მიუბრუნდა, რომელიც სისხლისგან იცლებოდა და ძალას კარგავდა. ქალმა მასაც მოუღო ბოლო. ცხედრები იქვე ბოსლის ბანთან გაათრია და საქონლის ფუნაში დამარხა.

იმ ღამეს ქურთელები უმსხვერპლოდ გადაურჩნენ ლეკებს, მხოლოდ რამდენიმე სახლი და საბზელი შთანთქა ცეცხლის ალებმა. მტერმა საქონელთან ერთად ნაძარცვიც გაიყოლა და ზებეყურზე, საკორნის მთისკენ იბრუნა პირი.

კარგა ხნის გათენებული იყო როცა შეიარაღებული ხალხი სოფელში დაბრუნდა. ახალგაზრდა ბიჭები მიადგნენ მოხუცებს უკანასკნელი პატივის მისაგებად და ანდერძის ასაგებად. ახალგაზრდებს ძალიან გაუკვირდათ მათი უვნებლად დახვედრა. კეკე მათ ყველაფერს მოუყვა, ისინი კი არ იჯერებდნენ კეკეს გმირობას. ერთმა მათგანმა იხუმრა კიდეც.

ეტყობა ნადავლის გაყოფის დროს წაიჩხუბნენ და ერთმანეთი დახოცესო.

მაშინ კეკემ აჩვენა ახალგაზრდებს დასახიჩრებული გვამები და თქვა. ბოლოს და ბოლოს მეც დედაკაცი ვარ! განა არ შემიძლია მტრის მოკვლა და რომ შემძლებია ეხლა მაინც დარწმუნდითო.

შერცხვენილ ახალგაზრდებს კეკემ თავის და საყვარელი ლექსოს მაგივრად ლეკები დაამარხინა, – ეგენიც ღმერთის გაჩენილები არიანო.

* * *

სოფელი ქურთა რომლის ტოპონიმი მეცხვარეობის განვითარებას უნდა უკავშირდებოდეს, ისტორიაში პირველად მოხსენებულია 1470 წელს, ცხრაზმის სწორუპოვარი ერისთავის შალვა III ვირშელის ძე ქვენიფნეველის შეწირულობის წიგნში ლარგვისისადმი. «აღვაშენე სოფელი ივრეთი, რომელ მურვანის ჟამსა უკანით კაცი არა სახლებულ იყო. აგრეთვე ქსანზედა სოფელი ჰერედაი, ოხერი აღვაშენე და ზვარი, ქურთაი და სხვაი».

რაც შეეხება კორინთის თეთრ კლდეებს სადაც უახლოეს წარსულამდე შემორჩენილი იყო ბუნებრივი გამოქვაბული, რომელსაც ადგილობრივები სახიზრად იყენებდნენ (ეტეოდა 25-30 კაცი), გაანადგურეს კირის ნედლეულის მოპოვებისას. გამოქვაბული მარაგდებოდა ჩრდილოეთით, მთის კალთაზე «ყურაღა» წყაროდან თიხის მილებით გამოყვანილი წყლით.

ულიდა

ქსნის ხეობაში ცნობილი სოფლის საძეგურის აღმოსავლეთით 5 კმ-ში, ლამაზ ლანდშაფტურ გარემოში ერთ დროს გაშენებული ყოფილა სოფელი ულიდა იგივე ულდა, რომლის ბედუკუღმართობის ისტორია შემდეგნაირად დაიწყო.

სოფელს გვიან შუა საუკუნეებამდე ჩვენთვის უცნობი სხვა სახელი ერქვა. იგი ეკონომიურად ძლიერი და ხალხმრავალი ყოფილა. კეთილმეზობლობდა და «მეკოდეობდა» ახლოს მდებარე მერუბანთან, ასლიანთკართან ხონცუბესთან, ბაკურთკართან. მათთვის ჭირი და ლხინი, სალოცავ-საფიცარი, მტერი და მოყვარე ერთი ყოფილა. განსაცდელში ყოველთვის ერთმანეთს გვერდში ედგნენ, რასაც მოთარეშე ლეკები განუწყვეტლივ უქმნიდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

ლეკებს ერთ-ერთი შემოსევისას სასტიკად აუოხრებიათ სოფელი. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ამოუხოციათ, გაუძარცვიათ და გადაუწვიათ. მტერისთვის განსაკუთრებული წინააღმდეგობა სოფლის მღვდელს გაუწევია, მასვე მოუხდენია მოსახლეობის ორგანიზება საბრძოლველად, მაგრამ რიცხვმრავალ მტერთან ურთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულან. ახალგაზრდა მღვდლის წვრილშვილთა შორის ყველაზე უფროსი, 16 წლის ულამაზესი ქალიშვილი ულიდა ყოფილა. მღვდელს თავი მტრისთვის შეუკლავს. მის ცოლ-შვილსაც იგივე ბედი სწევია. მხოლოდ მის ულამაზეს ქალიშვილისთვის გაუკრავთ ხელები და შორეულ მგზავრობისთვის გაუმზადებიათ. ჭკვიანმა ულიდამ, რომელიც მთელ ახლომახლო სოფლებში სილამაზით და გონიერებით იყო ცნობილი, მტრის ხელში ყოფნას თავის მამულში სიკვდილი არჩია და თავი მოიკლა.

წავიდა მტერი. წაიღო დიდძალი ქონებ-ცხოვრება და დატოვა გავერანებული სოფლები, მაგრამ ქართველთა მრავალშვილიანობამ და გადარჩენის დიდმა ინსტიქტმა კვლავ ააღორძინა სოფლები. მოქუჩდნენ ცხვარ-ძროხაში მყოფი მწყემსები, მოჯამაგირეები და ზედსიძედ წასულები. ბევრი კაცი და ქალი მოისაკლისეს გადარჩენილებმა განსაკუთრებით ულიდა, რომლის სილამაზესა და სათნოებას მისტიროდა ყველა. ამ დიდი უბედურების მერე მადლიერმა ხალხმა სოფლის ძველი სახელი აღარ ისურვა და მათთვის დამაშვრალი მღვდლის ქალიშვილის პატივსაცემად სოფელს ულიდა (ულდა) უწოდეს.

ულიდას მამის სიკვდილის შემდეგ მეზობელ-მეკოდე სოფლებს მტერთან ბრძოლაში წინ მიუძღოდა სწორუპოვარი უმამაცესი გმირი ბაკური. მის მიერ დაფუძნებული სოფელსაც ბაკურთკარი ერქვა. ბაკური არამარტო კარგი მებრძოლი არამედ კარგი მეურნეც ყოფილა. მას თავის ხელთ მრავლად ჰქონია გაშენებული ვაშლის, მსხლის, კაკლისა და ბლის საუკეთესო ჯიშები. ბაკურს თავისი პატარა სოფელი არასდროს არ გაუხიზნია. მტერს კაცების გვერდით ქალები და მცირეწლოვანებიც ებრძოდნენ.

წინა წლების თავდასხმებით სოფლის შეთხელებულმა მოსახლეობამ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია მტერს. ლეკებმა აღგავეს მიწისაგან პირისა სოფელი ულიდა და მისი შემოგარენი.

საძულველ მტერთან პირისპირ სულ ბოლოს ბაკური დარჩენილა. მან როგორც მეკოდე სოფლების ხელმძღვანელმა იცოდა თუ სად იყო გადამალული საერთო სიმდიდრე – განძეულობა. რაზეც ლეკებსაც ჰქონიათ ინფორმაცია მიღებული. ფეხდასახიჩრებულ, ბაკურის მტერთან ხმალთაკვეთაში კიდევ დიდხანს უომნია და ბოლოს დაღუპილა.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებას არ გამოპარვია ბაკურის თავგანწირვა და სათანადო პატივი მიუგია გალექსით, რის მიგნება და გამომზეურება სამწუხაროდ დღეს ვეღარ შევძელით, გარდა ერთი ბოლო სტროფის – ბოლო ტაეპისა. «ვეფხმა ჩახია ჯაჭვი და ბაკურიც გარდიცვალაო».

უდავოდ ბევრის მთქმელი იქნებოდა ლეკიანობაზე შექმნილი ხალხური სიტყვიერების ქსნური ნიმუში, რომელმაც სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

მტერს მაინც თავისი ლელო გაუტანია, განძი უპოვია და ნაძარცვთან ერთად ცხენებზე აუკიდიათ. წინ ლამაზი ქალები გაურეკიათ და წასულან. ლეკებს დიდძალი ნაძარცვის და ქალების ტარება ვერ შეუძვლიათ და ულდიდან სამხრეთით 2-3 კილომეტრში «სამღვთოს მზვარეში» ერთ დიდ მუხის ფუღუროში დაუმალიათ იმ იმედით, რომ მერე წაიღებდნენ. მაოხარი ლეკები კახეთში გზად მიმავალ ქართველ მეომართა გუნდს დაუხოცია, ქონება გაუნაწილებიათ, ქალები კი ზოგს ცოლად შეურთვია ზოგს არაქართველთათვის მიუთხოვებიათ.

მას მერე გასულა კარგა ხანი. მე-19 ს. მეორე ნახევარში, ქსნის ხეობის მთის სოფლებიდან სამკალზე წასული მუშახელი ქართლისა და კახეთის გარე მონაპირე სოფლებამდე უღწევდნენ. ერთ-ერთ ასეთ დღიურ სამუშაოზე ს.საძეგურიდან წასულთ ყანის მკა კახეთის სოფ. გაურახში მოუწიათ. იმ არაქართულ სოფელში უცხოვრია ლეკებისგან გატაცებულ ულიდელ მოხუც ქალს. გაუგია თუ არა მოხუცს მინდვრად ქართული სიმღერა მისულა და უკითხავს ვინაობა. ქალს ბევრი უტირია როცა გაუგია მათი სადაურობა. უთქვია ბევრი ძველი ამბავი. ზეპირად სცოდნია ლექსი ულიდაზე, და ულიდელთა ბრძოლაზე ასპინძის ომში. მოხუცს გაუხსენებია ბავშვობის ხანა და ბაკურთ ბლები. ბოლოს დანანებით უთქვია: «ნეტავ თუ კიდევ იქნებიან ბაკურთ ბლები, მაჭამა მაინც ვინმემ»-ო. საძეგურლებს უთქვიათ კი როგორარა, ისევ დგანან ბაკურის ბლებიო. (მართლაც საძეგურში მცხოვრებმა, 1901 წ. დაბადებულმა ისაკ ზაქარიას ძე ნაროზაშვილმა, რეპრესირებულმა მჭედელმა, დამიდასტურა ულდაში, ბაკურთბლების არსებობა. თქვა, რომ დიდი ხანი არ არის რაც ისინი გახმნენ და წაიქცნენ. ისაკს ვესაუბრე 1992 წ. ოქტომბერში ვ.ქ.)

ულდაში დაბადებულ-გაზრდილსა და გაურახში დაბერებულ ქალს არ დავიწყნია ლეკების მიერ «სამღვთოს მზვარეში», მუხის ფუღუროში დამალული განძი და უთქვია ნიშანდობლივ მისი მდებარეობა. შემდგომ შინ დაბრუნებულ საძეგურლებს უძებნიათ ხსენებული მუხა. მთხრობელთაგან ერთნი ამბობენ, რომ იპოვეს დამალული განძი და კარგადაც მოიხმარესო, მეორენი პოვნაზე უარს აცხადებენ. ძნელია ამ შემთხვევაში რაიმეს დამაჯერებლად თქმა.

***

ხალხური ზეპირსიტყვიერების ქურაში გამოწრთობილ ამ თქმულების ძველი ვერსიიდან, სამწუხაროდ უფრო მნიშვნელოვანი აღარაფერია ჩვენამდე მოღწეული. გარდა ფრაგმენტებისა, რომელთა ჩაბღაუჭებით და ჩემს მიერ მოპოვებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მწირი მასალის შეჯერება-გაანალიზების საფუძველზე შევძელი ულიდაზე თქმული ამბის მოყოლა, რომელიც ნაწილია იმ ავბედითი მე-18 საუკუნისა, რომლის წილადაც მოდის ქართლში ნასოფლართა 80%.

ჩვენამდე არასრული სახით მოტანილი ხალხურ ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, რომელიც ეხმაურება ასპინძის ომში მონაწილე სოფლებს, ქვენიფნევსა და ულდას და გვიდასტურებს, რომ 1770 წელს გადახდილ ასპინძის ომამდე, ქსან-

ალეურას წყალგამყოფ ქედზე არსებულ სოფელს უკვე დავიწყებული ჰქონდა ძველი სახელი და იწოდებოდა ულიდად იგივე ულდად:

«ასპინძის ომში ვიყავი,
ასი ავჩეხე მახვილით,
ქვენიფნევს ამოვიარე,
ულიდა შევძარ ძახილით».

ლეკთაგან ულდის აოხრებაზე ხალხში დღემდე შემონახულია ერთი მეტად ტრაგიკული გამოთქმაც «ისე ამოწყდა ულიდა... მამალი აღარ ყივიდა».

დასანანია, რომ საძეგურში დღემდე არ მოიძებნება ბავშვი, რომელიც თქმულების ულამაზესი გმირის, ულიდას სახელს ატარებდეს. იმედია ამ ხარვეზს მალე გამოასწორებს თვითონაც დიდი ისტორიის მქონე პატარა სოფელი.

აქვე მინდა ავღნიშნო ისიც, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში ულდაში, ცენობილი მეცნიერის დავით გვრიტიშვილის ინიციატივით ჩატარდა საცდელი არქეოლოგიური გათხრები.

თქმულება უკანუბნელ მანანაზე

ცრაზმის ხევზე მდებარე სოფელი უკანუბანი, სამჯერ დასახლებული, გაძლიერებული და სამჯერ დაცლილი, ჟამიანობითა და მტრის ხელით გაპარტახებული სოფელია.

გადმოცემით უხსოვარ დროს, შავი ჭირისაგან მოოხრებულ სოფელში, ვარმულთის მთებიდან ნადირს გადაყოლილ მონადირეს, გვარად პავლიაშვილს, უნახავს რა მისი უპატრონოდ დაგდებული, თვალწარმტაცი შემოგარენი, სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვარი, სანადირონი მოსწონებია და შუამავლის დახმარებით, ბატონის თანხმობის შემდეგ დასახლებულა.

ახალმოსახლე მალე დაოჯახებულა. ცოლად მიუყვანია ულამაზესი ქალი სახელად მანანა. მიუხედავად იმისა, რომ ქალი კოჭლი ყოფილა, მაინც ნამეტანი სილამაზის გამო მის დასაცავად საკმარისად არ მიუჩნევია საკუთარი ციხის ქონა და სახლიდან ციხემდე გვირაბი გაუყვანია.

გადიოდა დრო. ოჯახს 3 ლომის ბოკვერა ვაჟი ეზრდებოდა, კაცი თავს ბედნიერად თვლიდა და უმეტეს დროს ნადირობაში ატარებდა, ქალი კი მთელ ცხრაზმაზე ულამაზეს ქალად ითვლებოდა და თაყვანისმცემლებიც ბევრი ჰყავდა.

ერთ ნაკიან წელს, ჩვეულებრისამებრ, უკანუბნელები შორიახლო მდებარე სოსმალეთის სალოცავში წასულან. სოფელში მხოლოდ მანანა დარჩენილა ჩვილი ბავშვით, სოფ. შიუკაანიდან თავისი საყვარელის მომლოდინე. დღესასწაულზე სოფლის დიდ-პატარის წასვლას ქალისა და მისი კუროს გარდა თურმე მოთარეშე, საყაჩაღოდ გამოსული ხევსურებიც ელოდებოდნენ, რათა უკაცოდ დარჩენილი სოფელი ხელის ერთი მოსმით გაეძარცვათ. მაგრამ მოხდა ის რასაც არც მანანა და მისი კურო ელოდებოდა და არც საყაჩაღოდ ცხრამთის იქიდან გადმოსულნი, რომლებიც ლეკებად ასაღებდნენ თავს და მალავდნენ თავიანთ ხევსურობას. კარებ გამოკეტილ უკანუბანში კუროსთვის ხევსურთ დაუსწვრიათ მისვლა. პირიწმინდად გაუძარცვავთ სოფელი, ხოლო ნაძარცვ-ნაალაფარი მანანას სახლში მიუტანიათ და ქალისგან მოხიბლულთ მისი თან წაყვანაც განუძრახავთ. მანამდე კი ხარი დაკლეს, ქვევრს მოხადეს და მიეცნენ ლხინსა და ქეიფს იმ იმედით, რომ სოფელში ძე ხორციელი არავინ იყო, გარდა კოჭლი ქალისა და მისი თითო ბავშვისა.

მიჯნურის მოლოდინში ლამაზმანი მიმჯდარიყო დარბაზის კერასთან და ნაღვლიანი ხმით უმღეროდა აკვანში ჩაკრულ პატარას. კუროც მოვიდა, ბანზე გავიდა და გვირგვინიდან ჩახედა საყვარელს. მანანამ დაინახა თუ არა ორაზროვანი სიტყვებით განაგრძო სიმღერა ხევსურთათვის შეუცნობლად და საყვარლისთვის საფრთხის სანიშნოდ.

ხარი დაკლეს ლომანაო,
ქვევრს მოხადეს ქოცონაო
ქალი მიჰყავთ მანანაო
ჩქარით წადი
მრავლით მოდი.

ლეკთა და ხევსურთა თარეშით შეწუხებულ ცხრაზმისხეველისთვის იოლი მისახვედრი იქნებოდა ქალის ნამღერი «იავნანა» და ქარზე უსწრაფესად, სირბილით მისულა სოსმალეთში, მოქეიფე მრევლთან.

ხორცის ქვაბებს ჯერ კიდევ ასდიოდათ ოხშივარი. კაცი და ქალი სუფრას უსხდა. მამაკაცებს უკვე მორეოდათ ზედაშე.

მისულმა პირველად დეკანოზებს აცნობა მათ სოფელში დატრიალებული ამბავი. იგრიალა შეზარხოშებულმა ხალხმა და იარაღ ამოწვდილნი დიდი გულოვნებით მიეჭრნენ მომხვდურთ. აქ უხუცესთა რჩევით მსხვერპლს მოერიდნენ ძველი მამა-პაპური ილეთი იხმარეს. გაბრიყვებულ-გალეშილ ხევსურებს მარნის კარები ჩაუკეტეს და დიდი კეტებით ბანი თავზე დაამხეს. მას უკან ორი დღე იძროდა ჩაქცეული ბანის მიწა ცოცხლად დამარხულ 14 ხევსურისგან.

***

სამშობლოს ბედუკუღმართობაზე ატირებული ქართველი პოეტი დ.გურამიშვილი «დავითიანში» გვისურათებს საქართველოს დამაქცევარ უცხო ტომებს:

«თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,
ყველამ წაკრა თვითო ქიშტი».

ზემოთ ჩამოთვლილ უცხო ტომელთაგან, საქართველოს ძარცვა-რბევასა და ტყვეთა ტაცებას, ხელს უწყობდა, ქვეყნის შიგნით ქართველთა შორის შური, მტრობა და ხოცვა-ჟლეტა: «მემრე შიგან აიშალნენ, ძმამ მოუდო ძმასა ყისტი» – რაც კიდევ უფრო აძაბუნებდა ისედაც სისხლით დაცლილ ქვეყანას.

ძარცვაში აქტიურ მთიელთა შორის უფრო აქტიურნი ოსები და ხევსურნი გამოდიოდნენ. ამ პერიოდში უნდა დაბადებულიყო ხალხური ლექსი ხევსურებზე, რომელიც 1873 წელს ჩაუწერია პეტრე უმიკაშვილის კავკავში.

«ხევსურო ხმალი გალაღებს,
ფშაველო ენა გრძელიო,
გუდამაყრელო მაჟარი
ტყვია გამოდის ცხელიო.
ხევსურო ხოცე ერთურთი
სხვა არაი გაქვს ხელიო,
ფშავით ადინე ძროხები
თუშეთით ბევრი ცხენიო».

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ბანების დაცემა-დანგრევის ხერხებს, იმ მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ წარსულიდან მომდინარეობს, რომელ წარსულშიც უხდებოდათ ჩვენ წინაპართ ცხოვრება.

ქართველი კაცი შენების დროს სახურავებს სპეციალურ საგორავებზე დგავდა, რომელთა დაცემა-დანგრევა ხის კეტებით ყოფილიყო შესაძლებელი. ეპიდემიებისას, როცა სოფლის მოსახლეობის 30-40% და ბევრი ოჯახი მთლიანად ქრებოდა, მაშინ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ამოწყვეტილ ოჯახს ბანს კეტებით თავზე ანგრევდა, რაც კრიტიკულ მომენტში ერთადერთი საშუალება იყო მიცვალებულის დამარხვისა.

ასევე საგორავებზე შემდგარი ბანი დამხვდურისთვის მძლავრ იარაღს წარმოადგენდა, მომხდურის გასანადგურებლად და მოსასპობად.

ქსნის ერისთავთა გენეალოგიაზე

როგორ უცნაურადაც არუნდა ჟღერდეს და გვეჩვენებოდეს ფაქტია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემორჩენილმა მასალებმა სხვადასხვა ვარიანტებით შემოგვინახეს ცნობები ქსნის ერისთავების გენეალოგიაზე. მათ პარალელურად შეხვდებით ცნობებს ქართველ თავდთა საგვარეულოების წარმომავლობაზე, ასე მაგალითად: ორბელიანები ჩინეთიდან არიან მოსულები, ამილახვრები იტალიიდან, ქსნის ერისთავები ოსეთიდან და ასე შემდეგ.

აი რას გვეუბნევა იოანე ბაგრატიონი, თავის დროზე ხალხში გავრცელებულს ქსნის ერისთავთა წარმომავლობაზე.

ქსნის ერისთავებზე ზეპირგადმოცემის რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი ფიქსირებულია იოანე ბაგრატიონის მიერ 1799 წ. შედგენილ თხზულებაში «შემოკლებით აღწერა საქ. შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა».

რაც შეეხება აქ მოყვანილ თქმულებას ციტირებულია წიგნიდან: გ.არახამია, ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები, თბ. 1988 გვ.51

«თავადი ქსნის ერისთავი ძველთა დროთანი არავინღა არიან, რომელნიც მოსულნი იყვნენ თურქისტანის მხრიდან ავარიელნი ხალხნი». აღნიშნულ ხალხმა დაიპყრო ფართო ტერიტორიები კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე და დასახლდნენ იქ. იმ დროის საქართველოს მეფე გვარამი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ახალმოსახლე ხალხს. მეისტორიეს თქმით «მარადის ბრძოდა და ავნებდა მათ».

მაშინ ავარიელთა ბეგები ეახლნენ ბიზანტიის კეისარს იუსტინიანეს და სთხოვეს შუამდგომლობა გაეწია საქართველოს მეფესთან, რომელსაც აღუთქვავდნენ სრულ მორჩილებას და ქვეშევრდომობას. იუსტინიანემ გამოიჩინა ჩვეული გულისხმიერება, იშუამდგომლა მეფე გვარამთან მან კი მხოლოდ გამოჩინებულნი და თავადის გვარისანი დაასახლა ქართლში, მათ შთამომავალთაგან დადგინდა მთავრად შიდა ქართლში კონსტანტინე, რომლის შტოსაც ეკუთვნოდა ქსნის პირველი ერისთავი თორნიკე. სამწუხაროდ არ გასულა დიდი დრო, რომ მისი მოდგმა მთლიანად ამოწყდა და ქსნის საერისთავოს მართავდა სხვადასხვა გვარის, სხვადასხვა მოხელენი – «სხვათა და სხვათა დროთა შინა. უკანასკნელი, მეფისა რუსუდანისასა, იქმნა რა აღრეულობა საქართველოს შინა და ბრძოლა ნოინთაგან, მაშინ მოვიდნენ ეს აწ წოდებულნი, ერისთავთა წინაპარნი სამეფო ოსეთის ხეობითგან, რომელ არს ნარად წოდებული ადგილი, რომელნიც იყვნენ გვარით გორჭიანნი, რომელნიც აწცა არიან ნარსა შინა გუარნი მათგნი. ამათ უკუც მოვიდნენ ორნი მამანი: პირველსა ეწოდა ბიბილა მეორესა რატი, რომელნიც დაეშენენ ქსნისა ხეობასა შინა, წელსა ქ-ეს აქეთ 1235 ბიბილა უკუ დაესახლა ადგილსა წოდებულსა ქვენა ფხვენს (უნდა იყოს ქვენა იფნევს. ვ.ქ.). რატი დასახლდა. ჟამურის ხეობას შინა და უკანასკნელ დროსა მეფობისა კონსტანტინესა მსახურებისათვის მიიღეს თავადობისა ხარისხი წელსა 1412-სა შინა და იწოდნენ ბიბლიურები ქვენაფხოველებად გუარითა და

იყვნენ ნაობად ერისთავთა და მართვიდნენ ადგილთა მათ. შემდგომად რა მიიღო მეფობა სვიმონ მეფის ძმანი, დაუდხანად წოდებულმან ამან იმოყურა ელიზბარ ქვენაფხოველი და დაუმტკიცა ერისთაობა... წელსა ქ-ეს აქეთ 1569 და მუნითგან. იწოდებიან გვარნი ამათნი ერისთავად, რომელიც ამათ შთამომავლობათა შინა იქმნებოდა პირველი, იგი მიიღებდა მხოლოდ ერისთავობას».

ძმები ქარუმიძეები

ფეოდალურ ხანაში, ქართლის გულში სოფელ თორტიზაში ცხოვრობდნენ 5 ძმა ქარუმიძეები. ერთიმეორეზე პატიოსნები და ძალგულოვანი ვაჟკაცები. ერთი შეხედვით მათ არაფერი ეტყობოდათ იმ ბატონის ყმობისა, რომელიც თავის გულქვაობით, სიბილწითა და სირეგვნით ცნობილი იყო მთელს გორის სოფლებში.

პატრონ-ყმური წყობის დაუწერელი კანონის თანახმად, ყმა გლეხი ბატონის ნებართვით ქორწინდებოდა. მისივე პატრონაჟით იმართებოდა ქორწილი, რომლის მანტიის ქვეშ იმალებოდა ამორალური მანკიერება «პირველი ღამის კანონი». ყველაზე მახინჯი, ავთვისებიანი წყლული ქართველი ერის კულტურულ სხეულზე. საქართველოს მრავალ კუთხეში, სხვადასხვა დრამატულ თავგადასავალს მოისმენთ ხსენებულ წესით გამოწვეულ წინააღმდეგობებით სავსე მოვლენებზე, რომლის ერთ-ერთი რეციდივი სწორედ ძმები ქარუმიძეების თავგადასავალის მიზეზი გახლავთ.

5 ძმა ქარუმიძეებიდან ერთ-ერთმა, ახალ დაქორწინებულმა, ბრძოლა გამოუცხადა არსებულ «პირველი ღამის კანონს» (ამ კანონის თანახმად ქორწილის პირველი ღამე პატარძალს ბატონთან საწოლში უნდა გაეტარებინა). უთანასწორო ბრძოლა «ტრაგედიით» დასრულდა. სამი ძმის მონაწილეობით მოკლული იქნა ავი ბატონი.

შურისძიებას მორიდებულმა ძმებმა დატოვეს მშობლიური სანახეები და თავშესაფრის ძებნაში ქსნის ხეობას მიადგნენ. აყვნენ დინებას აღმა. გზაში ყველგან კითხულობდნენ და ეძებდნენ კეთილ ბატონს. ბოლოს ნახიდურასთან მოსულმა სამი ძმიდან ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული, ჩაუქი და ნადირობის მოყვარული, ნახიდის ხეობას შეჰყვა და დააარსა სოფელი გეზევრეთი (გეზელი – მამალი ქორი. სანადირო) დაწერილა ჭოჭალად.

დანარჩენ ორ ძმას, რომლებიც საკმაოდ მაღლები ყოფილან გზა გაუგრძელებიათ. მოსულან თუ არა ქსნისა და ცხრაზმულის შესაყართან, ერთ-ერთს, ხარბ ძმას მოსწონებია ხარბლის ამწვანებული მამულები და დასახლებულა დღევანდელი ხარბლის ახლოს «ნახორთქლარში». სიმაღლის გამო კი ქენქაძედ დაუწერიათ (სიტყვა ქენქა მაღალ-მაღალის შესატყვისია).

ქარუმიძეების მესამე უფროს ძმას, ჭკვიანს და უწყინარს გზა გაუგრძელებია, დაღლილი ქსნის პირზე ჩამომჯდარა და წაუხემსნია. დაუნახავს, რომ ქსნის კამკამა ტალღებს დიდი მოწითალო ნაფოტები მოაქვს. უთქვია ვივლი იქამდე სანამ არ მივადგები ხის მთლელს ის ბევრ რამეს მეტყვის ამ მხარეზეო. უვლია, უვლია და ქარჩოხის დასაწყისში, მურყნიან ჭალაზე გადაყრია ერთ ჩია ბერიკაცს, რომელსაც ის-ის იყო გობი გაეთალა და მხარზე მოკიდებული სახლისკენ მიდიოდა. ლტოლვილმა გააჩერა, გამოკითხა ვინაობა, სოფლისა და ხეობის ამბები. ბერიკაცი გულკეთილი და კარგი მოსაუბრე გამოდგა. წაიყვანა სახლში თორტიზელი ყმაწვილკაცი, სიძედ მოიკიდა და მსგავსად ხარბალში დასახლებული ხარბი ძმისა ქენქაძედ დაეწერა.

მალე სოფელში ქარუმიძეების მოდგმიდან ქენქაძეები გამრავლდნენ, სოფელს კი ქენქაანი დაერქვა. მათი ერთი შტო საბის ოთხი ვაჟი აბრამა, ბასილა, საბია და ივანე მო-

პირდაპირე მხარეს ჭორჭოხში გადავიდნენ და საბიაშვილების გვარს და უბანს ჩაუყარეს საფუძველი.

მოგვიანებით გეზევრეთიდან ჭოჭლების ერთი შტო თავიანთ სახლიკაცებთან – ქენქაძეებთან ხარბალში გადავიდნენ საცხოვრებლად და დაეწერნენ ქენქაძედ, ხოლო საგვარეულო შტოს სახელად ჭოჭლიანი მიიღეს.

თორტიზიდან წამოსულ სამმა ძმამ ქარუმიძეებმა ქსნის ხეობაში დაამკვიდრა სამი ახალი გვარი: ჩოჩელი, ქენქაძე და საბიაშვილი. ეს სამი გვარი დღემდე სახლიკაცობენ ერთმანეთში, მკაცრად იცავენ ეგზოგამიას და ლოცულობენ სოფ. თორტიზის ქარუმიძეების საგვარეულო სალოცავში.

ბატატი და თამარი

XVII ს. ბოლოს მუხრან ბატონის საგვარეულო სასახლეში იზრდებოდა ერთი ჩვეულებრივი პატარა ბიჭი ბაგრატი. სეხნია თავის დიდი წინაპრისა, რომელმაც საქართველოს მეფის დავით X თანხმობით საუფლისწულოდ მიიღო მუხრანი და სარკინეთის მთაზე ააგო ქსნის ძლიერი ციხე-სიმაგრე.

პატარა ბაგრატის აღსაზრდელად მშობლებმა მოიწვიეს ცხრაზმისხევის მკვიდრი, სოფელ დადიანეთში ბერიანიძეზე გათხოვილი, შეძლებული გლეხის ქალი.

ძიძამ მალე აღსაზრდელის დიდი სიყვარული, ბატონებისა კი, ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. სამი წლის ბატონიშვილი მშობლებმა აღსაზრდელად ძიძას დადიანეთში გაატანეს. ბაგრატი ძიძას და იქაურობას ისე შეეჩვია, რომ დღე ძიძის გარეშე პურს არ სჭამდა, ღამე კი ლოგინში არ იძინებდა.

დრო გადიოდა, პატარა ბაგრატი ძიძისშვილების გვერდით ღვიძლ ძმასავით შეუმჩნევლად იზრდებოდა. განსაკუთრებულ სიხარულსა და სიყვარულს ძიძის ოჯახში ბაგრატისა და უმცროსი ძუძუმტის თამარის ხალისიანი ურთიერთობა იწვევდა. ბაგრატზე 5 წლით უმცროსი თამარი ფეხზე კარგახნის გავლილი იყო მაგრამ გამართულად უჭირდა მეტყველება. მოტიტინე ბავშვი ძუძუმტე ბაგრატს – ბატატს ეძახდა რის გამოც, მათი ურთიერთობა და თამაში ყოველთვის საამო საყურებელი და მოსასმენი იყო.

შვიდი წლის ბაგრატი ბატონებმა მთიდან-ბარში მუხრანს ჩამოიყვანეს და სწავლულები მიუჩინეს. დასრულებულიყო უზრუნველი ბავშობის ხანა.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა. ქვეყანა კი არ იცვლებოდა, ბატონი კვლავ ბატონობდა, გლეხი კი ქვეყანასაც და ბატონსაც ემსახურებოდა. ძუძუმტეობის ღადარი კი თანდათან ნავლსა და ნაცარს იკეთებდა. 12 წელი გასულიყო რაც ბაგრატი დადიანეთიდან წამოსულიყო და აღარ ენახა გამზრდელი ძიძა. ძუძუმტეებიდან ყველაზე მეტად პატარა თამარის ნახვა მონდომებოდა. წინა დადიანეთის გუთანა ხევში ტოპაობა და ახალ ციხესთან ფაეტონით გავლა აგონდებოდა.

ბოლოს მამას განუცხადა თავისი გულის წადილი: წავალ ჩვენ საბატონო სოფელში, ჩემ ძიძა-ძუძუმტეებს ვნახავ, ცხვრის ფარას დავხედავ და დათვზეც გავინადირებო.

ენით აუწერელი დიდი სიხარული შეიქმნა ბატონიშვილის სტუმრობით იმ დღეს წინა დადიანეთში. დედობრივი სიყვარულით ჩაიკრა ძიძამ გულში დიდიხნის უნახავი ბატონიშვილი. ბაგრატმა ძუძუმტეები მოიკითხა. ზოგი მთაში ცხვარს გაჰყოლიყო, ზოგი ნახირს, ბერიძეს _ ყველაზე უფროსს, კრწანისის ომში მტრისთვის შეეკლა თავი. ის იყო უმცროსი ძუძუმტე მოიკითხა, რომ გამოჩნდა კიდეც მეზობლებში გასული თამარი. მალევე გაეგო ბატონიშვილის სტუმრობა და მეზობლებთან ერთად მოსულიყო.

სხვებზე წინ მდგომი თამარი დარცხვენილი უცქერდა მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილ ლამაზ ყმაწვილს და გუმანით ხვდებოდა, რომ ის უნდა ყოფილიყო ბაგრატი, რომლის ბატატობის ამბავი ჯერ კიდევ ახსოვდათ მეზობლის ქალებს.

ბაგრატი თამარის დანახვისთანავე რაღაც მანამდე უხილავმა ძალამ შეაკრთო და შებოჭა. უხერხული მზერის შემდეგ თრთოლვით მიუახლოვდა, რომელიც დედამისს უკვე ხელმოხვეული მოჰყავდა ბატონიშვილთან და აღტაცებული აცნობდა: შვილო, ეხლა მაინც გაიცანი შენი ძუძუმტე, ჩვენი ახალგაზრდა ბატონი, შენ რომ ბატატის ეძახდი...

თამარს თავი ჩაეღუნა. ტანზე ბავშვობისა თითქმის აღარაფერი ეტყობოდა. მის პატარა და ლამაზ პირისახეზე მომდგარ ფერს, სისხლში არეულ რძის ფერს თუ შეადარებდით.

ტანი დაკვირტოდა, კერტები დატენოდა, მაჯისისხო შავი ნაწნავები, წყვილად აეკეცა. ფართო და შავი, ლამაზი თვალები გრძელ წარბ-წამწამთაგან უფრო კეკლუცნი და მომაჯადოებელნი ხდებოდნენ. მათი ყურება მოზიდულ შვილდისრის გასროლის განცდას გაგახსენებდათ.

ბაგრატი თამარის დანახვისთანავე სიყვარულის «უკურნებელი სენით» დაავადდა. მათ სიყვარულს წინ დაბრკოლებების მთელი კასკადი გადაეღობა. პირველი რაც ხელს უშლიდა იყო ძუძუმტეობის შეუვალი და შეუბღალავი ტრადიცია. მეორე – სოციალური მდგომარეობა. მათი გადალახვის ფიქრებით გულდამძიმებული დაბრუნდა ბაგრატი მუხრანს.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა მით უკიდურესობამდე მიდიოდა სურვილთა დაოკება და თმენა საყვარელი ადამიანის უნახაობისა.

«წილი ნაყარია, – რუბიკონი გადალახულია» – თქვა ბაგრატმა და დადიანეთში გაემგზავრა. მიუხედავად წინააღმდეგობებისა ბაგრატმა ცოლად შეირთო თამარი და მამასთან კაცი გაგზავნა შემორიგებაზე.

მუხრანბატონი რაღა მუხრანბატონი იქნებოდა, რომ «ჭკუასუსტი» შვილის სურვილებზე გაევლო. მან ბაგრატი მოკვეთილად გამოაცხადა, ჩამოართვა ბაგრატოვანთა გვარის ტარების უფლება და მოუსპო ყველა გზა და საშუალება საგვარეულოს უძრავ-მოძრავი ქონებიდან რაიმე წილის მიღებისა.

ბაგრატს სხვა რა გზა ჰქონდა, ბედს უნდა შერიგებოდა. თავს მაინც ბედნიერად თვლიდა, რადგან გვერდით ედგა ქვეყნად ყველაზე ძვირფასი ადამიანი, სილამაზით და გონებით ცნობილი, ოჯახის მოსიყვარულე – თამარი.

ახალ შეუღლებულთ ზოდეხის წმ. გიორგის ეკლესიაში, დიდი კნეთელის შვილთაშვილმა დასწერა ჯვარი. მალე დადიანეთში დასახლდნენ და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება.

ბაგრატმა რომელსაც ყველა ბატატით იცნობდა ყველაზე რთული და ვაჟკაცურ პროფესიას, მეცხვარეობას მიჰყო ხელი. შრომის დიდმა სიყვარულმა და გერგილიანობამ შედეგი გამოიღო. მალე ათასამდე ცხვარიც შეყარა და კარგი სარქალიც დადგა. მაგრამ გულღრძო დიდმა ბატონმა «შემარცხვენელ» შვილს ყველა გასაქანი მოუსპო. სოფელი რომელშიც ბატატი ცხოვრობდა ნებით თუ უნებლიეთ დადიანთან ნარდში წააგო რის შემდგომ დადიანეთი დადიანის მფლობელობაში გადავიდა.

მას მერე მოყოლებული ბატატი და მისი შთამომავალნი ბერიანიძეებად დაეწერნენ და ბატატიანად იწოდებიან. მათი ქალები გათხოვების შემდეგ ტრადიციის მიხედვით არა, ბერიანთქალებად, არამედ ბატატიანთქალებად იწოდებიან.

გადმოცემის თანახმად, შეუწყნარებელ და გულქვა დიდ ბატონს კიდევ ერთხელ დაუგმია შვილის უკადრისი საქციელი და სიკვდილის წინ დაუწყევლია: ცხრაზმაზე არ გამრავლდეს ბატატის მოდგმა და სულ თითო-ოროლა კაცზე იარონო.

მართლაც ნიშანდობლივია, რომ დადიანეთში სულ ორი ოჯახი ცხოვრობდა ბატატიანი და ამდენივე გორშია წასული. მათი გვარისთვის არაა დამახასიათებელი შვილთა სიმრავლე, მითუმეტეს ვაჟების.

ძმადნაფიცი დევი

ქართველი კაცის ცნობიერებაში დევი (რომლის წარმომავლობა ირანულ სამყაროდან მომდინარეობს) ასოცირდება უწმინდურების, ბოროტების არაქრისტიანობის ექვივალენტად. აქედან გამომდინარე, ჩვენი ბუნებისთვის მიუღებელია დევური ცხოვრება და მენტალიტეტი, პლუს ის ადამიანებიც, რომლებიც დევებთან მეგობრობენ, თუნდაც ცალმხრივად, რადგან დევი ვერ ჰგუობს ბოლომდე ადამიანს და მის მეგობრობას. დაბალი თვალით უყურებს მას, ჩაგრავს, ამპარტავნობს, ბილწობს, რაც ბოლოს ადამიანთან დაპირისპირებაში, ჰეგემონობისთვის ჭიდილში გადადის. მოვუსმინოთ პატარა ლეგენდას, რომელიც ანალოგიას პოულობს ზემოთ მოყვანილ ურთიერთობათა მიმართებაში.

ცხრაზმის ხეობის სოფელ ჩიტიანში, რომელსაც შუა საუკუნეებში კლდეთ მოიხსენიებდნენ, სახლობენ გვარად ჩიტიშვილები. მათივე თქმით, მათი მამა-პაპა არაგვის ხეობიდან გადმოსულა.

ზეპირი გადმოცემის თანახმად, ჩიტიშვილთა გვარის ერთ-ერთ შტოს _ გელიტაანთ და მათ 9 ძმას ბეღელთაში (კლდე ჩიტინის სამხრეთ-დასავლეთით) ძმად შეფიცულ დევთან ერთად უცხოვრიათ. 9 ძმა მას მეათე ძმად ითვლიდა და საერთოდ 10 ძმად იწოდებოდნენ, რის გამოც მეზობლები ცუდი თვალით უყურებდნენ, რადგან არაქრისტიან, ბოროტ, პირმძორიან დევთან ძმობდნენ და მეგობრობდნენ.

«10 ძმა» ერთად ასრულებდა ყოველგვარ სამუშაოებს. ძმები სოფლის უკან «გლუვ მთებში» თიბავდნენ. 9 ძმის ნათიბს დევი საღამოს ხვეტავდა და ზურგზე მოკიდებული სახლში მიჰქონდა.

შრომაში გადიოდა წლები, ერთად ხნავდნენ, თესავდნენ, მკიდნენ, თიბავდნენ და ტკბილად ცხოვრობდნენ, მაგრამ დევი თავის დევობას არ იშლიდა, ძმებს ზევიდან უყურებდა. მას შიში არაფრის ჰქონდა გარდა ჭექა-ქუხილისა და მეხისა. ძმებმა ეს კარგად იცოდნენ და დევთან არ ამჟღავნებდნენ.

ერთ მშვენიერ უღრუბლო, თაკარა დღეს, «ათი ძმა» სოფლის უკან მკიდა. სადილობის დრო ახლოვდებოდა. დევმა წამოწოლა და დასვენება მოიწადინა. იქვე ჩრდილში მიწვა, ნამგალი თავით დაიდო და დაძინებამდე ძმათშეფიცულთ დაუბარა. «თუ ცაზე ღრუბელი გამოჩნდეს გამაღვიძეთო!»

დევის დაძინება და ცაზე შავი ღრუბლების გამოჩენა ერთი იყო. ამოვარდნილი ქარი ღრუბლებს გელიტაანთ ყანის თავზე აქუჩებდა. ძმები მიხვდნენ, რომ ცა საწვიმრად ემზადებოდა. თუმც ახსოვდათ დევის პირმძორობა, ბოროტება, ავყიობა და გადაწყვიტეს თავიდან მოეშორებინათ არასასურველი «მეათე ძმა.»

მალე ქარი ჩადგა. წამოსულ წვიმას ღვარ-ცოფი და მეხთა ტკრციალი მოჰყვა. ძმები დიდრონ ხეებს შეეფარნენ დევი კი მეხდაკრული და დამწვარი ბორგავდა შორიახლოს. მიხვდა ძმათნაფიცთაგან ღალატს და სიკვდილის წინ დასწყევლა 9 ძმა გელიტაანი: «იყავით, იარსებეთ ცოდვილად ცალ ღერზე და არ გამრავლდეთ». ამის თქმა და დევის სიკვდილი ერთი იყო.

თითქოს ბუნებამ არ აპატია შემდგომ ძმებს დევის ღალატი და ის სახნავ სათესი სადაც დევი მოკვდა მეწყერმა ჩაიტანა დაბლა ჭალის ჩიტიანთ ხევში, (იქ ამჟამად სამი ჩიტიანია: კლდე ჩიტიანი, ციხე ჩიტიანი და ჭალის ჩიტიანი) ხოლო ნამეწყრალ ადგილზე სადაც კი დევის სისხლმა გაჟონა ნაძვი ამოვიდა და დღესაც მოსახლეობა იმ ადგილებს ნაძვნარს ეძახის.

რაც შეეხება გელიტაანთ, მართლაც მალევე მოეწიათ დევის წყევლა. ხანძარი გასჩენიათ ღამით და 9 ძმიდან მხოლოდ ერთიღა დარჩენილა, მათ შტოს დღესაც «გელიტაანთ» ეძახიან.

გელიტაანი მეზობლებმა ჯერ კიდევ დევის სიცოცხლეშივე შეიძულეს. ხალხმა იჩოთირა, არ აპატია ძმადნაფიცობა პირმძორიან დევთან და განაჩენი ერთობ მკაცრი გამოუტანეს: გელიტაანი თათრებად შერაცხეს. მართალია მათ დევის თავიდან მოშორებით გამოისყიდეს დანაშაული, მაგრამ მათი თათრობის ამბავმა სამწუხაროდ თუ არა სამწუხაროდ ჩვენამდე მოაღწია.

ბერციხის ეშმაკები

ჟამურის ლამაზ და მდიდარ სოფელ კორაში, XIX-XX ს. მიჯნაზე, ცხოვრობდა ხეტეევების გვარის კაცი გაკური, რომელიც ფიზიკურად ძლიერი, ლამაზი და მოქეიფე ყოფილა.

ერთხელ გაკური წასულა თავის მარქაფა, წითელი ცხენით წითელ ხატობაში. კარგად უქეიფია, უცეკვია და საღამოს სახლში მობრუნებულა. ღამით გზად ბერციხე უნდა გამოევლო, მდ. ქსანს გასულიყო და მისულიყო თავის სოფელში.

დილით ოჯახობამ ცხენი კარებზე ნახა მისული გაკური კი არსად ჩანდა. წაუშენიათ თავში, ალბათ ან ცხენიდან გადმოვარდა და დაიმტვრა, ან წყალში ჩავარდა და დაიხრჩოო. ეცნენ ჭალებს, გაჩხრიკეს მურყნის ძირები, კაცი ვერსად იპოვეს. გადიოდა დღეები. სოფელი ძებნით იყო დაკავებული და აი ხუთი დღის თავზე გაკური მივიდა სახლში შეშინებული, დაზაფრული და მოუყვა ჯალაბს თუ როგორ ჩამოსვეს ბურციხესთან ეშმაკებმა, როგორ აიყვანეს ქვის კიბეებით მაღლა ციხე-დარბაზში, აცეკვეს, ჯადოქრობა და კუდიანობა ასწავლეს, ციხის მარანის ქვევრებში ღვინო გადააღებინეს. ბოლოს ეშმაკებმა სასტიკად აუკრძალეს ნანახის გამჟღავნება და გააფრთხილეს, თუ სადმეს კრინტს დასძრავ ოჯახის საქმე ცუდად წაგივაო.

გაკური ამ ამბის მოყოლისას და მას მერე ვისთანმე თუნდაც ორი სიტყვის თქმაზე ძლიერ ცუდად ხდებოდა, მაგრამ ცნობისმოყვარე მეზობლებმა არ მოასვენეს და ამკითხვინებდნენ გაშლილ ხელისგულზე. რამდენჯერაც ვინმეს უმკითხავა, იმდენჯერ ოჯახის წევრი უკვდებოდა. ბოლოს მიხვდა თვითონაც და მისი ოჯახობაც, რომ ჯადოქრობა ცუდი შედეგით მთავრდებოდა. ამიტომ ცოლი და ცოცხლად დარჩენილი ერთი შვილი, თითქმის მორიგეობით ყარაულობდნენ, რომ გაკურს ვინმესთვის არ ემკითხავა, თან ხალხიც გაფრთხილებული ჰყავდათ, რომელთაც სრულიად უანგაროდ ემსახურებოდა.

ბოლოს გაკურს ცოლ-შვილიც დაეხოცა. მარტოდ დარჩენილმა კი ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და ბერციხის ბოროტი ეშმაკების ჯავრი თან გაიყოლა საიქიოში.

ლეგენდა კუცხოეთის დევზე

მდინარე ქსნის ყველაზე დიდ შენაკად ჭურთის წყალზე არსებული სოფელი, რომელიც თავისი უჩვეულო სახელითა და მდიდარი წარსულით გამოირჩევა – კუცხოეთია. მის სახელთან ფიგურირებს ქართული მითოლოგიის ერთ-ერთი ცნობილი ოდიოზური ფიგურა – დევი. რომელზეც ოსურენოვანმა ხალხურმა ზეპირისიტყვიერებამ მეტად მდიდარი საინტერესო ლეგენდა შემოგვინახა.

«კუცხოეთიდან ველისამდე, ამ ორ სოფელს შორის არსებულ უღრან, გაუვალ ტყეში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა «ივარრ-ყადს» ანუ ივანეს ტყეს ეძახდა, დედასთან ერთად ცხოვრობდა დევი. დევს ნამეტანი მსხვილფეხი საქონელი და ფაშატი ცხენები ყოლია. დედა-შვილს გაუმაძღრობისა და ბევრი ჭამა-ყლაპვის გამო საქონელი მაინცდამაინც ბევრი ვერ მოუმრავლებიათ. მანამ, სანამ ერთხელ დევმა კაცს კბილი არ გაკრა და მისი ხორცის გემო არ გაიგო. ამის მერე დევებს საქონლის ხორცისთვის პირი აღარ დაუკარებიათ და მსხვილფეხიც მოამრავლეს. სამაგიეროდ კუცხოეთის მოსახლეობა წუხდა და გმინავდა ყოველ წელს დევისგან წაყვანილ ბავშვებზე დარდითა და ფიქრით.

ხალხმა დაიწყო თათბირი თუ როგორ მოეცილებინათ თავიდან ბოროტების ბუდე, უზარმაზარი ძალის პატრონი – დევი. ითათბირეს, ითათბირეს და ბოლოს უხუცესთა დასტურით გადაწყდა, რომ ეჭეფის დღეობაში დაეპატიჟათ დევი, დაეთროთ და მძინარე მოეკლათ. ამისთვის საბარკლეთში მცხოვრებ ყველა ოჯახს უნდა მოეხარშა 15-40 ჩაფი ლუდი, 10 კოკა (160 ლ.) არაყი. თითო ოჯახს თითო ხარი დაეკლა. სამ-სამი კალოსხელა ხაბიზგინა გრამოეცხო და კიდევ სხვა წვრილმანი სამზადისი, რათა სოფლის ჩანაფიქრი ბოლომდე მიეყვანათ და დევი ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოეცილებინათ.

სოფელი სამზადის შეუდგა. სათემო დღესასწაულიც ახლოვდებოდა. ბოლო ერთი კვირა სოფელს თავზე კვამლად და ნისლად არ მოსცილებია ქვაბქვეშ მინთებული ცეცხლის კვამლი და ქვაბთაგან ასული ორთქლი. დევმა ეს შეამჩნია და იკითხა: კუცხოეთში რა ხდება, რატომაა ასეთი კვამლის ღრუბელიო?

მოახსენეს: ეჭეფობა მოდის, სოფელი ემზადება, საკადრისად უნდათ, რომ დახვდნენ და თქვენც მიგიპატიჟონო.

– დევს გაუხარდა. – მაშ კარგა გვიქეიფიაო.

– მოვიდა ეჭეფობაც. დღესასწაულზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. სტუმრებს შორის სჭარბობდნენ კუცხოელთა სახლიკაცები მეზობელ ძაბოეთიდან რომელთაც დიდი კურატი მოეყვანათ.

სტუმართა შორის დაალაჯებდა კუცხოეთის გაამაყებული დევი და ხარბად ავლებდა თვალს ასო-ასო მოხარშულ ხარებსა და ლუდის ვეება კასრებს.

ხალხმა წესისამებრ ილოცა და წინასწარ გამზადებულ სუფრაზე დასხდნენ. დევიც თავაზიანად მიიპატიჟეს და მისთვის საგანგებოდ შერჩეულ ადგილზე, ქვევრის გვერდზე დასვეს. მის გვერდზე ქვევრის მხარეს მიუსვეს მთელ იმ მხარეში თამადობაში ცნობილი ნონე მუზაევი, თუმც ყველამ იცოდა, რომ ნონე დევს ვერ დაათრობდა. ამიტომ საგანგებოდ ჩააცვეს დიდი ტყაპუჭი, მის შიგნით დატანებული ჰქონდა ტყავის მილი, რომლის ერთი პირი ნიკაპთან ჰქონდა მიბჯენილი, მეორე კი ქვევრში იყო ჩაყოფილი.

დაიწყო ქეიფი. რადგან დევი კაცის ხორცს ჭამდა ამიტომ ხარის ხორცი რძეში მოხარშეს, რათა არ გაეგო სოფლის ოინები.

თავგამოდებით სვავდა ნონე არაყსა და ლუდს, თავგამოდებით სვავდა დევიც. ნონე დაილოცებოდა და პირთან მიტანილ ნუაზანს ვითომ სვავდა – დევისთვის უჩინრად ტყავის მილში ისხავდა. მილიდან ქვევრში ჩადიოდა და ასე გრძელდებოდა სანამ დევი არ გამოთვრა.

ბოლოს როცა დევის ცნობიერებასა და გონიერებას ბინდი მოეკიდა წამოდგა სუფრიდან, ბარბაცით სოფლისკენ დაუხვია და თან დაუბარა ხალხს: ცაზე ღრუბელი თუ გამოჩნდეს გამაღვიძეთო.

დევს ბევრი სიარულის თავი აღარ ჰქონდა, სოფლის უკან ჩავიდა თუ არა მაშინვე მწვანეზე მიწვა და მიიძინა. არ გასულა დიდი დრო რომ ცაზე შავი ღრუბელი გამოჩნდა. კუცხოელებმა დევის მოკვლა აღარ მოისურვეს «ჩვენიანი მაგას არავინ გააღვიძებს, საცაა წვიმა წამოვა და მეხი მოკლავსო».

მალე წვიმისა და გოგირდის სუნი დადგა გარშემო. ცოტა ხანში წვიმას ელვა და ჭექა-ქუხილი მოყვა, ქუხილს მეხის გავარდნა და ხალხის შემაწუხებელი დევიც ცოცხალთა შორის აღარ იყო.

მუზაევებმა დევი იქვე სოფელთან «ᲤᲐᲡᲗ-ᲮᲐᲫᲐᲠᲗ»-ში დამარხეს.

ამ დროს დევის დედას გამოქვაბულში ძუძუსთავი აქავებია, რომელიც შვილს ფილთაქვაში კაცის ხორცს უნაყავდა და ზევიდან სისხლმოსხმულს ვახშმად უმზადებდა. დედას უგვრძნია, რომ მისი შვილის საქმე კარგად არ იქნებოდა. გამოსულა დიდ ქედზე, გადმომდგარა და კუცხოელებს გამოსძახა. აი თქვენ ალან-ბილანებო, ჩემი შვილი რაიქნაო! როცა ხმა არავის გაუცია მიხვედრილა სუნით, რომ მისი შვილი მეხით იქნებოდა მკვდარი.

მას მერე ხშირად გამოდიოდა დედა შვილის საფლავზე სატირლად. ერთხელ კუცხოელებზე გამწარებულს შურის საძიებლად ფილი და ფილთაქვა უსვრია მიპარვით ღამე სოფლისთვის. იქვე მდგარ ვასთირჯის ხელი აუკრავს და აურიდებია ორივე. ფილი იქვე სოფლის ნაპირას დაცემულა, ფილთაქვა კი შორს ჭურთის ჭალაში, ზერიათ ხევის შესართავთან.

ამ ამბების მერე დაისვენეს კუცხოელებმა. დევის საქონლის ადგილზე მათი ცხვარ-ძროხა გამრავლდა, ხოლო სხვა სალოცავთა შორის ვასთირჯი დიდი პატივით სარგებლობდა ხალხში, როგორც ბოროტების დამმარცხებელი და მუზაევებისა და ელკანოვების გვარის გადამრჩენი.

***

რესპოდენტთა თქმით, «დევის ნასროლი ფილთაქვა აბრამიანთ სოფლის წინ ზერიათ ხევში ეგდო, რომ გავივლიდით გზაზე, უფროსები იტყოდნენ: ის დევის ფილთაქვააო. დევის დედის ხელის ნავლებიც ისევ ეტყობოდა ამ 30 წლის წინ მოსულმა დიდმა ნიაღვრებმა მიწით დაფარა და მას მერე აღარავის უნახავს» (მთხრობელი ვიქტორ ილიას ძე ილურიძე დაბ. 1937 წ. დაბა ახალგორი) ფილთაქვის ქვა დაახლოებით 1,50 სმ სიგრძის 800 კილოგრამიანი მოთეთრო გრძელი ლოდი ყოფილა ფილი კი დღესაც გდია კუცხოეთიდან 100 მეტრში, სამხრეთ-აღმოსავლეთით. დაახლოებით იგივე ფერის 3-4 ტონიანი მასიური ქვაა.

ოსმა მწერალმა ალექსი ბუქულთიმ, 1985 წ. ქ. ცხინვალში წიგნად გამოსცა ისტორიული რომანი «უკვდავ არს სიმღერა». სადაც მხატვრულადაა გააზრებული XIX ს. საქართველოს მთიანეთის და მათ შორის ქსნის ხეობის ზემო წელისა და ჭურთის ხეობის

სოფლების (გორგა, ბაგინი, კუცხოეთის) მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა. წიგნში ფართედაა განხილული მთიელთა ყოფა-ცხოვრება და საკულტო ტრადიციები.

მამლისა და ცხვრის შეშინებული დევი

მდ. ქსანზე, ქარჩოხში, ერთ-ერთ პატარა შენაკად ძაბოეთის ხევში დგას ძაბურთ ციხე. მის მოპირდაპირედ ჩრდილოეთით კი კვერიათის ციხე. ძველ დროში ორივე ციხის გარშემო ხალხს უცხოვრია. პირველთაგანის მცხოვრები ბერები ანუ სასულიერონი იყვნენ, მეორესთან კი სოფელი კვერიათი მდგარა.

ეს ორივე ციხე ქვეყნისა და ხალხის სამსახურში იდგა. მათ უნდა დაენთოთ კოცონები მტრის შემოჭრის საცნობარად. საამისოდ ორგანვე საჭირო იყო მოსახლე, მათ საარსებოდ კი საჭირო პირობები.

როგორც ზეპირი გადმოცემა ამბობს, ამ ორ ციხეს შორის იდგა რაღაც უცნობი ბოროტი ძალა, რის გამოც ერთმანეთში ძალზე ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ. სინამდვილეში ორივე მართალი იყო, ავი თვალისაგან და ავი სიტყვისაგან ერთმანეთზე წაკიდებულები.

მოარული ხმებით ამ ადგილებს პატრონობდა ხატსალოცავთა და ხალხის მოძულე ბოროტი დევი, რომელიც არანაკლებ სძულობდა კვერიათის და ძაბოეთის ციხიდან თითქმის თანაბარ მანძილით დაშორებულ სოფელ ძაბუეთს, სადაც ცხოვრობდა ამ ციხეების გამრიგე – ფირუზმაგი. მან ძაბურთ ციხეს მრავლად მამულები დააჭერინა და სახელიც შესაფერისი შეურჩია «ციხის მიწები», ხოლო კვერიათის ციხეს საყანე მამული და წისქვილები მუხიშართის ხევში (დღევანდელი დიმოს ველი და მის წინა ხევი წისქვილებიდან) მათ საკუთარი სახელიც – წისქვილების ყანა და «მასიკქვროი» – ციხის წისქვილები დაარქვეს.

ბოროტი დევი რომელიც ერეოდა ციხე-სოფლების საქმეში, ხელს უშლიდა ყოველგვარ კეთილ საქმიანობას ბერთა და ერთა ცხოვრებაში. გადმოცემით, მტრის შემოსევებისას დანთებული ცეცხლის კოცონები ნაადრევად ქრებოდა ციხეებზე. კვერიათიდან და ძაბოეთიდან კი ღამით მძინარე ბავშვები აუყენებია და თვალაუხილავნი, წინ წასულს უკან მიუყოლებია.

მალე შეწუხებულმა ხალხმა გამოსავალს მიაგნო, უფრო სწორედ დევის დამორჩილებისა და განეიტრალების საშუალებას, რაც ქართულ ფოლკლორულ მასალებითაც დგინდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ეს არის გარკვეული მაგიური ხერხი: ოთხყურა ან ოთხრქიანი ცხვრის სისხლი და ქათმის მამლის ხმა-ყივილი.

ამ მაგიურმა ხერხებმა განაპირობა შემდგომში ის, რომ კვერიათის ციხის სოფელმა ცხვრის მომრავლებას მიჰყო ხელი. შემდეგომ ერთ-ერთ ბეჟიანთკარის დასახლებას თიხის მილებითაც კი აწვდიდნენ ცხვრის რძეს, სადაც გადმოცემის თანახმად პატარძალს უკუღმა გაუკეთებია თიხისავე საცობი, რძის მილებში გველი ჩამძვრალა და ამოუწყვეტია ბეჟიანთკარის მოსახლეობა. მათ სასაფლაოებს კი ხალხმა უკუღმა სასაფლაოები უწოდა.

რაც შეეხება ძაბურთ ციხეს იქ მყოფ ბერებს დევისგან მაგიური ხერხით თავის დასაცავად ქათმები მოუმრავლებიათ «ციხის მიწებში» და მას მერე იმ მამულს უწოდეს «ქარჩთმასიკქომ» – «ციხის ქათმები», რაც დღეისთვის მოსახლეობამ დაივიწყა და ეძახიან «ციხიმიწებს».

ამ ამბების მერე დევის დამორჩილება შესძლო ორივე ციხემ. სოფლებიდანაც ვეღარ ბედავდა ბავშვების წაყვანას, მაგრამ დევი მაინც დევობას არ იშლიდა და უფრო მეტად ფირუზმაგს ემტერებოდა.

დევურ ბუნებიდან გამომდინარე კონკრეტულ პირებზე ანგარიშსწორებას დევი მისავე ფიზიკური შესაძლებლობის მიხედვით ანხორციელებდა. იგი ყველა შემხვედრ ადამიანს არ შეეჭიდებოდა. ჯერ უკნიდან გახედავს, ბეჭებში თუ სინათლე გასდის ესეიგი სუსტია და ხმას არ გასცემს, თუ სინათლე არ გასდის ძლიერია და უსათუოდ დაეჭიდება.*

ფირუზმაგი ფიზიკურად ძლიერი კაცი ყოფილა, სოფელში ბევრ ახალშობილს მის სახელს არქმევდნენ და ანათვლინებდნენ. დევმა ყველაფერი იცოდა და შურდა მისი. დღენიადაგ მასთან შეხვედრის და შეჭიდების დიდი სურვილი ჰქონდა.

აი, ერთხელაც სახლში მიმავალ ფირუზმაგს ძაბოეთის ხევში ციხეებთან, ღამით დახვდა დევი. (დევი დღე იმალება, ღამით კი გამოდის და ნადირობს) ფირუზმაგს მის ხილვამდე ტყის შრიალი და მქისე, გაურკვეველი ხმები მოესმა. მას თავისი ვაჟიშვილი წაწუფი ეგონა. (წაწუფს ძაბოეთის მთის წულბინის იგივე წუფბბნის სახელი ერქვა) და შეუძახა:

– ჰეი, წაწუფ! ვერ შემაშინებ, ვერა!

– თუმც მალევე მიხვდა, რომ საქმე სხვაგვარად იყო.

– ფირუზმაგის წინ შავი, ღორივით ჯაგარასხმული, დაკუნთული, ღოჯებგადმოყრილი, ორი პატარა რქით დამშვენებული ბოროტი დევი იდგა.

უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. ფირუზმაგმა დევის გამოწვევა მიიღო და შეება. ძალით დევი სჯობდა, ხერხით კაცი, რომელსაც გამრჯვების იმედს მოწინააღამდეგის ბერა თითების უქონლობა და ფეხებზე შებრუნებული ტერფები აძლევდნენ.

ჭიდილში კარგა დრო გავიდა. დევი ჯერ კიდევ არ ჩანდა დაღლილი როცა კაცს თითქმის მთელი ძალა დახარჯვოდა. მიუხედავად დევურ ძალასთან ჭიდილისა, კაცი კვლავ განაგრძობდა წინააღმდეგობას, თუმც ხედავდა, რომ თანდათან ძალა ელეოდა. ამ დროს მოულოდნელად ძაბურთ ციხიდან მამალმა დაიყივლა. მისწვდა თუ არა ხმა დევის ყურს გაჩერდა. მამლის ყივილს ცხვრის ბღავილი მოჰყვა კვერიათის ციხიდან.

დევი შეშინდა. მაგიური ძალით იმოქმედა მასზე მამლისა და ცხვრის ხმამ. ბოროტი და პირმძორიანი მხრებში მოიხარა, მოილამბა და უკუსვლით გაშორდა კაცს, რომელსაც დევის მერე თავისი ერთ-ერთი გარდაცვლილი ნათლიმამა გამოეცხადა და მტკიცე ხმით უთხრა:

– იმ გზით ნუღარ წახვალ რომლითაც მიდიოდიო.

– ფირუზმაგი გამოფხიზლდა, სული მოითქვა, პირჯვარი გადაიწერა და სულ სხვა გზით «ციხის ქათმებზე» გავლით სოფლისკენ წავიდა.

მეორე დღეს ფირუზმაგი ავად გახდა. არარა წამალმა არ უშველა. ბოლოს მკითხავის რჩევით ცხრა წყაროდან აღებულ წყალზე, ცხრა სხვადასხვა ფერის კენჭებზე ალოცინა ცხრა შემლოცველს და ფირუზმაგიც ფეხზე დადგა.

მას მერე გავიდა დიდი დრო. ციხეებმა გაუძლეს ჟამთა სიავეს, მაგრამ იქ აღარც სოფლებია, აღარც ბერები და აღარც ბოროტი და ბილწი დევი, რომელიც ძალით თუ ვერა სიკეთით მაინც დაჯაბნა კაცმა.

---

* ხალხური გადმოცემით, დევი როგორც ფიზიკურად სუსტებს, ისე გოებრივად სუსტებს-გიჟებს არ ეჭიდება.

ლამაზი ფერია

მუჯუხურას ხევზე, რომელიც ცხრაზმის ხეობის სიღრმეში მდებარეობს. ერთ პატარა სოფელ ხინჩაგაანში ცხოვრობდა ერთი, ტანად წარმოსადეგი, ლამაზი პირისახის ახალგაზრდა კაცი – გიგლა, რომელსაც მამსირაანთ გიგლასაც ეძახდნენ. იგი თავის ლამაზ ქურანით ხშირად უნაგირზე ნაბად დაკრული დაიარებოდა მთასა და ბარში. ქეიფიც უყვარდა და ქალებსაც ეტრფოდა, თუმც ჯერხანად ცოლი არ ჰყავდა.

ერთხელაც ბარიდან მთაში ცხენით მიმავალი, ნამთვრალევი, სიბნელის გამო გზად გაჩერებულა ღამის გასათევად. ცხენისთვის უნაგირი მოუხდია და ავშარმოდებული ბალახზე მიუშვია. თვითონ კი ტყისპირში ნაბადში გახვეულმა მიწვა და მიიძინა.

შუაღამისას გიგლას ნაბდის ზემოდან ვიღაცამ გადაურბინა. გაეღვიძა ნაბდიდან თავი გამოყო და რომ ვერავინ ვერ დაინახა ისევ მიდო თავი დასაძინებლად. არ გავიდა დიდი ხანი, რომ კვლავ ვიღაცამ გადაურბინა, კვლავ წამოიწია და ვერავინ დაინახა. გაბრაზდა გიგლა, მაგრამ რას იზავდა, ჯერ გათენება შორს იყო მიწვა ნაბადში და კარგა ხანს ძილი არ მოეკიდა. ბოლოს ფიქრებში წასულს როცა თვალები მიელულა კვლავ მესამედ ვიღაცამ ტანზე გადაუარა. გიგლამ სწრაფად გადაიძრო ნაბადი და წამოხტა მაგრამ ამჯერადაც ვერავინ დალანდა. მაშინ კი თქვა. ჩემს აქ წოლას აზრი არააქვს, ის კიდევ მოინდომებს ჩემს გაბრაზებას, მოდი და ჩავუსაფრდებიო. მართლაც ნაბადი ისე დადო თითქოს შიგ ვიღაცას ეძინა თვითონ კი იქვე ბუჩქებს ამოეფარა. არ გასულა დიდი დრო, რომ ვიღაც ლანდი მიუახლოვდა ნაბადს და ის იყო უნდა გადახტომოდა, რომ გიგლამ უსწრაფესი ნახტომით ის ვიღაც უკვე მკლავებში ჰყავდა მომწყვდეული. გადაუწია თავი და ხედავს ულამაზეს ქალწულს, გრძელი კაბით, გრძელი თმებით, ფრჩხილებით, ეხვეწება არ მომკლა, თუ შვილად გერგები მიშვილე თუ არა და ცოლად გამოგყვებიო.

გიგლა ჯერ ერთი, რომ ახალგაზრდა კაცი იყო და ცოლი არ ჰყავდა მეორეც ის, რომ ასეთი ლამაზი ქალის ცოლობაზე უარს არავინ იტყოდა. გიგლამაც სახლში ცოლად წაიყვანა და უამბო იმ ღამით თავს გადახდენილი ამბავი ოჯახს და მოითხოვა ეცნოთ რძლად ეს ულამაზესი და უწყინარი ფერია, რომელიც დარჩა გიგლასთან სახლში და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება.

კვირის თავზე ფერიამ უთხრა ბიჭს. თუ გინდა, რომ ყოველთვის შენს გვერდით ვიყო, მაშინ ყოველ შაბათს, კვირის ძალზე, თითო-თითო წვეთი სისხლი უნდა გამოუშვა ჩემი სხეულიდან. თორემ გავქრები და ორივეს გული გვეტკინებაო.

გადიოდა დრო, ბიჭი ყველაფერს დარიგებისამებრ ასრულებდა და თავის უწყინარ ფერიასთან მშვიდად ცხოვრობდა. ამ მშვიდ და მოკლე დროში ფერიამ, იგივე ალმა, დედამთილს ბალახებისგან წამლების მოხარშვა-დამზადება და მათით მკურნალობა ასწავლა. მთელი ოჯახი და სამეზობლო კმაყოფილნი იყვნენ ალის, ლამაზი ფერიის რძლობით.

ერთხელაც, შაბათ დღეს, სათიბ-სახვეტად წასული ჯალაბი ძლიერი წვიმისა და თქეშის გამო სახლში დროზე ვერ დაბრუნდა. ალმა გულს შემოიყარა, გრძნობდა, რომ სისხლის გამოუშვებლობის გამო ადამიანებთან დაშორება მოუწევდა. თუმც გვიანობამდე უცადა. მეტი აღარ შეეძლო, გასაქრობად გამზადებულმა, თვალი მოჰკრა ეზოს მოახლოებულ გიგლას, რომელიც თითქმის მორბოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. გასაფრენად გამზადებულს, უკან მოხედვის საშუალებაც აღარ ჰქონდა. ბოლოს ქმარყოფილმა მიაძახა, ის მაინც მასწავლე ნაბახუსევზე, ავადმყოფ კაცს რა უშველისო? ფერიამ უკან მიუხედავად, ხმა ამოუღებლად მრავალაზროვანი პასუხი გასცა. ქვა აიღო და ქვაზე დადო. ამის შემდეგ გაქრა და აღარავის უნახავს.

ფერიას ეს ჟესტი მამსირაანთ გაშიფრეს, რომელიც ჩვენამდე მოვიდა: «რამაც მოგკლას, იმან გაგაცოცხლოსო» ანუ სიმთვრალით, სასმლით თუ ხარ ავად, ისევ სასმელი გამოგაკეთებსო».

***

ეს არც ისე ძველი ამბავი, რომელიც ცხრაზმის ხევზე გეგა ბიტაროვისგან და იაშა ოღაძისგან ჩავიწერე ერთგვარი ინტერპრეტაციაა ხალხური წამლების რეცეპტთა შექმნისა. გეგამ თავის ბებიისგან ისწავლა ალის მიერ შექმნილი რამდენიმე წამლის დამზადების საიდუმლოება, რომელიც გეგას ბებიისთვის მამსირაანთ უსწავლებიათ. დღეს გეგასთვის არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენს და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს.

ლეგენდა ოხირის დევზე

ქსან-არაგვს შორის მდებარე ლომის-ოხირის მთას, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გამოსდევს პატარა და ვიწრო ოხირის ხეობა, რომლის ოსური მოსახლეობა 5-6 პატარა უბნად იყო განსახლებული. ოსურ მოსახლეობას კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ქართულ სოფლებთან.

გადმოცემის თანახმად, ისე როგორც ქსნის ხეობის ბევრ სოფელში, «ოხირის ხევის შუა წელზე, ფერსაანთ უბანში, მიუდგომელ პირქუშ კლდეებში ბინადრობდა ბოროტი, კაციჭამია დევი. იგი ადამიანის მსგავსი ტანით, ღორივით შავი ჯაგრით, არაპროპორციული სახით, დიდი თვალებით, პატარა რქებით და გრძელი ყურებით ხასიათდებოდა. გადმოცემით დევებს ხალხზე წინათ უნავარდიათ, უჟლეტიათ, უჭამიათ და ქალებს მათგან ბავშვებიც კი გაუჩენიათ. მაგრამ დამკვიდრდნენ თუ არა ხატ-სალოცავები დევებს შედარებით ძალა დაუკარგავთ, შეშინებულან და მას მერე კლდეებსა და ღრეებში დამალულან.

დევი დღე იმალება, ღამე კი ნადირობს, როცა კაცის ხორცი მოუნდება შედის მძინარე ოჯახში და ბავშვებს იპარავს. ფერსაანის კლდეებში დამალული ოხირის დევი მოპარულ ბავშვებს გამოქვაბულში ამყოფებდა, მოუნდებოდა თუ არა ხორცი კლავდა და შემწვარს შეექცეოდა. ამიტომ იყო, რომ ხშირად კლდეებიდან დამწვარი მყრალი სუნი გამოდიოდა.

ფერსაანთ უბანში, ახლო წასულში ცხოვრობდა მეზობელ ქისიანთიდან ზედსიძედ მისული ახალგაზრდა კაცი ქისიევი სიმონა. ერთხელაც მის ოჯახს ღამის გასათევად ესტუმრა არახვეთელი კაცი. სტუმართმოყვარე ოჯახმა შესაფერისი პატივით ისტუმრა მთიული, საღამოს კი მეორე სართულის აივანზე გაუშალეს ლოგინი და დააძინეს.

იმ ღამეს სიმონას ოჯახს ესტუმრა დევი. გაბოროტებულმა ჯერ მძინარე სტუმარი მოისროლა დაბლა, მერე შიგნით იმ ოთახში შევიდა სადაც დედას და აკვანში ჩაკრულ ჩვილ ბავშვს ეძინა. ატყდა წივილ-კივილი და ერთი ჩოჩქოლი, მთელი სოფელი სიმონას სახლს მოაწყდა. დევი იძულებული გახდა ბავშვისთვის თავი გაენებებინა და გაქცეულიყო.

ხალხმა სიბნელეში მძლივს იპოვა სიპებზე დანარცხებულ-დამტვრეული სტუმარი და მეორე დღესვე ჯინ-მარხილით არაგვზე გადაიყვანეს.

ხალხი დევისგან წლების განმავლობაში ასეთ, ცუდ, გამოუვალ მდგომარეობაში იყო. მეტის მოთმენა უკვე აღარ შეიძლებოდა. უხეცესთან რჩევით სოფელმა მკითხავს

მიმართა. მკითხავმა კი რაც შეიტყო დევისგან დაბრიყვებულ-დაბეჩავებულებზე ყველა-ფერი დაწვრილებით აუწყა.

თქვენ დევს ძალიან შინებია ჭექა-ქუხილის. მისი სიკვდილი არა ძალას არ შეუძ-ლია გარდა მეხს. ეს თვითონ დევმაც კარგად იცის და ამიტომ გამოქვაბულში იმალება წვიმის დროს. თქვენ აქამდე უკვე დიდი ხნის მკვდარი გეყოლებოდათ, მოტაცებული ბავშვები, რომ არ შველოდნენ. ჩუკუმაში ერთი დიდი სადგისი აქვს, როცა ცაზე გაიელ-ვებს და შავი ღრუბელი გამოჩნდება დევისგან დაშინებული ბავშვები ჩხვლეტით აღვი-ძებენ მძინარე დევს, ისიც დგება და შიგნით გამოქვაბულს აფარებს თავს.

დევმა შეიძლება თქვენც დაგაძალოთ კაცის ხორცის ჭამა, რაც მათი სტუმართ-მას-პინძლობის წეს-ჩვეულებაა. ის ამით უამურ და საშინელი საქმის კეთებას გაიძულებთ. მას სურს ჩაკლას თქვენში ყოველგვარი სიწმინდეები და მათდამი პატივისცემა, გაზია-რონ არაადამიანურ ბოროტ დევურ ცხოვრებას. ამიტომ არ უნდა უარყოთ და დაი-ვიწყოთ მამა-პაპეული ხატ-სალოცავები, პირიქით, უნდა გააძლიეროთ. გაძლიერებულ-ნი ადვილად შეებრძოლებიან დევებს და დაამარცხებენ. რაც იგივე თქვენი გამარჯვება იქნება. ამიტომ, გადადით არაგვზე, მიდით დიდვაკეზე სეთურების კვირაცხოვლის სა-ლოცავში, წამოიღეთ დეკანოზის ლოცვა-კურთხევით ერთი ქვა, მიიტანეთ თქვენი სოფ-ლის უკან და დათქვით დღეობა.

მართლაც წავიდა ოხირიდან არაგვზე რამდენიმე შერჩეული ცხენოსანი. გზად არახვეთის უკან ხალხი კვირაცხოვლის სალოცავში გამოსულიყო და ლოცულობდა. მხედრებმა გადაიფიქრეს დიდვაკეზე გასვლა, რადგან არახვეთელთა სალოცავი მოსახე-ლე იყო სეთურების სალოცავისა და ქვის წაღებაც აქიდან გადაწყვიტეს, მაგრამ არახვე-თელებმა უარი უთხრეს. ჩვენ ამ სალოცავს, რომ ვაშენებდით საძირკვლის პირველი ქვა იქიდან გამოვიტანეთ. მაშინ წავიდნენ ოხირელები დიდვაკეზე და დეკანოზის თანხმო-ბით წამოიღეს ერთი მოზრდილი ქვა და გადმოიტანეს ოხირზე.

გადმოატარეს თუ არა ოხირ-არახვეთის ყელზე მაშინვე შავი ღრუბლები წამოვიდა ცაზე და სულ მალე მთელი ქვეყანა დაბნელდა. ღრუბელს მალე საშინელი ელვა და ჭექა-ქუხილი მოჰყვა. მეხი ხან სად გავარდებოდა, ხან სად. საშინელმა თქორმა პატარა შეუმჩ-ნეველი ნაკადულები აადიდა და გადარია, საშინელ დელგმაში ოხირის ხეობის შემაწუ-ხებელ კაციჭამია დევსაც დასცემია მეხი და მოუკლავს, დამწვარა და ფერფლად ქცეუ-ლა. დამწვრისგან ისეთი საშინელი, მყრალი სუნი დამდგარა, რომ ორ კვირას ხეობიდან არ გასულა. ასე მოიშორა ხალხმა ბოროტებისა და სიკვდილის მთესველი დევი.

ოხირელებმა დიდვაკიდან წამოღებული ქვა ფერსაანში სოფლის უკან დაასვენეს და დაარსეს გაზაფხულის ერთ-ერთი დიდი დღეობა – კვირაცხოველი.

მეცხვარე და ალი

ჭურთის მურყნიან ჭალაში, თეთრი ცხენით, ყუფთის* მთაზე მიდიოდა ერთი მეცხვარე კაცი. გზად კისერ გაშეშებულ მგლებს გადაეყარა, დანახვისთანავე ერთი შეუ-კივლა და გზა გააგძრელა. ცოტახნის სიარულის შემდეგ დაუნახავს, რომ იგივე მგლები მოსდევენ თმაგაწეწილ გრძელკაბა და გრძელფრჩხილება ალს. ის-ის იყო უნდა დასწე-ოდნენ და შეეჭამათ, რომ მეცხვარეც მიუმარჯვდა და კვლავ დაჰკივლა.

ალს კაცის დანახვა გაუხარდა, წინ გადაუდგა და ყელგადაგდებული შეეხვეწა: მიშ-ველე რამე, ოღონდ ამ მგლების ხროვას გადამარჩინე და შენ ცხვარ-ბატკანსა და კვიც-

* ყუფთის მთა არის ჭურთისა და ლეხურის ხეობების წყალგამყოფი ქედის დასავლეთ ნაწილში.

ჩოჩრებს მგლის კბილი არასდროს არ გაეკარება. თანაც დაგლოცავ ისე, რომ რაც ცხვარი გყავს ერთი იმდენი კიდევ შეგემატება.

მწყემსს შეცოდებია ალი, თვალებ ანთებულ და ხახა დაღებულ მგლებისთვის გამოუტაცნია, ცხენის გავაზე შემოუსვია და გაუჭენებია. სამშვიდობოზე გასულთ მეცხვარეს უკან მოუხედია, რათა გაეგო ალის ვინაობა, მაგრამ ალი ცხენზე აღარ იჯდა სადღაც გამქრალიყო. მწყემსმა პირჯვარი გადაიწერა და გზა განაგრძო.

საღამო ჟამს მეცხვარემ მიაღწია ყუფთას მთაზე თავიანთ არხაჯზე, სადაც ბინის გვერდით თავიანთ ცხვრის ფარის გარდა კიდევ სხვა ცხვრის ნოტი დაინახა. გაკვირვებულმა ჰკითხა ამხანაგებს: ეს ახლად დასერილი ცხვარი ვისიაო? გაკვირვებულმა მწყემსებმა მხრები აიჩეჩე. ჩვენ – შენი მორეკილი გვეგონაო.

მივიდნენ ახლოს, ნახეს და ყველა ცხვარი იმ მეცხვარის სერზე იყო დანიშნული, რომელ მეცხვარემაც ჭურთის ჭალაში თმაგაწეწილი ალი მგლებისგან შეჭმას გადაარჩინა.

მერე გაიხსენა მეცხვარემ ძველი ნათქვამი: ძალზე ცუდია ალისგან კაცის დაწყევლა, მაგრამ ლოცვა უფრო ცხადია და მალე ასრულებადი. მითუმეტეს გაჭირვებულისგან. ამხანაგებისგან განსხვავებით, მეცხვარისათვის ძნელი მისახვედრი არ იყო თავის სერზე დანიშნული ცხვრის შემომატება, იმ თმაგაწეწილ ალის დალოცვის შედეგი რომ იყო. რის მერეც კეთილი მეცხვარე კიდევ უფრო გამდიდრდა.

ამბავი დამწვარი ეშმაკებისა

ერთ-ერთი თქმულების მიხედვით გვიანი შემოდგომის ერთ ცრიატ დღეს, ჭურთის ხევში, საბარკლეთელ აბრამიანთ ბუჭულა წისქვილში, მათი რძალი საჯალაბოდ ქერდიკას ფქავდა. ქალმა წისქვილის ღია კარიდან შენიშნა მისკენ მიმავალი ქალი ჩვილი ბავშვით ხელში. რომელიც თავის მაზლის ცოლს მიამსგავსა და თავისთვის ჩაილაპარაკა, ნეტავ ჩვენი დრიანა* აქ საიდან მოდისო.

მალევე შემოვიდა ბავშვიანი ქალი წისქვილში, ჩვილი კალთაში ჩაუსვა და თვითონ საჩქაროდ გარეთ გავარდა.

წისქვილში მყოფმა თავისდა უნებლიედ თქვა, მე ჩვენი დრიანა მეგონა და სულ სხვა ვინმე ყოფილა. ამ სიტყვების თქმა და ქალის უკან შემოვარდნა ერთი იყო, დასტაცა ბავშვს ხელი და წავიდა.

სოკუროვების რძალი გონს ვერ მოსულიყო თუ რა მოხდა. ვინ უნდა ყოფილიყო ის ქალი, ან რა უნდოდა, რატომ დაუტოვა ბავშვი და მერე უცებ გააქცია და გაქრა?! ბოლოს შეშინებულმა საჩქაროდ ამოკრიფა ფქვილი ალატიდან, მარცვალი ხვიმირიდან და ზურგზე გუდა მოკიდებული სწრაფი ნაბიჯით წავიდა. სახლისკე მიმავალმა კვლავ უკან ადევნებული ბავშვიანი ქალი შენიშნა, რომელიც ლამობდა დაწევას მაგრამ რძალი თითქმის სირბილით მიდიოდა. სოფლის გვერდით, მაღრანის ხევამდე მისდია უცნობმა მერე კი გაქრა სადღაც.

შეშინებული და მუხლმოკვეთილი ქალი სახლში მივიდა, გუდა მოიხსნა და თქვა: ჩქარა ცუდად ვარ მიშველეთ რამე! თან ოჯახის წევრებს და მეზობლებს მოუყვა რაც ნახა და შეემთხვა.

---

* ოსური ენის ლექსიკაში დრიანა ნიშნავს დრიაევების გვარის მატარებელ ქალს.

გადიოდა დღეები. ავადმყოფი მორჩა მაგრამ სულ ეშმაკებს და ალებს მიელაპარაკებოდა, წინასწარმეტყველებდა, იძლეოდა რჩევა-დარიგებებს, იბრალებდა ექიმბაშობას, თუმც არავინ არ მოურჩენია, და სულ საეშმაკო-საკუდიანო საქმეების ჩხლართვით იყო დაკავებული.

გაბრაზდა ხალხი. მთელ სოფელს მოთმინების ფიალა აევსო. ეს ქალი კუდონობას იბრალებსო. შეუკრეს ხელ-ფეხი, შესვეს ცხენზე და წაიყვანეს წითელი ხატისკენ, სადაც ადრე ქრისტეს მტრების და დევ-ეშმაკთა საყარ კლდეს ეძახდა ხალხი.

გზაში ცხენმა ჩაჩოქება და ურჩობა დაიწყო. ურცხოხის მთის თხემს ვეღარ გადაალილეს გაურჩებული ოთხფეხი. მერე უხუცესთა რჩევით მიცვალებულთა ეკვდერს – აკლდამას შემოატარეს სამჯერ და გზა განაგრძეს.

ფრიალო კლდეებთან მისულთ, თოკშემოხვეული კუდიანი რძალი ქარაფზე გადაკიდეს და მოსთხოვეს დაესახელებინა და დაეწერინებინა იმ ეშმაკთა სახელები, რომლებსაც ხედავდა და არ ასვენებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორც კუდიანობის მომგონსა და მიმდევარს კლდიდან გადააგდებდნენ.

ქალი ჯერ უარზე იყო, რადგან გარს ეშმაკები ეხვეოდნენ და ამხნევებდნენ, ნუ გეშინია ჩვენ დაგიფარავთ სიკვდილისგან, ქარაფის ძირში მერინოსის მატყლის ფთილებს დაგიგებთ და უვნებელი დარჩები იქაც ურცთხოხში შენ ცხენს ჩვენ ვეხვეოდით და ვამძიმებდით, რომ ვერ წამოეყვანე ამ ურჯულოებს. მიცვალებულებზე ცხენის შემოტარება, რომ არა იქ ჩვენთან დარჩებოდი ისევ _ ეუბნებოდნენ ეშმაკები.

ბევრი რჩევა-მუქარის შემდეგ, საბარკლეთელთა რძალმა დაასახელა მწვალებელი ეშმაკები. მის ნათქვამ სახელებს უხეცესები არყის ხის ქერქზე იწერდნენ. ბოლოს უხუცესებმა ეს სახელები არყის ქერქის ჩლაქვთან* ერთად დაწვეს და გაანადგურეს. მას მერე ეშმაკებს აღარც სოფელი და აღარც მათი რძალი შეუწუხ-შეუშინებიათ.

ცხადია დაგაინტერესდებათ და იკითხავთ თუ რა სახელები ერქვათ ეშმაკებს, მაგრამ როგორც გადმოცემა გვებუნება მათი სახელების ხმამაღლა წარმოთქმა და გამჟღავნება არ შეიძლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეშმაკებს თავიდან ვერ მოიცილებდნენ. ამიტომ იყო, რომ ქალის დასახელებული სახელები არყის ქერქზე დაწერიდან რამდენიმე წუთში დაწვეს.

***

განსაკუთრებით საგულისხმოა ალებისა და ეშმაკების განრიდების საშუალება, შელოცვის გზით რომლის ცოდნა თითქმის სავალდებულო იყო. მხოლოდ ლოცვითა და პირჯვარის გადაწერით თუ შეძლებდით ალისა და ქაჯის ცდუნებისაგან თავის დაღწევას, რაც საბოლოოდ აგაშორებდათ მათთან ინტიმურ ურთიერთობის ტრაგიკულ დასასრულს. მოვიტანთ შელოცვის ტექსტს:

«ჰაი, თქვენ, წყეულო ალო, ქაჯო და ეშმაკო! ნურც ეძებთ დაღლილსა კაცსა, ნურც ეძებთ დაჭრილსა კაცსა, ნურც ეძებთ მელოგინესა ქალსა, თორემ დაგჩეხავთ, სამას სამოცდა ხუთი წელი გადუღებთ სპილენძის ქვაბში, შემდეგ თქვენს ძვალსა და ხორცს ზევით ქარს გავატანთ, ქვევით წყალს. ფუი, ასე გაქრი, ალო, ქაჯო, ეშმაკო!»

---

* არყის ხის ქერქს. აძრობენ ივნისის თვეში. კარგად იწვის გამომშრალი. გამოიყენებდნენ ცეცხლის ასანთებად, გასანათებლად.

ამბავი წიკვლიანთ დევისა

ქსნის ხეობაში ყველაზე უკანასკნელად მომხდარსა და გაგონილს დევურ ცოვრებაზე, ყველაზე ბოლოდროინდელი ეპიზოდები მათ და ადამიანთა შორის ურთიერთობებზე აწ ნასოფლარ შატაკთკარს უკავშირდება.

სოფელში რომელსაც ძველად ანდრიაწმინდული ერვქა ორი გვარის ხალხი, ორ ცალკე უბნად ცხოვრობდა. ქვევითი უბანი შატაკნი იყვნენ და შატაკიშვილები ცხოვრობდნენ. ზევით კი წიკვლიანთ უბანი იყო და წიკლაურები ცხოვრობდნენ.

ამ უკანასკნელთ, შატაკში, როგორც ზეპირი გადმოცემა გვიდასტურებს გადამტერებული ჰყოლიათ დევი, რაც მიზეზი გამხდარა წიკლაურების აყრისა და ავჭალაში გადასახლებისა. მანამდე კი შატაკთკარში მათი გართულებული საქმის მდგომარეობა შემდეგში ყოფილა.

დევი როგორც ბოროტების განსახიერება, ქარჩოხში წიკვლიანთაც ბოროტების და არაქრისტიანულ არსებად მოევლინათ. ხშირად დევი ღამით, გარდა მარხვის პერიოდებისა, მივიდოდა და ბანზე შემდგარი, გვირგვინიან, ვეებერთელა სახლებს აქეთ-იქით აქანავებდა. ჭერიდან ჩაცვენილი მიწით ივსებოდა და ჭუჭყიანდებოდა ყველაფერი. ამავდროულად ოჯახის წევრებს ბოსელში შესულთ, მსხვილფეხი საქონელი ბაგებიდან აშვებული და ერთმანეთში დაჩრილი ხვდებოდათ. მათი კირკლები ერთიმეორეზე აპეურებით იყვნენ ასხმულები და ბოლო კირკალი ერთ რომელიმე რქოსანს ჰქონდა შებმული.

ძალიან ხშირად იყო შემთხვევა, რომ აშვებული ზრდასრული საქონელი მოზარდმოცადოებს ბაგებში ჩაყრიდნენ და მეორე დილით პატრონები დამხვრჩალ-მოგუდულებს იღებდნენ. ეს უბედურება არ აკმარა დევმა ხალხს და ახლა სხვა მავნებლობა მოიფიქრა.

სოფელში ოჯახი არ იყო, რომ ცხენი არ ჰყოლოდათ. ზოგს ორი და სამიც კი. შევიდოდნენ ბოსელში დილით თუ არა საქონლის მოსავლელად ხედავდნენ, რომ ცხენი გაოფლილ-გაქაფული იდგა და დაღლილი მძლივს სუნთქავდა.

მთელი უბანი საგონებელში ჩავარდა. ქვეყანაზე ვერ იპოვეს კაცი რომელიც ამ გასაჭირისაგან იხსნიდა.

გადიოდა დრო, დევი არ ცხრებოდა, მან ახლა დაწვნა დაუწყო ქაფგავარდნილ ცხენებზე ფაფრებს. ზოგი პირიქით ისე იყო აწეწილი, რომ ვერცერთი კაცის ხელი იმას ვერ გააკეთებდა. შეწუხებულ-შეღონებულმა ცხენის პატრონებმა ფაფარი არცერთ ცხენს აღარ დაუტოვეს. ყველა მესამე კვირას კრეჭდნენ და ვარცხნიდნენ.

ბოლოს ბოროტი ხუმრობის ხასიეთზე მყოფი დევი ცხენებისა და კვიცების ფაფრებზე რომ ვეღარ ერთობოდა ახლა კუდებზე გადავიდა. სამ-ოთხ წყებად დაწნული კუდები დაჰქონდათ წიკვლიანთ ცხენებს. დილით ბოსელში შესულთ კვლავინდებურად ნაჭენები და გაქაფული, კუდებ დაწნული ცხენები ხვდებოდათ პატრონებს. დროთა განმავლობაში ცხენები ითარგებოდნენ, ხდებოდნენ, ავადმყოფობდნენ და აღარც მუხლი ჰქონდათ და აღარც ჯანი.

სად აღარ იარეს შატაკთკარელებმა, მკითხავებთან, მისნებთან, ნათელმხილველებთან, «წინდის ჩაყრამაც»* ვერ მიახვედრა იმას თუ რა და რომელი სალოცავი აძლევდა მიზეზს. აგრეთვე მიზეზს იმისას თუ რატომ ექცეოდათ და სჯიდა ქრისტიანებს ბილწი დევი. წიკლაურები გულს იმით იმშვიდებდნენ, რომ მათ სოფლის ადგილზე ადრე მდგომ ანდრიაწმინდელებსაც დევი ჰყოლიყოთ შეჩვეული და ყოველ თვე სოფლიდან და-ძმა ან დედა-შვილი მიჰყავდა. კიდევ კარგი, რომ ესე მაინც აღარ არის. ჯანაბას ჩვენი საქონელი და ჩვენი ცხენებიო, ამბობდნენ იმედ დაკარგულნი.

ბოლოს რამაც სოფელი აყარა მათ შთამომავალთათვისაც არ არის ცნობილი, არამც თუ ჩვენთვის. თუ რა მიზეზით მოხდა გაუგონარი ამბის გაგონება ვერავის ვერ ამოუხსნია.

სოფელი როცა ჯერ ისევ მკვიდრად იდგა და იტანდა დევისგან შევიწროვებას, მოულოდნელად მთელს შატაკთკარში ქათმის მამლებმა ყივილი შეწყვიტეს. გავიდა თვეები, წელიწადი ერთი, ორი და მამალი ხმას არ იღებდა, არც დღისით არც ღამით. მაშინ კი თქვეს წიკვლიანთ: ღმერთს მოვბეზრებივართ, აღარ უნდა დალოცვილს ჩვენი აქ ცხოვრებაო. ადგნენ, აიკრეს გუდა-ნაბადი და წავიდნენ ავჭალაში – ახალ ადგილზე საცხოვრებლად.

არ გავიდა რამდენიმე კვირა და ავჭალაში ახალმოსახლეთა ეზოში ვიღაცამ ხაფი ხმით დაიძახა. გაიხედეს წიკლაურებმა და რას ხედავენ. მკლავზე კაკლის ხრიალა ასხმული დევი დგას და ყურებამდე გაწეული ლაშებით იცინის.

გული გაუსკდათ დამხვდურთ, «ვაიმე აქაც გვიპოვა ჩვენმა წყეულმა დევმაო! დაუძახია ოჯახის დიასახლის.

რა იყო ქალო, რამ შეგაშინა! ეე, კაკლის ხრიალები დაგრჩენიათ წნულზე დაკიდებული და ჩამოგიტანეთ. აი ეს თქვენი ხრიალები მე კი ჩემს გზაზე წავალო, უთქვია დევს და გამქრალა. მართლა მას მერე ის გზადამწვარი დევი აღარც ავჭალაში ვინმეს უნახავს და აღარც ქარჩოხის შატაკთკარში.

მაცდური ალ-ქალი

ერთ წვრილშვილ გლეხ კაცს, დაძახილი მუშის* არმოიმედეს, ჩაუგდია გუდაში ქერის პური, ნიორი, აუღია ცელი და წასულა მთაში სათიბად. თიბავს კაცი. ცელი უჭრის, თანაც ხამხამა** ბალახში უფრო ხალისიანად გამოაქვს მხრეულები. გახალისებული გლეხი პურის ჭამას ჯერ არ აპირებდა მიუხედავად გლეხის სამხრობის მოახლოვებისა. მხრეულში მოტანილ ბალახს გადაუსმევდა ცელის კიდეს, გაწმენდავდა, მერე ქერიფხის* სალესით მოლესავდა და კვლავ აგრძელებდა მუშაობას.

---

* სოფლის მკითხავთა და კუდიანთა პრაქტიკით შესაძლებელი იყო ფოლადის ჩხირებით შალის ნართზე მანიპულაციებით გაეგოთ, რომელი სალოცავი «აძლევდა მიზეზს» ამა თუ იმ კაცს, ოჯახს ან მთლიანად გვარს.

* დაძახილი მუშა ფასიანიც იყო და უფასოც. სამკალად ან სათიბად გაერთიანებული მუშაჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო მეზობელ-ნათესავებით, მოქმედებდა კოლექტივიზაციამდე.

** ჩრდილში ხამად მოსული, მაღალი, წმინდა, უყუათო ბალახი.

* ერთგვარი ქვა-სალესი ქერის მარცვლების მსგავსი ხალებით, მოიპოვებოდა მდინარე თერგის სანაპიროებზე. ფართოდ გამოიყენებოდა არაგვისა და ქსნის ხეობაში.

მიკარგულ უკაცრიელ მთაში, სადაც მხოლოდ ეს ერთი კაცი თიბავდა უცბად თვალი მოჰკრა ლამაზი ტანის ახალგაზრდა ქალს, მორთულს გრძელ კაბაში, გრძელი თმებით და გრძელი ფრჩხილებით იგი პირდაპირ მთიბელისკენ მოდიოდა.

კაცი გაჩერდა. თიბვას თავი ანება და ქალს ყურება დაუწყო. უცნაური რაღაც ხდებოდა კაცის თავს. თვალებს არ უჯერებდა. ნამდვილად ქალია, ჩემსკენ მოდის, ნეტავი ვინ იქნება ან რა უნდა მარტო რომ დაიარება?! ეკითხებოდა თავისთავს ცქერად გადაქცეული მამაკაცი.

ქალი მიუახლოვდა და ხმა ამოუღებლად შორიახლო გაჩერდა. უცქეროდა კაცს და უღიმოდა.

ახლოდან უფრო მომხიბლავი და ლამაზი ჩანდა დაუპატიჟებელი სტუმარი. მისი ულამაზესი თვალების ცქერით კაცს გული შეუწუხდებოდა.

ახალგაზრდა კაცს გულმა რეჩხი უყო. განსაკუთრებით ეუცხოვა მისი კაბა, თმები და ფრჩხილები. უყურებდა და ეშინოდა თან უნდოდა, რომ მიახლოებოდა და ხელით შეხებოდა ამ უცნაურ და ულამაზეს არსებას, რომელიც არ იცოდა ვინ იყო, ან რა იყო და რატომ მივიდა მასთან.

კაცმა გაუთვითცნობიერებლად ცელი დააგდო და მისკენ წავიდა, მაგრამ ნურასუკაცრავად, ქალმა დისტანცია არ დაარღვია და გაიქცა. კაცი გაჩერდა, პირჯვარი გადაიწერა, შემობრუნდა, ხელში ცელი აიღო და თიბვა გააგრძელა.

ქალიც მიბრუნდა, ხელში ჯოხი აიღო და კაცის წაბაძვით ვითომ თიბავდა ისიც, ჯოხის ქნევა დაიწყო.

– კაცი გაჩერდა.

– ქალიც გაჩერდა.

დაიწყო თიბვა კაცმა, დაიწყო «თიბვა» ქალმა. რასაც კაცი აკეთებდა იმას აკეთებდა ქალი. ბოლოს გადაწყვიტა ქალის დაჭერა, დაედევნა კიდეც მაგრამ ამაოდ. კვლავ გაექცა ლამაზი მაცდუნებელი ქალი. მაშინ კაცმა ხერხს მიმართა ჩაჯდა მხრეულში და მოხრილ ფეხებს შუა ცელი ჩაიდო. ქალმაც იგივე მოიმოქმედა. ცელის მაგივრად ფეხებშუა ჯოხი დაიკავა.

კაცმა ბალახისგან დაგრიხა თომი და ფეხები გაიკრა. ქალმაც იგივე გააკეთა. კაცმა თომს* ცელი ამოუსვა გადაჭრა და ქალისკენ გაიქცა. მანაც ამოუსვა ჯოხი მაგრამ ჯოხი თომს როგორ გაჭრიდა, იგი ადგილზე დარჩა. მივიდა კაცი და დაიჭირა. ალ-ქალი მშვიდი, წყნარი და წარმოუდგენლად ლამაზი რამ იყო. კაცმა მას თმის კულული და ფრჩხილი მოაჭრა ნიშნად მისი სილამაზისა და პატივისცემისა. მას მერე ალ-ქალი აღარ მორიდებია კაცს, მთელი დღე გვერდით დასდევდა და ეხვეწებოდა თავისი სამკაულების დაბრუნებას.

გლეხი კაცი საღამოს სახლში დაბრუნდა, სადაც თან დაუპატიჟებელი ლამაზი ალ-ქალიც გაჰყვა. სახლში ლამაზ ქალთან ერთად მისული კაცი ჯალაბმა შეიცხადა. ვინ არის და სად მოგიყვანია? ამის ნდობა როგორ შეიძლებაო!

მიუხედავად დიდი ჩხუბისა და საყვედურებისა მაცდური ალ-ქალი არსად არ წასულა. დარჩა მათთან სახლში როგორც ოჯახის რიგითი წევრი.

გავიდა სამ წელზე მეტი. კვლავ ერთად ცხოვრობდნენ გლეხის ცოლ-შვილი და მათი ლამაზი ხიზანი. ოჯახის წევრივით ჭრიდა შეშას, ალაგებდა სახლს, აკეთებდა საჭმელს და არაფრით არ გამოირჩეოდა ოჯახის სხვა წევრებისგან.

---

* ნედლი და წმინდა ბალახისაგან დაგრეხილი თოკია, რითაც მთაში თივის ძირებს ამაგრებდნენ რათა ქარსა და წვიმას არ დაეშალა.

ერთ მშვენიერ დღეს მთელი სახლობა სამკალად იყვნენ წასულები. სახლში მხოლოდ ხუთი წლის გოგო და ალ-ქალი დარჩნენ. ალ-ქალმა ისარგებლა შემთხვევით და მოიწადინა სახლიდან გაპარვა, ადრეც ბევრჯელ ეცადა მაგრამ თავის სამკაულების გარეშე ვერ მიოდიოდა. დაიწყო ძებნა. სად აღარ ნახა, სად არ მოჩხრიკა მაგრამ ამაოდ, ვერსად მიაგნო. ბოლოს პატარა გოგოს მოეფერა და უთხრა, ესწავლებინა მისი მამიკო სად ინახავდა მის თმას და ფრჩხილებს, რისთვისაც წითელ კაბას შეპირდა. ბავშვმა სიხარულით, თითით აჩვენა კერიასთან ორ დიდ ქვას შორის დამალული სამკაულები, ალ-ქალმა აიღო და გაუჩინარდა, ბავშვს კი დანაპირები შეუსრულა «წითელი კაბა ჩააცვა», საბრალოს ფრჩხილებით სახე დაუგაზა და ასე სისხლდამდინარე დაღუპა უდანაშაულო ბავშვი.

***

ქსნის ხეობაში ხალხური წარმოდგენებით, ბოროტი ძალების მთავარ პერსონაჟს დევს, გვერდს უმშვენებს ალი, ეშმაკი, მაჯლაჯუნა, ოჩოპინტრე და ერთ-ერთი საინტერესო, უძველესი დავიწყებული მაქცია - სამძივარა.

ალი ულამაზესი და უმშვენიერესი ქალწულია: გრძელი თმებით, ფრჩხილებით, გრძელ კაბაში მაცდუნებელი ტანით. იშვიათი, ჯადოსნური განსახიერებაა. იგი ქართული წარმართული სარწმუნოების ცნობილი სახეა. სილამაზით მაცდური, ბუნებით ბოროტი ავსულია, ცხოვრობს კლდეებში. მეტწილად დაიარება ღამით და თვალებიდან ალისებრ მანათობელ შუქს ღვრის, (შესაძლოა ალიც ამიტომ შეარქვეს) ხშირად უმიჯნურდება მეცხვარეებს, მონადირეებს, შეხედულ და ვაჟკაცური შემართების მქონე ახალგაზრდებს.

ალებს ეშმაკებისაგან განსხვავებით მეორე ნახევარი თავიანთი საზოგადოებიდან არა ჰყავთ. ისინი სექსუალურ კავშირს ჩვეულებრივ მამაკაცებთან ამყარებენ და ასე მრავლდებიან. კაცს შეუძლია მათი დანახვა, ხელის მოკიდება, ინტიმური კავშირი და საუბარი. ნაწილობრივ კეთილებიც არიან. თუმც ბოლოს ზღვის ქაფივით ქრებიან.

ზემოთ თქმულ პატარა მითიურ სიუჟეტში, დიდ მოხერხებასთან ერთად, დიდი ტრაგედიაც არის გამჟღავნებული. მას ჟღერადობა თავისმა უბრალოებამ და ხალხურობამ მიანიჭა, რის გამოც მრავალ საუკუნეზე გავლით დღევანდლამდე მოაღწია. ეს არ არის ათასი და ათას ხუთასი წლის იქითიდან მომდინარე. გაცილებით უფრო შორიდან – წარმართობის დროიდან მოდის და დღესაც მიცვალებულის ცხედრად ყოფნისას თმისა და ფრჩხილების მოჭრა-შენახვის რიტუალი პარციალური სულების შესახებ რწმენა-წარმოდგენებია.

მგელკაცის სიბრძნე

ხშირად კაცმა თავის საქონლის ფასი და ღირსება ნაკლებად იცის, ზოგჯერ ისეთი ერთგული მეგობრისაც კი, როგორიც ძაღლია, რომელიც დარსა და ავდარში წლების მანძილზე თავის პატრონსა და მის ნაშრომს დარაჯობს. ერთგული ცხოველისადმი კაცის ერთგულების სწავლების გამომხატველია გადმოცემა, რომელიც დაგვიტოვა ძაღლის ყადრის დიდად მცოდნე და გონება-ფხიზელმა წინაპარმა.

ხალხური სიბრძნის ამ «ათინათის» მიხედვით, დღიურ საშოვარზე მიმავალ კაცს გზად დაღამებია, მშიერსა და დაღლილს ერთ კლდოვან ადგილას დაუძინია. ღამით

მასთან მისულან ეშმაკები, მძინარესათვის კირკალ* შეუბამთ და მგელკაცად უქცევიათ. გავარდნილა ყელზე კირკალი შებმული, უხეტიალია ტყე-ღრეში, ბოლოს მისულა მგლებთან და მათებრ დაუწყია ცხოვრება.

სიღარიბესა და გაჭირვებაში მყოფ კაცყოფილს არ გასჭირვებია მხეცებთან შეგუება. უსწავლია მათი ენა, წესები და ზნე-ჩვეულება. თანახმად მგლური კანონისა, სანადიროდ წასულნი, მსხვერპლზე თავდასხმას მორიგეობით აწყობდნენ. ერთ ღამეს სანადიროდ წასულთ მწყემსებისთვის ბაკიდან ცხვრის მოპარვა მოუწია მგელკაცას. ბაკში გადამხტარი ცხვრის გადმოყვანისას კირკლით მარგილზე ჩამოეგო, ძაღლებმა ყეფა ატეხეს, მწყემსებიც იარაღმომარჯვებულნი მიცვივდნენ კირკლით გამობმულ მგელკაცას. ის იყო ყელზე ხანჯლები მიაბჯინეს, რომ აპეურიც* გაწყდა და კვლავ ადამიანად იქცა. ნეხვში გაშხლართულმა კაცმა მწყემსებს ხვეწნა დაუწყო. ღვთის გულისათვის არ მომკლათ, გამიშვით, ჩემი წვრილშვილები მაინც შეიბრალეთო. მათაც არ მოკლეს, აპატიეს და ცოცხალი გაუშვეს. თუმც მისი მგელკაცობისა არაფერი შეუტყვიათ-რა.

დიდი წვალების შემდეგ, როგორც იყო, მივიდა სახლში მგელყოფილი. მისი დანახვით ცოლ-შვილმა დიდად გაიხარა, მათ მკვდარი ეგონათ თავიანთი მარჩენალი. კაცი ცოლს მოუყვა თავის თავგადასავალს, ცოლმაც ყველაფერი უამბო გაჭირვებისას ნათლიმამისგან გაწეულ დახმარებაზე. კაცს ეამა ნათლულის ოჯახისაგან გაწეული თანაგრძნობა და ცოლს უთხრა: წავალ, ვნახავ ჩემს ძვირფას ნათლიმამას, მადლობას მაინც ვეტყვიო.

სტუმრად მისულ ნათლიის პატივსაცემად მასპინძელმა ცხვარი დაკლა და მამა-პაპური ქეიფი გაუმართა. სამი წლის უნახავთ ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი. ისხდნენ დერეფანში ჭრაქის შუქზე და ტკბილად მუსაიფობდნენ. უცებ, ტყის მხრიდან მგლის ყმუილი გაისმა. ყმუილს ძაღლი გამოეხმაურა, კვლავ ყმუილი და ყველაფრის გამგონე მგელყოფილისთვის ნათელი გხდა მათი დიალოგი.

მგელს ძაღლისთვის დაუძახია.: ამაღამ მოვალ და ფარიდან ცხვარი გამატანე, ნახევარი შენ შეჭამე და ნახევარს მე წავიღებო. ძაღლს უპასუხია: ჩამმა პატრონმა ცხვარი დაკლა, თუ ცოტა ხორცი არ მომიგდო მერე შემოდი და ისე ხოცე, როგორც მოასწრებ, რასაც თან წაიღებ, ის შენი იქნება, რაც დარჩება, ის კი ჩემიო.

ეს ყველაფერი გაიგო სტუმარმა, ადგა აიღო ხანჯალი, მოათალა ცხვარს დუმა და ძაღლს დაუგდო. გაბრაზდა მასპინძელი: მე პატივი გეცი, ცხვარი დაგიკალი, გაქეიფებ, შენ კი, საძაღლედ გახადე ჩემი ნაოფლარიო.

ეხლა მოითმინე, ნურაფერს მკადრებ, დილაზე მე თვითონ გეტყვი ყველაფერს _ უთხრა ნათლიამ და ქეიფი გააგრძელა.

იმ ღამეს მშიერი მგელი მართლაც მისულა ფარეხში ცხვრის მოსაპარად, დაუჭერია მაძღარ, გულმოსულ ძაღლს და დაუხვრჩია. მეორე დილით მკვდარი ნადირი აჩვენა სტუმარმა ოჯახის უფროსს და უთხრა:

ჩემო ძვირფასო ნათლიმამა, კარგი კაცი ხარ, მაგრამ კარგი მეცხვარე ვერასოდეს ვერ გახდები, თუ ოთხფეხი მეგობრის ყადრი არ გეცოდინებაო.

---

* აპეურ შებმული მოხრილი ჯოხი მსხვილფეხი საქონლის დასაბმელად ბაგაზე.

* კირკლის შესაკრავი დაგრეხილი თოკი.

ინფორმატორები

1. ბაშარული ამირან გიორგის ძე დაბ. 1923 წ. ახალგორი
2. ბაშარული ნიკოლოზ გიორგის ძე დაბ. 1927 წ. ქ.თბილისი
3. ბერიანიძე ამირანი (სიმპათიას ძე) დაბ. 1940 წ. ქ.კასპი
4. ბიტაროვი გეგა (გიორგი) დაბ. 1941 წ. ს.უკანამხარე
5. ბიტაროვი ელენე ქიტოს ას. დაბ. 1938 წ. ს.პავლიაანი
6. ბუნტური ყიდა მათეს ძე დაბ. 1927 წ. ს.საძეგური
7. გაროზაშვილი თედო ყიდას ძე და. 1935 წ. ს.ქენქაანი
8. გოჭაშვილი ნუცა დაბ. 1939 წ. ს.ჭორჭოხი
9. ელოშვილი ლადი ყიდას ძე დაბ. 1930 წ. ს.ელოიანი
10. ელოშვილი მიხეილ შიოს ძე დაბ. 1944 წ. ს.ელოიანი
11. ელოშვილი სირანა დაბ. 1936 წ. ს.ელოიანი
12. ზარიძე რუსუდან ნოდარის ას დაბ. 1928 წ. ქ.თბილისი
13. თინიკაშვილი ნესტორ შაქროს ძე დაბ. 1925 წ. ს.კორინთა
14. თინიკაშვილი რაჟდენ სანდროს ძე დაბ. 1935 წ. ს.თინიკაანი
15. თინიკაშვილი სანდრო თედოს ძე დაბ. 1907 წ. ს.თინიკაანი
16. თინიკაშვილი სეროჟა ნიკოს ძე დაბ. 1924 წ. ს.თინიკაანი
17. ილურიძე ნოდარი შალვას ძე დაბ. 1958 წ. ს.დორეთკარი
18. ილურიძე ვიქტორი ილიას ძე დაბ. 1939 წ. ახალგორი
19. კარელიძე ჟოჟა პავლეს ძე დაბ. 1927 წ. ს. კალერთკარი
20. კობაური ომარი გიორგის ძე დაბ. 1941 წ. ს.საძეგური
21. კობაური ფირუზ იასონის ძე დაბ. 1935 წ. ს.საძეგური
22. მანჯიკაშვილი ილია დაბ. 1939 წ. ს.უკანამხარე
23. მუზაევი ამინეთ ტატეს ას. დაბ. 1931 წ. ს.მიდელაანი
24. მუზაევი მანია ბესოს ასული დაბ. 1910 წ. ს.დორეთკარი
25. ნაროზაშვილი ისაკი ზაქარიას ძე დაბ. 1901 წ. ს.საძეგური
26. ოდიშვილი ვახტანგი დაბ. 1921 წ. ს.ლარგვისი
27. ოღაძე იაშა დაბ. 1939 წ. ს.უკანამხარე
28. სოკუროვი მერი ტელას ასული დაბ. 1940 წ. ს.ბალაანი

29. სუხაშვილი სოფიო აბროს ასული დაბ. 1927 წ. ქ.რუსთავი
30. შერმადინი შაშა ვანოს ძე დაბ. 1924 წ. ს.მშველიეთი
31. ჩიტიშვილი ბერო ვასილის ძე დაბ. 1961 წ. ს.ჩიტიანი
32. ჩიტიშვილი ტრისტან დაბ. 1939 წ. ს. გავაზი
33. ჩიტიშვილი ფირუზი დაბ. 1934 წ. ახალგორი

სარჩევი

1. ლეგენდა ლომისის წმ. გიორგიზე I ვარიანტი..... 5
2. ლეგენდა ლომისის წმ გიორგიზე II..... 8
3. ლეგენდა მუხიშართის ჯვარობაზე..... 10
4. ხარანაულების ფორტუნა..... 11
5. გამოჩინებული..... 16
6. სამღვთო დაუნებებელი..... 19
7. გამხიტაანთ ოქროპირი და ბატონი..... 22
8. დარბევა ცხავატურად..... 26
9. მზარეულიანთ ქალი ია..... 31
10. შავი არწივი..... 33
11. ბატონიშვილი და ჭურთელები..... 37
12. ქისიანელი ფალავანი..... 40
13. მეწისქვილე და არათანა..... 46
14. მენჯის ძვალი და ცნობისმოყვარე კაცი..... 50
15. ლეგენდა ყელის ტბაზე..... 52
16. სამება ოქროს კარებიანი..... 54
17. ეშმაკების მცხვარე..... 57
18. პატარა ეფრო და დიდი ყაჩაღი..... 62
19. კეკე და ლეკები..... 67
20. ულიდა..... 71
21. თქმულება უკანუბნელ მანანაზე..... 75
22. ქსნის ერისთავთა გენეალოგიაზე..... 78
23. ძმები ქარუმიძეები..... 80
24. ბატატი და თამარი..... 83
25. ძმადნაფიცი დევი..... 86
26. ბერციხის ეშმაკები..... 89
27. ლეგენდა კუცხოეთის დევზე..... 90
28. მამლისა და ცხვრის შეშინებული დევი..... 94
29. ლამაზი ფერია..... 97
30. ლეგენდა ოხირის დევზე..... 100
31. მეცხვარე და ალი..... 103
32. ამბავი დამწვარი ეშმაკებისა..... 104
33. ამბავი წიკვლიანთ დევისა..... 107
34. მაცდური ალ-ქალი..... 110
35. მგელკაცას სიბრძნე..... 115

ტირაჟი 300

დაიბეჭდა გამომცემლობა «მწიგნობარის» სტამბაში

0102, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 40